# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 22 აგვისტო 2000 №160 (1182) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5 სლოგანი: გუნდი თბილისში, ხალხი ციხეში

სტანისლავ იარაბეკმა თავისიანები გააფრთხილა: 2:0 გარანტია არ არის!

## 10 ამქვეყნად მუდმივი ფერგიუსონია



სერ ალექსს „მანჩესტერ იუნაიტედმა" სამუდამო კონტრაქტი შესთავაზა

## 15 ნუ გააბრაზებთ პრინცს



ნასიმ ჰამედმა ქამარი და ლეგენდა დაიცვა, მეტოქე კი საავადმყოფოში გაგზავნა

# სენსაცია, დავიწყებული ჰიმნი და აყვირებული კარნევალი

19 აგვისტოს, ფერისცვალებას საქართველოს მეთორმეტე საფეხბურთო ჩემპიონატი გაიხსნა. აბა, ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს, თუნდაც თორმეტგუნდას, რა ფერნაცვალობა უნდა დაეტყოს: ორგანიზაცია ძველებური, დადუმებული რეპროდუქტორები, უჰიმნოდ დაწყებული მატჩები...
მიზეზი: უშუქობა, რომელიც თითქოს ამ შაბათს ისე უეცრად შემოგვიხტა სტადიონებზე, რომ თადარიგის დაჭერა არავის დააცალა.
საზოგადო შინაარსიც იგივე. საერთო სურათს ერთადერთი მატჩი გამოეყო: ჩემპიონატისწინა დღესღა გადარჩენილმა, შემადგენლობაგაღარიბებულმა „გორდამ" 3:1 მოუგო ჯანი კარნევალის ნება-სურვილით ნამზადევ „ბათუმს". ზღვისპირელთა პენალტის პასუხად გატანილმა სამმა გოლმა იტალიელი ხმის ჩახლეჩამდე აყვირა.



ჩემპიონატს კაპიტნები იწყებენ: თსუ-ს კახაბერ ებრალიძემ და „დინამოს" გიორგი ანჩაბაძემ ეროვნული დროშა აღმართეს



შაბათს რუსთავში: „გორდას" ნახევარმცველი მამუკა მელაძე (№9) ბათუმელ მცველებს კახა სიდამონიძეს და გელა ქორიძეს უმეთვალყურეოდ დარჩათ

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

## 1 ტური

19 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| დილა | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 3 |
| მერანი | 1 |
| კოლხეთი | 0 |
| იბერია | 0 |
| ლოკომოტივი | 1 |
| გორდა | 3 |
| ბათუმი | 1 |
| თსუ | 0 |
| დინამო | 1 |
| ტორპედო | 1 |
| სიონი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| გორდა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მერანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| იბერია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| თსუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| დილა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა პირველი წრე 12

1 ტური

# მინიმალურიც სამი ქულაა

ქუთაისი
19 აგვისტო
19 საათი
ტორპედო
5 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 1:0 სიონი**

1:0 იონანიძე (52)
**ტორპედო:** ზოიძე, მახვილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, ჩხაიძე (ჩხეტიანი 46), ახვლედიანი, კ. კვეტენაძე, გუჩუა, ასათიანი (გაბიდაური 72), იმედაძე, იონანიძე
სათადარიგონი: ქანთურია; შეყრილაძე, შალამბერიძე, თავბერიძე, ვაჩიბერაძე
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი (მ. სამხარაძე 75), გამცემლიძე (თ. სამხარაძე 75), ისიანი, ბარნოვი, მოსეშვილი, სოლოლაშვილი, პეტრიაშვილი (წივწივაძე 52)
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ჯაფარიძე, ჩაგელიშვილი
**გაფრთხილება:** გუჩუა (19), იონანიძე (42), სოლოლაშვილი (82)
**მსაჯები:** ა. კრიჟაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ჟუჟუნაძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან

**ვიდრე** მეთორმეტე ეროვნულის გახსნის სავალდებულო ცერემონია მოეწყობოდა, „ტორპედოს“ კაპიტანმა კახა კვეტენაძემ სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის გია ფირცხალავასგან ქუთაისელთა მიერ წინა გათამაშებაში მოპოვებული ქვეყნის ჩემპიონთა ოქროს მედლები ჩაიბარა.

მადლობა ღმერთს, თორემ ტორპედოელები თითქმის სამი თვე ელოდნენ კუთვნილ ჯილდოს. ამ პროცედურის შემდეგ სახელმწიფო ჰიმნი გაისმა და კვეტენაძემ და მისმა ბოლნისელმა კოლეგამ, ბაზვა მოსეშვილმა ეროვნული დროშა აღმართეს.

არბიტრმა მატჩის დაწყების ნიშანი მისცა, მაგრამ თამაში უმალვე შეაჩერა. სტადიონზე წუთიერი დუმილი ჩამოვარდა. აუდიტორიამ პატივი მიაგო ახლახან გარდაცვლილი ფეხბურთელების დავით ნოზაძის, მახარე მინდიაშვილის და „ტორპედოს“ სტადიონის დირექტორის ოთარ ასათიანის ხსოვნას.

ქუთაისელები, რაღა თქმა უნდა, გასამარჯვებლად გავიდნენ მოედანზე. ერთი შეხედვით, მათ არც უნდა გაჭირვებოდათ მეტოქის ძლევა. „ტორპედომ“ ხომ ამ ზაფხულს კარგი სათამაშო პრაქტიკა მიიღო ჯერ უხვად გამართულ საკონტროლო და მერე იუგოსლავურ „ცრვენა ზვეზდასთან“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებში.

წესით და რიგით, „სიონთან“ მასპინძლებს მაინცდამაინც არც ტრავმირებული დავით ჯანაშიას არყოფნა უნდა დატყობოდათ.

მოსალოდნელიც იყო და „ტორპედო“ უმალ დაეუფლა ინიციატივას. ჩემპიონებმა დინჯად გააგორეს ბურთი, ფაქტობრივად უპრობლემოდ მოაქციეს საკუთარი კონტროლის ქვეშ მოედნის ცენტრი და, სხვა რა დარჩენოდათ, „სიონის“ დაცვაში სუსტი ადგილების ძებნას შეუდგნენ.

ჰოდა, ვერ გამოდგა ეს საიოლო საქმე. ბოლნისელებმა ლამის მთელი გუნდით დაიხიეს უკან და ისე შეწყობილად იცავდნენ თავს, თქვენი მოწონებული. მაგრამ უშეცდომოც არავინაა. შესვენებამდე მასპინძლებს მაინც მიეცათ გატანის რამდენიმე შანსი.

მე-10 წუთზე იმედაძემ ზუსტად მიაწოდა „სიონის“ საჯარიმოში შეპარულ იონანიძეს, წინა ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა და ბომბარდირმა უმალ დაარტყა კარისკენ, ოღონდ არცთუ ძლიერად და თემურ ვოლკოვმაც იმარჯვა.

23-ე წუთზე იმედაძე მარჯვნიდან ჩაწოდებულზე სტუმარ მცველებს და წინ გამოსულ მეკარეს შეებრძოლა, წამით დაასწრო მათ და დაარტყა, გოლი გარდუვალი ჩანდა, მაგრამ ერთ-ერთმა ბოლნისელმა სასწაულებრივ იხსნა „სიონი“, ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

34-ე წუთზე ტორპედოელთაგან ყველაზე მოძრავმა გუჩუამ ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა იმედაძე, ამან კი ახლოდან დარტყმას ძალა ვერ დაატანა.

მასპინძლები შორიდანაც ეცადნენ სტუმართა კარის აღებას. ასათიანი და გუჩუა ურტყამდნენ სახიფათოდ — ამაოდ...

ბოლნისელთა თავკაცის სპარტაკ არჩვაძის ტაქტიკამ — მკაცრი პრესინგი დაცვაში — გაამართლა. ასე იყო თუ ისე, „სიონმა“ პირველ ტაიმში საკუთარი კარი „მშრალად“ შეინარჩუნა და, ვინ იცის, ეგებ ბოლნისელებს ჩემპიონთან ფრისთვის საბოლოოდაც გამოეკრათ ხელი, რომ არა საბედისწერო 52-ე წუთი.

სტუმართა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევისას მათი ეული ფორვარდი დავით პეტრიაშვილი ქუთაისელ მცველებთან ბრძოლაში დაშავდა. პეტრიაშვილს თავი გაუტყდა და უმალ მოედნიდან გავიდა. შემიხვიეთ და თამაშს გავაგრძელებო — დაუძახა გუნდის ექიმს.

სპარტაკ არჩვაძემ სხვაგვარად განსაჯა (ამ შემთხვევაში სწორიც მოიქცა, პეტრიაშვილი საავადმყოფოში გადასაყვანი შეიქნა და იქ ნაკერებიც დაადეს), თავგატეხილი მოთამაშის წივწივაძით შეცვლა ბრძანა.

შეცვლაც გაკეთდა, ოღონდ სანამ ჰამლეტი სათამაშოდ გავიდოდა, უმცირესობაში დარჩენილმა სტუმრებმა გოლი გაუშვეს. „სიონის“ საჯარიმოში შეჭრილმა იონანიძემ კარგად ისარგებლა გუჩუას გადაცემით და საკმაოდ მახვილი კუთხიდან ძლიერი დარტყმით „ტორპედო“ დაწინაურა.

ამის შემდეგ თამაშის ტემპმა თითქოს იმატა, თუმცა მასპინძელთა შეტევებს უწინდელი სიმწვავე აკლდა. ბოლნისელებმაც გაიწიეს ერთი-ორჯერ ქუთაისელთა კარისკენ, მაგრამ სახეირო ვერაფერი შექმნეს, შექმნეს კი არა, მისკენ ერთხელაც არ დაურტყამთ.

ჩემპიონი ამ მატჩში მინიმალური ანგარიშით გამარჯვებას დასჯერდა. მაგრამ ესეც ხომ 3 ქულაა. „ტორპედომ“ პირველად მოიგო ახალი პრეზიდენტის ხელში.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ ქუთაისურ კლუბს მისივე დამფინანსებელი ფირმის, „არგომარ ოილის“ პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე უთავკაცებს.

რაც შეეხება „ტორპედოს“ აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ ქორქიას, მისი პოსტიდან გადადგომა კლუბიდან წასვლას სულაც არ ნიშნავს. ქორქია კლუბის ერთ-ერთ დამფუძნებლად რჩება და საპასუხისმგებლო მისიაც აკისრია.

# ახალი და ძველი მარში გაიხსენეთ დიდება!

თბილისი
19 აგვისტო
19 საათი
სინათლე
1000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 1:0 კოლხეთი**

1:0 გოდერძიშვილი (8)
**მერანი:** ლევაძე (ნაჭყებია 64), ოდიშარია, ლევიძე, ილურიძე, გ. კვეტენაძე (ბოლქვაძე 60), კობესაშვილი, კაკუბავა, ჭინჭარაული, გუჯაბიძე, ა. ხორხელი (ზაქულიძე 55), დ. გოდერძიშვილი
სათადარიგონი: ცქიფურიშვილი, მინაშვილი, კოშკაძე, თოლორდავა
**კოლხეთი:** ჩემია, გოროზია, ტორჩინავა (კუდელაშვილი 44), ფანჩულიძე, ჰაბავა (გ. ჩიტაია 80), ქუნთელია, ახალკაცი, შავგულიძე (ხუჭუა 64), ფრანგიშვილი, მაღლაკელიძე, ლალანიძე
სათადარიგონი: მიქაძე, ჯლარკავა, კრასოვსკი, თუდევაძე
**გაფრთხილება:** გოროზია (37), ლევიძე (38), კობესაშვილი (67), გოროზია (70), ბოლქვაძე (82)
**გაძევება:** გოროზია (70)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. გაბრიაძე, გ. კოკრიაშვილი (ორივე ქუთაისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**კობა ინასარიძე**

**აი,** ამონაწერი XII ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტის მე-4 მუხლიდან: „ჩემპიონატში მონაწილე გუნდები ვალდებულნი არიან, ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი მოაწყონ საზეიმო ვითარებაში“.

ახლა ის ვთქვათ, შაბათს „სინათლეზე“ ჩემპიონატი როგორ და რა ვითარებაში დაიწყო. სიტყვა „საზეიმო“ რომ ვიხმარო, ნამეტანი ტყუილი გამომივა — ფლაგშტოკზე დროშის რამდენიმე წამში აღმართვა — სულ ეს გახლდათ ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი. და ჰიმნი... ჩემპიონატის პირველი კურიოზი, გნებავთ უცილობა დაარქვით... „დიდება“ იმ დღეს „სინათლეზე“ არავის მოუსმენია, სამაგიეროდ, იყო საბჭოთის დროინდელი ცნობილი „ბლანტერის მარში“. მელოდია კინოფილმიდან „პირველი მერცხალი“ კი, ჩემპიონატის ყველა მატჩს წინ რომ უნდა უძღოდეს, მაშინ შეწყდა, როცა გუნდების კაპიტნებმა საქმე მოამთავრეს ანუ ალამი ააფრიალეს. მიდი ახლა და ყოველივე ამას „საზეიმო ვითარება“ უწოდე. ისე, მატჩის დაწყებამდე ერთი რამ კი მოხდა ნამდვილად აღსანიშნავი. მერანელებმა ფეხბურთიდან გააცილეს გუნდის ვეტერანი დავით ჯიშკარიანი. ტკბილი სიტყვა და საჩუქრები არ დააკლეს აწ უკვე მწვრთნელის თანაშემწეს, მატჩიც სიმბოლურად დააწყებინეს და მოედნიდანაც მხარზე შესმული გაიყვანეს.

თამაში, საქართველოს ჩემპიონატის გახსნის კვალობაზე, ნორმალური გამოდგა. სტუმრებს გოლის გატანა პირველსავე წუთზე შეეძლოთ: როცა ლალანიძემ ჩინებული პასით გამოცდილ ლევაძესთან პირისპირ დატოვა ფანჩულიძე, მაგრამ მას ასევე გამოცდილმა გუჯაბიძემ აჯობა და კარში აღარ დაარტყმევინა. რამდენიმე წუთის შემდეგ ლევაძემაც იყოჩაღა, ფანჩულიძის ჩაწოდებულზე ადგილი კარგად შეარჩია და ფოთელებს ბურთი თავიდან ააცალა.

„მერანმა“ საშიშროება რომ იგრძნო, მეტოქეს თავად შეუტია და პირველივე ცდაზე საწადელს მიაღწია. კაკუბავამ კუთხურიდან რომ ჩააწოდა, ფოთელი მცველები შეცდნენ, ბურთი გოდერძიშვილს მკერდზე გააჩერებინეს და კარშიც ახლოდან დაარტყმევინეს. ფრანგიშვილმა თავით ბურთის კარის ხაზიდან გამოტანა კი სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — „მერანი“ დაწინაურდა და შესვენებამდე ორ-სამჯერ კიდევ იყო ახლოს მიზანთან. იმავე გოდერძიშვილმა, რომელმაც ფოთელები დააწიოკა და კვეტენაძემ რეალური საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. აღსანიშნავია დებიუტანტ კობა ოდიშარიას თამაშიც, რომელიც თავის ზონას უშეცდომოდ აკონტროლებდა, მეტოქე მცველებსაც ბევრი პრობლემა შეუქმნა და მეორე ტაიმში მოეირიშე პარტნიორებს ერთი-ორჯერ მისკენაც რომ გაეხედათ და ბურთი მიეწოდებინათ, არაფერს დაკარგავდნენ. ერთი სიტყვით, მწვრთნელ სერგო გაბელაიას დებიუტანტმა გაუმართლა.

შესვენების შემდეგ „კოლხეთი“ კაცნაკლული დარჩა. მესხმა ასისტენტის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ აპატია გოროზიას და ყვითელი ბარათი მეორედ აუფრიალა. 20 წუთი სტუმრებმა 10 ფეხბურთელით ითამაშეს და უპირატესობაც აშკარად მათი გახლდათ. მასპინძლების მეკარე კაკო ლევაძეც დაშავდა, შესაცვლელი შეიქნა და „მერანსაც“ მეტად გაუჭირდა. ლევაძის შემცვლელმა ნაჭყებიამ იყოჩაღა რამდენჯერმე, თორემ ვინძლო კოლხებს ანგარიში გაეთანაბრებინათ.

საბოლოოდ „მერანისთვის“ ყველაფერი კარგად დამთავრდა. თბილისელებმა პირველი სამი ქულა მიითვალეს, თუმცა კი ბევრი ნერვიულობის ფასად.

ახალი ჩემპიონატის დაწყებას ერთი სიახლეც მოჰყვა. თუ მწვრთნელი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდება, 100 ლარით დაჯარიმდება. გამეორების შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაციის სასარგებლოდ გაორმაგებული თანხის გადახდა მოუწევს.

ფედერაციამ ეს კარგი კი გააკეთა, მაგრამ უკეთესი იქნება, პირველი ტურის გათვალისწინებით, გუნდები იმითაც დაავალდებულოს, პრესკონფერენცია უფრო ორგანიზებულად მოაწყონ.

***სერგო გაბელაია, „მერანის“ მწვრთნელი:***

— ფსიქოლოგიურად გაგვიჭირდა, თუმცა პირველი თამაში იყო და ეს არც გამკვირვებია. ყოველთვის ასეა. დაბნეულები ვიყავით, კარგად ვერ ვითამაშეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში. ცოტას ფიზიკურადაც მოვიკოჭლებთ, სეზონისთვის მზადება გარკვეული მიზეზების გამო გვიან დავიწყეთ და ეს თამაშზეც აისახა. „მერანიდან“ განსაკუთრებით ჭინჭარაულსა და გოდერძიშვილს გამოვყოფ, სასაყვედურო კი არავის მიმართ მაქვს.

***გია ტყებუჩავა, „კოლხეთის“ მწვრთნელი:***

— ვულოცავ „მერანს“ გამარჯვებას. დღეს ძლიერმა მოიგო. „კოლხეთის“ თამაშით კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა მოინდომეს და ცოტა ბედიც რომ გვქონოდა, ალბათ ქულას მოვიპოვებდით. დაცვაში ერთხელ შევცდით და დავისაჯეთ. გუნდს შეთამაშება აკლია, ექვსმა ფეხბურთელმა დაგვტოვა და მათ შემცვლელებს დანარჩენებთან შესაგუებლად პრაქტიკა სჭირდებათ. მასპინძლებიდან გუჯაბიძე დამამახსოვრდა, ჩვენებიდან კი ყველაზე უკეთ ლალანიძემ ითამაშა.



კაკო ლევაძემ (№1) ლევან შავგულიძეს (№9) არ გაატანინა

# ფერგიასონი

## კაცი, რომელიც ყვიროდა



თემურ ბუიღლიშვილი: ყოჩაღ!

რამაზ [illegible] რუსთავიდან



ალექსანდრე კიტეიშვილი

რუსთავი
19 აგვისტო
19 საათი
ფოლადი
1 200 (ტევადობა 10 700)

### გორდა 3:1 ბათუმი

0:1 მუჯირი (18პ), 1:1, 2:1 კიტეიშვილი (62, 72), 3:1 ალადაშვილი (80)
გორდა: ნიკურაძე, მჭედლიძე, ბექაური, გაბელაია, ლ. სილაგაძე, ა. ბუკია (ბაჩილავა 66), კ. ალადაშვილი, მელაძე, ზლაბაძე, პატარიძე (კიტეიშვილი 60), ივეჩიანი (მიშველიძე 66)
სათადარიგონი: გონგაძე; მ. სახვაძე, ფოჩხუა, ბერიძე
ბათუმი: ქვაჩახია, ქობულაძე, მინდაძე, თედორაძე (აფხაზავა 53), გელა ქორიძე, სიდამონიძე, ჩოხელი (კაკაბაძე 76), ბ. შენგელია, გაბისონია, ა. მუჯირი, მეავანაძე (სიხარულიძე 76)
სათადარიგონი: ბედიაშვილი; დარჩიძე, ქაცარავა, ღლონტი
გაფრთხილება: სილაგაძე (33), მიშველიძე (69)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში), მ. მაისურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

**რუსთავში** XII ეროვნული ჩემპიონატის „საზეიმოდ გახსნის“ შემდეგ დიდი სურვილი გამიჩნდა, წუთით მაინც შემევლო თვალი, თუ როგორ ტარდება მსგავსი ცერემონია აზერბაიჯანში, სომხეთში, თუნდაც უზბეკეთში, ანაც ნებისმიერ, საფეხბურთო რუკაზე ჩვენსავით მიკარგულ ქვეყანაში.

სირცხვილია... არა, უჩვეულო სანახაობას არავინ ელოდა, მაგრამ... დღემდე ასე ვიცოდი, რომ დროშის საზეიმო აღმართვა ეროვნული ჰიმნის თანხლებით ხდება. რუსთავში მომხდარით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ჰიმნი „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ყოფილა.

რუსთავში 19 საათზე „საზეიმოდ გახსნილი“ ჩემპიონატი 21 საათზე დასრულდა. მასპინძლებმა ნამატჩევს სახანძრო კიბის დახმარებით რატომღაც სასწრაფოდ ჩამოხსნეს ორი საათის წინ აღმართული დროშა.

მატჩი კი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა და სტადიონზე მისული 1200-მდე გულშემატკივარი მოულოდნელობის, ამავ დროს დიდი სიხარულის მოწმე გახდა.

დებიუტი კარგს არაფერს უქადდა მასპინძლებს, „ბათუმი“ „გორდას“ ნახევარს მიეძალა და მეხუთე წუთისთვის საგრძნობი უპირატესობაც მოიპოვა. სტუმართა რიგებში მუჯირი და გაბისონია გამოირჩეოდნენ. მათი შეთანხმებული მოქმედება და მარჯვენა ფლანგზე ჩოხელის აქტიურობა უფრო და უფრო მეტ პრობლემებს უქმნიდა იასონ ალადაშვილის შეგირდებს. მე-17 წუთზე მუჯირს გაბისონიას მისამართით ოდნავ ძლიერი პასი კი გამოუვიდა, მაგრამ „ბათუმის“ ახალწვეულმა ბოლომდე იბრძოლა და ნიკურაძეს შეცდომა დააშვებინა. „გორდას“ მეკარემ უწყინარ სიტუაციაში (გაბისონია ბურთს ვეღარ ეწეოდა), აკრძალული ილეთით შეაჩერა მეტოქე... XII ეროვნული ჩემპიონატის პირველი პენალტი მუჯირმა უნაკლოდ შეასრულა და თავისიანები დააწინაურა.

გოლმა „გორდა“ ვერ გამოაფხიზლა. მეტიც, გუნდის სათამაშო რგოლებს შორის კავშირი კიდევ უფრო მოირღვა. ნახევარმცველები მეტოქის ნახევარზე გადაადგილებას ვერ ასწრებდნენ და ახალწვეული ივეჩიანიც — „გორდას“ ერთადერთი ფორვარდი, თანაგუნდელთაგან გარიყული, მეტოქის მცველებს შორის ჩაკარგულიყო. „ბათუმი“ კი უტევდა. ტაიმის შუაწელში „გორდა“ მეორე გოლს გადაურჩა. 24-ე წუთზე მეავანაძემ მარჯვენა ფლანგზე ჩოხელს გაუჭრა პასი, მას რატომღაც ნიკურაძე გაეკიდა. ჩოხელმა მშვიდად მოატყუა მასპინძელთა მეკარე და ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ კი ეფექტური მაკრატელათი გაბისონიამ ოდნავ ააცილა ცარიელ კარს. გაბისონიას 37-ე წუთზეც შეეძლო გატანა, მაგრამ შენგელიას ჩაწოდებული ბურთი ბოლო წამს თავიდან აარიდა ნიკურაძემ.

პირველი საშიფათო მომენტი მასპინძლებმა მე-40 წუთზე შექმნეს, შეტევაში ჩართულმა მჭედლიძემ მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, იქ კი ლაბაძის თავურს არეულობა მოჰყვა და ბოლო წამს მინდაძემ არ მისცა ივეჩიანს დარტყმის საშუალება, ბურთი კუთხურზე მოიგერია. ეს მასპინძელთა პირველი და უკანასკნელი კუთხური იყო მატჩში.

მეორე ტაიმიც სტუმართა იერიშებით დაიწყო. ჯერ ჩოხელის თავური ასცდა მცირედ მასპინძელთა კარს, მერე კი მჭედლიძემ კარის ხაზიდან გამოიტანა აფხაზავას დარტყმული ბურთი. დადგა მე-60 წუთი და იასონ ალადაშვილის ერთმა შეცვლამ პრაქტიკულად მატჩის ბედი გადაწყვიტა... კიტეიშვილი ჩვენი დინამიტია, ვფიქრობ, დროულად ჩავრთე იგი თამაშში, თქვა პრესკონფერენციაზე „გორდას“ მთავარმა მწვრთნელმა.

ალადაშვილის ეს ცვლილება მართლაც რომ დროული და შედეგიანი იყო. აკი ნამატჩევს ამის გამო სალაღობო კომპლიმენტებიც არ დაჰკლებია რუსთაველთა თავკაცს — იასონ, ფერგიუსონი ყოფილხარო, ეხუმრებოდნენ ნაცნობ მეგობრები.

კიტეიშვილმა მართლაც რომ ცეცხლი დაანთო მოედანზე. ტანმორჩილი, სწრაფი ნახევარმცველის წყალობით მასპინძლებმა უმალ ხელთ იგდეს უპირატესობა, კიტეიშვილის პირველივე კარში დარტყმა კი გოლით დასრულდა. მარჯვენა ფლანგზე კარგად გაისარჯა ლევან სილაგაძე. მისი პასის მერე მეტოქის საჯარიმოში ივეჩიანმა კიტეიშვილს დაუგორა ბურთი და ამანაც ძლიერი დარტყმით ქვაჩახიასგან მარცხენა კუთხე აიღო. წესით და რიგით ისეთი გუნდი, როგორიც „ბათუმია“, ამ ერთ დარტყმას არ უნდა გაეტეხა, მაგრამ ჯანი კარნევალის შეგირდებმა ყურები ჩამოყარეს და შეცდომებს უმატეს. მასპინძლები კი საბოლოოდ გამოფხიზლდნენ. 72-ე წუთზე ერთხელაც გაიბრწყინა კიტეიშვილმა. მან გაბელაიას შორეული პასი მიიღო და 25 მეტრიდან ძლიერი დარტყმით მეორედ გამოატანინა ქვაჩახიას ბურთი კარიდან. „ბათუმი“ საბოლოოდ გატყდა, მასპინძელთა შემჩერებელი არავინ იყო მოედანზე.

განსაკუთრებით კიტეიშვილი და მელაძე აქტიურობდნენ, ამათ ზურგს კახა ალადაშვილი უმაგრებდა. სწორედ მისი ძალისხმევით გაბატონდნენ შეტევის მარცხენა ფრთაზე მასპინძლები. ალადაშვილის სწრაფ გარღვევებს საჯარიმოში ჩაწოდებები მოსდევდა, იქ კი მელაძე და კიტეიშვილი რამდენჯერმე ახლოს იყვნენ მესამე გოლთან, მაგრამ ხან ქვაჩახია ყოჩაღობდა, ხანაც კარს ცდებოდა ბურთი. მსგავსი ეპიზოდი იქმნებოდა მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრეც. ალადაშვილი საჯარიმოში ჩაწოდებას აპირებდა, მაგრამ კარიდან ოდნავ წინ გამოსული ქვაჩახია დალანდა და ეფექტური, მოჭრილი დარტყმით ბურთი შორეულ მაღალ კუთხეში ჩაჭედა. ამის შემხედვარე გულშემატკივრებმა სიხარულისგან კინაღამ ჩამოანგრიეს ტრიბუნა. გაიხარა „გორდას“ ახალმა პრეზიდენტმა თემურ ბუიღლიშვილმაც. ახალი საქმიანობის პირველივე დღეს ამხელა სიურპრიზი თუ მელოდა, ვერ წარმოვიდგენდიო, აღტაცება არ დაუფარავს ბუიღლიშვილს.

დარჩენილ დროში „ბათუმს“ პრესტიჟის გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ მეტოქის კარიდან ათ მეტრში მყოფმა აფხაზავამ ხელსაყრელი მომენტი გააცუდა.

რუსთაველ გულშემატკივარს კი ალბათ კარგა ხანს ემახსოვრება კაცი, რომელსაც ხელები გაეშალა და შეშლილი სახით საფინალო სასტვენის მერეც ყვიროდა...

ეს კაცი ჯანი კარნევალი იყო.

და ერთიც, სფფ აგვისტოში მატჩების დაწყების დროს ერთი საათით თუ გადმოწევს, ურიგო არ იქნება, თორემ შაბათის მატჩის ბოლო 15-წუთეულში აშკარად შემოაღამდათ გუნდებს.

გორი
19 აგვისტო
19 საათი
ცენტრალური
2 000 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:3 ვიტ ჯორჯია

0:1 ნოზაძე (16), 0:2 ქორიძე (24), 0:3 ყიფიანი (76)
დილა: სოლოლაშვილი, ბკოფიანი, გრიგალაშვილი, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ხოხობაშვილი (ხორგუაშვილი 42), საყვარელიძე, ციცქიშვილი (მ. ბურნაძე 82), ფეხუაშვილი, გ. ტულუში (ეჯოშვილი 35), ა. ხმალაძე
სათადარიგონი: მდივანი; ლომიძე, დ. მაისურაძე, ოლქვაშვილი
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია (ზ. გვაზავა 80), ქანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, დეკანოსიძე (დ. დოლიძე 53), ყიფიანი, გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე (ვ. გოჩაშვილი 42)
სათადარიგონი: სტურუა; ხაჭაპურიძე, სულთანიშვილი, იმნაიშვილი
გაფრთხილება: ლ. გოჩაშვილი (44), ყიფიანი (60), ხმალაძე (60), ქანკოტაძე (87)
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. ხუციშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); ა შალამბერიძე (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

გიორგი ვაშაკიძე გორიდან

# ბეითარი მოვიდა, ბეითარი!

**როგორც** იქნა დაგვეწყო XII ეროვნულიც, მაგრამ დაწყებაცაა და დაწყებაც. ჩემპიონატი ექვს ქალაქში გაიხსნა. ასეთ დროს საზეიმო განწყობა სუფევს-ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო...

გუშინ რედაქციაში მისულნი ერთმანეთს ვეკითხებოდით, შენს თამაშზე საქართველოს ჰიმნი თუ შეასრულესო. სხვა მატჩების რეპორტაჟებს თუ წაიკითხავთ, მიხვდებით რატომაც.

როგორც ფეხბურთის ფედერაციამ დააკანონა, მინდორზე გუნდებს კინოფილმ „პირველი მერცხალის“ მელოდიის თანხლებით მოუწევთ გასვლა. ამან გორელი ქომაგი ძალიან გაახარა. მერე ორივე გუნდის კაპიტნებმა — „დილას“ თამაზ ციცქიშვილმა და „ვიტ ჯორჯიას“ გიორგი ყიფიანმა — ეროვნული დროშა აღმართეს... „სამშობლოს“ თანხლებით, ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნი, „დიდება“, მერელა გაისმა.

მანამდე „ვიტ ჯორჯია“ დააჯილდოვეს. სარბენ ბილიკებზე მატჩის ინსპექტორმა, ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის შეფმა ანატოლი მილჩენკომ ვიცე-ჩემპიონებს სინით კუთვნილი ვერცხლის მედლები გადასცა.

და დაიწყო. ორი წუთის მერე არბიტრმა მეშკოვმა შეხვედრა გააჩერა და გორის „ცენტრალურზე“ შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს „დილას“ ყოფილი ფეხბურთელის, მახარე მინდიაშვილის ხსოვნას.

იერუსალიმის „ბეითარისგან“ რეტდასხმული „ვიტ ჯორჯია“ ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულზე, შეიძლება ითქვას, ფერზე მოვიდა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც ვიტელთა ახალმა მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ ხაზგასმით აღნიშნა, ჩვენთვის მთავარი ფსიქოლოგიური შოკიდან გამოსვლა იყო, რაც შეეხება თამაშის ხარისხს, ნაწილობრივ კმაყოფილი ვარ, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ხარვეზების აღმოსაფხვრელადო. „დილას“ მწვრთნელმა მერაბ ხუციშვილმა კოლეგას დიდსულოვნად მიულოცა გამარჯვება და შემდგომში წარმატებებიც უსურვა, თავის გუნდზე კი ის თქვა, რომ „დილა“ ფაქტობრივად გადახალისებულია, ამასთანავე პრობლემებია შემადგენლობაში, ბევრი ტრავმირებულიც გვყავს, მაგრამ დაგვიბრუნდებიან და მოვძლიერდებითო. მიზნად კი, როგორც ყველას, საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა დაუსახავთ.

ერთი რამ იყო თვალშისაცემი. „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელები მთელი შეხვედრის მანძილზე 21(!)-ჯერ მოხვდნენ თამაშგარე მდგომარეობაში, რაც „ბეითართან“ საპასუხო მატჩამდე ვიტელებს გასათვალისწინებელი ექნებათ, ხუციშვილმა კი „დილას“ დაცვის ხაზის აწყობილი თამაში გაგნიძის, აკოფიანისა და ლევან გოჩაშვილის გამოცდილებას მიაწერა.

სტუმრებმა მატჩი საკმაოდ იოლად მოიგეს. რომ იტყვიან, ძალთა მინიმალური დანახარჯით, „დილა“ კი ებრძოდა მეტოქეს, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არაა... „ჯუნგლები“, „დილას“ ერთგული ქომაგნიც მცირერიცხოვანნი კი იყვნენ, მაგრამ საყვარელ გუნდს ჩვეულად გულშემატკიერობდნენ. ალბათ, ვიტელები მათაც წააქეზეს. მთელი თამაშის განმავლობაში გაიძახოდნენ — „ბეითარი“ მოვიდა, „ბეითარიო“, ვიტელებმაც „ბეითარის“ ჯავრი მასპინძლებზე იყარეს.

ხაჩიძემ თითქმის ის შემადგენლობა ათამაშა, რომელიც ეროვნულზე „ბეითარს“ დაუპირისპირდა. ეგაა მხოლოდ, მცველი ედიკ საჯაია თავიდანვე ჩართო თამაშში. ებრაელებთან მატჩისგან განსხვავებით, „ვიტ ჯორჯიამ“ სულ სხვა ტაქტიკა აირჩია.

— ახლა კონტრშეტევაზე ვითამაშეთ, მაშინაც ასე უნდა გვემოქმედა. „ბეითართან“ მატჩში ჩვენ, მწვრთნელები, შევცდით, ვერ გავითვალისწინეთ „ბეითარის“ სიძლიერე.

„ვიტ ჯორჯია“ ყველა თამაშზე მოსაგებად გადის, იერუსალიმშიც ასე იქნება, 0:3-ის გაბათილება სტუმრად ძნელია, მაგრამ... არაა გამორიცხული, შემადგენლობაში ცვლილებებიც მოვახდინო“ — განუცხადა „სარბიელს“ ვლადიმერ ხაჩიძემ.

ჰო, ვიტელი გიორგი ყიფიანის 76-ე წუთზე გატანილი ბურთი „ბეითარის“ მეშვიდე ნომრის, ჯოვანი როსოს გატანილის ტყუპისცალი გახლდათ.



გიორგი ყიფიანი

[illegible] ფოტო

მცხეთა
19 აგვისტო
19 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

**თსუ 0:1 დინამო**

0:1 ვაშაკიძე (65)
თსუ: გუგუნავა, ებრალიძე, ე. ალადაშვილი, კვიციანი, ხარებავა (არეშიძე 75), ერაძე, მესხი, სვანიძე (ბ. ნოზაძე 87), ახალაძე, რ. გოცირიძე, წუწუნავა (ა. ბოკერია 79)
სათადარიგონი: მამარდაშვილი, ზვ. ლაბაძე, ლობჟანიძე, მორჩილაძე
დინამო: ჩიხრაძე, შაშიაშვილი, ი. ვაშაკიძე, ქემოკლიძე, ა. სახვაძე (კანდელაკი 84), ზამთარაძე, ჯინჭარაძე, დათუაძე, ანჩაბაძე, გადელია (ზირაქიშვილი 69), კ. გოგოლაძე (გ. ვ. მიქაძე 86)
სათადარიგონი: ბათიაშვილი, ბურდული, რუხაძე, მონასელიძე
გაფრთხილება: გოგოლაძე (22), სვანიძე (53), წუწუნავა (56), ახალაძე (74), ჯინჭარაძე (75)
მსაჯები: მ. მალალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); ა. ორდინიძე (ონი)
სფფ-ს ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

# ...და პუბლიკამ თავი დახარა

**ვახტანგ შხიაძე მცხეთიდან**

**ჰიმნით** დავიწყოთ? ბანალური დასაწყისია — ექვსიდან სამ ქალაქში მუქი არ იყო, ერთგან „ჩემო კარგო ქვეყანა“ გაისმა, ერთგან ჯერ „სამშობლო“ და მერელა „დიდება“. მხოლოდ ერთ ქალაქში გაიხსნა ჩემპიონატი დაპირებისამებრ, „დიდებითა“ და „პირველი მერცხლით“.

— რაც მე ამ ჰიმნზე ვიწვალე და მუქმა დაგვალალატაო — შესვენებისას ასე მოიბოდიშა სფფ-ს პრესსამსახურის უფროსმა მამუკა კვარაცხელიამ.

წვალებაში ჩვენი კოლეგა იმას თუ გულისხმობდა, ფედერაციამ რომ ჩემპიონატის ყველა მონაწილეს ჰიმნის და ქართული საფეხბურთო მარშის — კინოფილმ „პირველი მერცხლიდან“ ჯანსუღ კახიძის მელოდიის აუდიოჩანაწერები დაურიგა, თორემ მატჩის წინ ადგილობრივ „ელასთან“ მოლაპარაკება და მაგნიტოფონის დათადარიგება მასპინძელი გუნდის საქმეა — არა ფედერაციის.

ვირტუალურ ჰიმნამდე, რომლის დროსაც კაპიტნებმა (უფრო ზუსტად, კახაბერ ებრალიძემ, გიორგი ანჩაბაძემ სტატისტობა არჩია) ბუნიკზე ეროვნული დროშა ააფრიალეს, გულშემატკივრები კი თავდახრილნი გაიტრუნენ, ექსჩემპიონი დააჯილდოვეს.

რამდენიმე წლის წინ, თბილისის „დინამოს“ მერომელიღაცე ჩემპიონობის მერე იყო, ძმები არველაძეები (ცხადია, უფროსი ძმა რევაზი მაშინ ჯერ კიდევ ფეხბურთელი იყო) მაშინდელ ფედერაციას რომ საყვედურობდნენ, ოქროს მედლები ბაზის დარაჯის ხელით გადმოგვცაო...

შაბათის მატჩს მცხეთაში ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ესწრებოდნენ. და, ახლა უკვე „დინამოს“ თავკაც რევაზ არველაძისთვის მსგავსი უკმაყოფილება აღარ შეგვიტყვია. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სინზე დახვავებული ბრინჯაოს 25 მედლიდან, რომელიც დარაჯმა კი არა, თვით შოთა ხინჩაგაშვილმა მიართვა გიორგი ანჩაბაძეს, ერთ-ერთი უფროსი არველაძისაა. „დინამოს“ ექსჩემპიონობა (შარშანდელი მესამე ადგილი) სხვებთან ერთად ხომ მისი ნაოფლარია.

არადა, ამაში, ალბათ, ყველა დამეთანხმება, გაუგებარია, რით ვერ მოახერხა ჩვენმა ფედერაციამ 5-ათასლარიანი ბანკეტის გადახდა პრიზიორებისთვის მაშინ, როცა ეროვნულ ნაკრებს ლიტვა-იტალიაში მოგების შემთხვევაში 600 000 ლარს ჰპირდება.

წლეულს ასეა და რა იქნება გაისად, ღმერთმა უწყის. ფაქტია, ფედერაციამ შარშან განახლებულ კარგ ტრადიციას მალე მიაყარა მიწა და ეს დასანანია.

ამბობენ, გაისად პრიზიორთა სუბორდინაცია სხვაგვარი იქნებაო. თუმცა, ამბობენ სხვაგვარი ნათქვამია მაშინ, როცა: შაბათს „სარბიელში“ რევაზ არველაძის სიტყვებს ვკითხულობთ, უეჭველად ჩემპიონები გავხდებითო.

პირველი ტურის შემდეგ, როცა მხოლოდ ორი გუნდის ნახვის საშუალება იყო და დიდად სანახავი და ახალი ბევრიც არაფერი, ძნელია თუნდაც ივარაუდო, ვინ გახდება ჩემპიონი.

მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად წარმატებული დებიუტისა, რევაზ არველაძის გუნდი არ ჰგავს უპირობოდ საჩემპიონოს. ყოველ შემთხვევაში, თსუ-სთან მოგება რომ არ გასჭირვებია, ეს უფრო სტუდენტთა სისუსტის ბრალია.

„დინამოს“ მაინც ეტყობა ახალი მწვრთნელის ხელი. სხვა საქმეა, როგორ. ახლა ისიც საქმეა, რომ ეტყობა. შემადგენლობაში საკმაო ცვლილებები და უფრო მეტი ადგილმონაცვლეობაა, რაც საბოლოო ჯამში თამაშს დიდად ვერ ცვლის, მაგრამ მცირედით აუმჯობესებს. ვნახოთ, რას შეძლებს არველაძე მასსავით ახალგაზრდა თანაშემწეებთან ერთად. ახლა ჩვენ მხოლოდ ერთის თქმა შეგვიძლია — წარმატებას ვუსურვებთ.

მასპინძლები დიდად ჩამოუვარდებიან შარშანდელ გუნდს და ერთადერთი, რაც მათ თამაშში ძნელადშესამჩნევი, მაგრამ მოსაწონი იყო, „ვიტ ჯორჯიადან“ ახალწვეული თავდამსხმელი რევაზ გოცირიძე გახლდათ.

გოცირიძე გამორჩეული იყო არამხოლოდ იმით, რომ მას „დინამოს“ 32-წლის თავდამსხმელ კახა გოგოლაძისგან განსხვავებით პერსპექტივა აქვს. თსუ-ელი ფორვარდის შემართება, ბრძოლისუნარიანობა, შესაბამისი ფიზიკური მონაცემები და გახსნის, საგოლე სიტუაციის შექმნა-შეფასების ნიჭ-უნარი ადრეც შეგვინიშნავს, მაგრამ ერთია ფეხბურთელის (თუნდაც წაგებულ მატჩში) 90 წუთის განმავლობაში ცქერა და მეორე, შეცვლაზე, 10-15 წუთით.

„დინამოდან“ ტრადიციულად საუკეთესო გიორგი ანჩაბაძე იყო. სამწუხაროდ, ამგვარი ნიჭის პატრონი ვერაფრით გასცდა საქართველოს ჩემპიონატის დონეს. გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში მანამდე კარგად მოთამაშე მეკარის, კონსტანტინე გუგუნავას შეცდომას მოჰყვა. კუთხურისას გამოსვლაზე გუგუნავამ გოგოლაძესთან წააგო დუელი, გადმოვარდნილი ბურთი კი საკუთარი საჯარიმოდან თავგამოსაჩენად წინწაწეულმა ირაკლი ვაშაკიძემ ფეხით გაიტანა.

„დინამოს“ სავარჯიშო ამუნიციაზეც ვთქვათ, რომლითაც უფროსი ძმის გუნდი ტყუპებმა დააჯილდოვეს. ექსჩემპიონს „აიაქსის“ ტრუს-მაისურებზე ჰოლანდიური კლუბის ემბლემა ნომრებით გადაუფარავთ, მწვრთნელებისთვის კი ევროპულად R (რევაზ არველაძე), G (გოჩა ტყებუჩავა) და N (ნიკოლოზ ჩხეიძე) გადაუკერებიათ.

და კიდევ, მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია არ შედგა. ხეირიანი არც საამისოდ გამოყოფილი ოთახი იყო და არც მწვრთნელებთან გასაუბრების სურვილი ყოფილა რიგიანი, თორემ...

თვით რევაზ არველაძემაც პირადი საუბრის მცდელობისას ნათქვამი — გილოცავთ — მილოცვად მიიღო და თუ მისგან ვინმეს ინტერვიუ სურდა, არც უფიქრია, თორემ ცხადია, არ გაგვერიდებოდა.



კონსტანტინე გუგუნავას შეცდომას ირაკლი ვაშაკიძის ეს გოლი მოჰყვა



თემურ გადელიას მყარატელა

# რეპეტიცია ვერ გამოვიდა

ხაშური
19 აგვისტო
19 საათი
ბიჭი ჯოგაართიძე
800 (ტევადობა 8 000)

**იბერია 0:1 ლოკომოტივი**

0:1 გონჩაროვი (33)
იბერია: ვარდანიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ლ. ხმალაძე (ჩიმაკაძე 66), გიგიაძე, ზ. მეტრეველი, ოდიკაძე, მუმლაძე
სათადარიგონი: ჩომახიძე, ყურაშვილი, ბიწაძე, ონიანი
ლოკომოტივი: ლომაია, ლ. მიქაძე, აბრამიძე, თოდუა, ბალაშვილი, კვარაცხელია, გოგიჩაიშვილი, ჯელაძე (მარამონოვი 64), გონჩაროვი, გ. შენგელია (სალუქვაძე 70), დავითაშვილი (ძოძუაშვილი 60)
სათადარიგონი: ახლანაძე, რუსია, გილაური, აფციაური
გაფრთხილება: გიორგაძე (22), სანიკიძე (23), გოგიჩაიშვილი (58), ბალაშვილი (79)
მსაჯები: ა. შილაკაძე; ს. შალამბერიძე, მ. ელიკაშვილი (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
სფფ-ს ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

**დავით თავართქილაძე ხაშურიდან**

**მეთორმეტე** ცდაზე კაცს წესით იალლიშები არ უნდა მოსდიოდეს და პირველ-მეორესთან შედარებით საქმეს უფრო კარგადაც უნდა ართმევდეს თავს. არანაირი სიდუხჭირით არ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდის კაპიტანი უსამკლაუროდ იყოს მინდორზე. შეხვედრის ოქმში „იბერიას“ გუნდისთავად იოსებ გიგიაძე გახლდათ მითითებული, ხოლო ეროვნული დროშა მის ნაცვლად უსამკლაურო ოთარ ვარდანიძემ ალმართა ლოკომოტიველ კახი გოგიჩაიშვილთან ერთად.

ვერ მოვისმინეთ და ფეხზე ვერ წამოვუდექით კოტე ფოცხვერაშვილის „დიდებას“, ვერც გუნდების შემადგენლობები გავიგონეთ. „გივი ჯომართიძეზე“ უხვად და უქმად მდგარი რეპროდუქტორებიდან.

ხაშურში რამდენიმე ასეულ კაცს მოეყარა თავი, მაგრამ ყველამ როდი იცოდა, რა რანგის და რა მატჩი ტარდებოდა.

გულშემატკივართა დიდ ნაწილს ოუენის, რონალდოს, ბექემისა და სხვათა მაისურებით შემოსილი ყმაწვილბიჭობა შეადგენდა. საზეიმო განწყობა ან რაიმე ამის მსგავსი კი ნურას უკაცრავად. მექანიკური ტაბლო რაა, არც ის ღირსებიათ ხაშურელებსა და მათ სტუმრებს. ჯანდაბას ფორმალობები, ახლა თავად ფეხბურთელზეც ვთქვათ.

მატჩი საინტერესო იმით უფრო იყო, რომ მასში თასის მფლობელი და ის ერთადერთი ქართული გუნდი მონაწილეობდა, რომელსაც ჯერაც შერჩა პირველი ევრობარიერის გადალახვის მეტ-ნაკლებად პრაქტიკული შანსი.

„ლოკომოტივის“ გენრეპეტიცია „სლოვანთან“ შინ გასაჯიბრებლად დიდად შთამბეჭდავი არ გამოდგა, რკინიგზელთა გუნდს ვერც სპარინგ-პარტნიორს შევუქებთ.

რევაზ ძოძუაშვილმა კლასიკური 4-4-2 აირჩია, პლეიმეიქერობა ფლანგებზე მონავარდე გოგიჩაიშვილს ანდო, ფორვარდთა წყვილს ახალწვეულები — არმაზ ჯელაძე და ბორის გონჩაროვი შეადგენდნენ, ფლანგებიც „ლოკომოტივის“ დებიუტანტებს, დავითაშვილსა და შენგელიას გადაულოცეს.

მაგრამ განლაგება ერთია და შეტევის ხარისხი მეორე — პოტენციურადაც არ ჩანდა ის აგრესიულობა, რაც სლოვაკებთან მატჩის წინ დაგვაიმედებდა. ღმერთმა ქნას, ყოველივე ეს რკინიგზელთა გუნდს ზეგისთვის ჰქონდეს გადანახული.

ნომინალური მასპინძლები პირველ წუთებში ტოლს არ უდებდნენ თბილისელებს. სამტრედიელთა თამაშის წარმართვას სოსო გიგიაძე ცდილობდა, მაგრამ გივი კვარაცხელიამ თანდათან მოადუნა მისი ენთუზიაზმი. აქტიურობდა თავდასხმაში ეულად მყოფი ზურაბ მეტრეველიც, რომლის დახმარებასაც ოდიკაძე და მუმლაძე ლამობდნენ, მაგრამ ტაიმის შუაწელში „ლოკომოტივის“ უპირატესობა აშკარა გახდა. „იბერიამ“ კი უხეშობას უმატა. ჰოდა, ალექსანდრე შილაკაძემაც დროულად, საგანგებოდ თავისთან იხმო გუნდთა კაპიტნები და სიმშვიდისკენ მოუწოდა.

ზავის შემდეგ სტუმართა იერიშები ერთიორად გამწვავდა. „ლოკომოტივი“ უმეტესწილად მარცხენა ფლანგიდან უტევდა, სადაც დიდი მონდომებით და ნაყოფიერად მოქმედებდა დავითაშვილი. მან ჯერ ჯელაძე დააჯილდოვა გადაცემით, შემდეგ გონჩაროვი, მაგრამ ორჯერვე ახლო მანძილიდან სიზუსტემ უმტყუნა ფორვარდებს.

საგოლე კომბინაციაც მარცხენა ფლანგიდან დაიწყო — სამტრედიელთა საჯარიმოში ჩაკიდებულს შეტევაში გაჭრილი ლევან მიქაძე თავით შეეგება და მშვენიერ პოზიციაში მყოფმა ბორის გონჩაროვმაც თავურით გაიტანა გამარჯვების გოლი.

საერთო სურათი არც მეორე 45 წუთში შეცვლილა. გაშვებულმა ბურთმა „იბერია“ ვერ გააშმაგა, მხოლოდ ერთხელ შეძლო ხიფათის შექმნა — სრულიად უმეთვალყურეოდ მიტოვებულმა ჩიმაკაძემ 8-9 მეტრიდან ისე დაარტყა ბურთს თავი, რომ გაუნძრევლად მდგარ ლომაიას ზუსტად ხელებში მიართვა. ლოკომოტიველთაგან უკეთესი შანსი არმაზ ჯელაძეს ჰქონდა, მაგრამ პირისპირ ვარდანიძეს ვერ აჯობა.

ერთიც უნდა ითქვას. კარგია, როცა ჩვენს ერთ-ერთ წამყვან გუნდს გამოკვეთილი და გამობრძმედილი ლიდერი ჰყავს, მაგრამ როცა მატჩის მიწურულსაც კი ყველაზე დიდი შემართებითა და მხნეობით 32 წელს მიტანებული კახი გოგიჩაიშვილი იბრძვის... ეს უკვე ძალიან ცუდის მომასწავებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ციურიხელმა ქართველებმა ოპონენტები დაადუმეს

**წინა** მატჩებთან შედარებით, მეშვიდე ტური შვეიცარიის ჩემპიონატში მოთამაშე ქართველთათვის წარმატებული გამოდგა — სამი ჩვენებურიდან ორმა გოლი გაიტანა.

ჩემპიონატის აუტსაიდერმა გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხმა“ საკუთარ მინდორზე „ლუცერნს“ უმასპინძლა. საინტერესო და დაძაბული მატჩი ციურიხელებმა 4:2 მოიგეს. აღსანიშნავია, რომ ეს გამარჯვება მასპინძლებისთვის წლევანდელ ჩემპიონატში პირველი გახლდათ. ციურიხელთა შორის „ლუცერნთან“ შეხვედრაში ყველაზე მეტად სწორედ ქართული დუეტი გამოირჩეოდა. ჯამარაულმაც და ყაველაშვილმაც ძალიან აქტიურად ითამაშეს და გამარჯვებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი დაიდეს. ანგარიში მატჩის 29-ე წუთზე გაიხსნა. ჯამარაულის ძლიერ დარტყმას ფოლეტი წინ ვერ აღუდგა. ეს გოლი საქართველოს ნაკრების ნახევარმცველისთვის წლეულს მეორე იყო. გოჩას ამ შეხვედრაში დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ 55-ე წუთზე ძელმა შეუშალა ხელი, მანამდე ცოტა ხნით ადრე ჯამარაულმა ბურთის სასტვენის შემდეგ გადაგდებისთვის გაფრთხილებაც დაიმსახურა. ერთი გოლი და ერთი ყვითელი ბარათი ყაველაშვილმაც ჩაიწერა აქტივში. გაფრთხილება ყაველაშვილმა უხეშობისთვის 53-ე წუთზე მიიღო, ხუთ წუთში კი შეცდომა გოლით გამოასწორა და ანგარიში 2:0 გახადა. საბოლოოდ „ციურიხმა“ 4:2 მოიგო და ერთი საფეხურით აინაცვლა.

აღსანიშნავია, რომ ციურიხელთა თავკაცი ჟილბერტ გრესი ბოლო დროს ორივე ქართველს ერთდროულად ძირითად შემადგენლობაში აღარ აყენებდა. წინა ტურში სტუმრად 0:2 წაგებულ შეხვედრაში კი „ციურიხის“ სასტარტო შემადგენლობაში ვერც ჯამარაული ვიხილეთ და ვერც ყაველაშვილი. გოჩა მწვრთნელმა მინდორზე 32-ე წუთზეღა შეუშვა. „ლუცერნთან“ მატჩი ქართველთა პასუხი გახლდათ მათ ბოლოდროინდელ კრიტიკაზე“ — აღნიშნა გუშინდელმა „თაგეს ანცაიგერმა“.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია შვეიცარიაში მოთამაშე მესამე ქართველი, ექსბათუმელი ლევან ხომერიკი. „არაუში“ იგი, მოგეხსენებათ, სულ თვენახევრის წინ გადავიდა. მასზე კლუბის მთავარი მწვრთნელი როლფ ფრინგერი დიდ იმედებს ამყარებდა, თუმცა პირველი მატჩების შემდეგ ნდობა დაკარგა და ბოლო ტურებია, ხომერიკი მატჩის მიწურულსღა შეჰყავს მინდორზე. „ლოზანასთანაც“ ასე იყო, ხომერიკი 73-ე წუთზე გამოჩნდა. ამ დროს 1:1 იყო და ფრინგერსაც გამარჯვების იმედი კიდევ შერჩენოდა, თუმც სამი ქულის ნაცვლად ხელში 1:2 მარცხიღა შერჩა. „არაუ“ შვეიცარიის ჩემპიონატში ამჟამად მერვე ადგილზეა.

თუკი ციურიხელმა ქართველებმა თავიანთი შანსი გამოიყენეს და ოპონენტები დაადუმეს, ხომერიკს ამის შანსი ბოლო დროს არც მისცემია.

დაიბრუნებს ლევანი ფრინგერის ნდობას? ჯერაც საკითხავია.

**ვანო ოქრობირიძე**

# საქართველო პალანგაში მესამეა

**გუშინ** ლიტვის ქალაქ პალანგაში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი 16 წლამდელთა შორის. საქართველოს ნაკრების გარდა, რომელსაც თენგიზ სულაქველიძე წვრთნის, პალანგაში ხუთი გუნდი თამაშობდა — მასპინძელთა ორი, ლატვია, რუსეთი და მოლდოვა.

ტურნირის ბოლო ტურში თენგიზ სულაქველიძის შეგირდებმა ლიტვა-2 5:0 გაანადგურეს და საბოლოოდ 8 ქულით მესამე ადგილს დასჯერდნენ. პირველობა კი რუსებმა მოიპოვეს, რომლებმაც გუშინ ლიტვა-1 2:1 დაამარცხეს. გუშინვე ლატვიელებმა მოლდოველებს 6:0 სძლიეს.

ტურნირში მეორე ადგილი უფროსმა მასპინძლებმა დაიკავეს, მართალია, მათაც 8 ქულა მოაგროვეს, მაგრამ ბურთების სხვაობა ლიტველებს უკეთესი აღმოაჩნდათ.

**ლუკა თალაკვაძე**

# სლოვანი: გუნდი თბილისში, ხალხი ციხეში

**„ლოკომოტივის“** მეტოქე ბრატისლავის „სლოვანი“ თბილისს დღეს ვენის გავლით 4 საათისთვის ესტუმრება და საღამოს ალბათ „მიხეილ მესხის“ მშენებარე სტადიონზე ივარჯიშებს.

როგორც ჩვენმა სლოვაკმა კოლეგამ გვაცნობა, „სლოვანი“ თბილისს უძლიერესი შემადგენლობით მოემგზავრება, ფეხბურთელთაგან არავის არაფერი აწუხებს და აქაც მოგების იმედი აქვთ.

„ლოკომოტივის“ არ იყოს, შაბათს ეროვნულ ჩემპიონატში „სლოვანმაც“ ითამაშა. ბრატისლაველებმა ტრნავაში თურმე ძალები დაზოგეს და იქაურ „სპარტაკთან“ ფრეს დასჯერდნენ. სტუმრები მე-12 წუთზე მესაროშს დაუწინაურებია, მასპინძლებს წონასწორობა 27-ე წუთზე აღუდგენიათ. მატჩის შემდეგ „სლოვანის“ მწვრთნელმა სტანისლავ აირაბეკმა სლოვაკ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი ფეხბურთელები უკვე თბილისის თამაშზე ფიქრობდნენ და ამიტომაც ვერ გაიმარჯვეს.

„სპარტაკ“—„სლოვანის“ მატჩისას ტრიბუნაზე თურმე ერთი ამბავი ამტყდარა. გუნდების ქომაგებს ერთმანეთში მუშტი-კრივი გაუმართავთ, „სპარტაკის“ სტადიონი დაულეწავთ და აგლეჯილი პლასტმასის სკამები პოლიციელთათვისაც უთავაზებიათ. საბოლოოდ რამდენიმე ათეული მასპინძელი და სტუმარი ქომაგი ვირის აბანოში მიუბრძანებიათ.

გუშინ, თბილისში გამოფრენის წინ სლოვანელებმა კლუბის ოფისში საათნახევარი ითათბირეს, ხელმძღვანელები „ლოკომოტივის“ დამარცხებისთვის ფეხბურთელებს არცთუ მცირე პრემიას შეპირდნენ.

მერე იარაბეკს ბიჭებისთვის თბილისელებთან პირველი მატჩის ფირი უჩვენებია და ეს უთქვამს — „ლოკომოტივთან“ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, თორემ შეიძლება შემდეგ ეტაპზე გასასვლელად 2:0 საკმარისი არ იყოსო.

„სლოვანმა“ ტრნავაში, „სპარტაკის“ წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ბერნადი; პეცკო, ტიმკო, ჰრნჩარი; ბალიში, პანჩიკი (კრისი 46), გიოგი, სედლაკი, იეჟიკი; იანჩულა (შლაპორი 74), მესაროში.*

**კობა ინასარიძე**

# საზაფხულო მიდი-მოდი

წავიდ-წამოვიდნენ! დღეს უმაღლესი ლიგის „საზაფხულო მიდი-მოდის“ საბოლოოდ დაზუსტებული სახით ვბეჭდავთ და ქართულ ტრანსფერებთან შეხვედრა კიდევ ერთხელ მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგიწევთ, თუ კი პირველი ლიგის გუნდებზეც შევძლებით მსგავსი ინფორმაციის მოპოვება.

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ტორპედო**<br>*დავით ყიფიანი* | სომხიშვილი (მილანი), მაღლაკელიძე (კოლხეთი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი) | გრიშიკაშვილი, გუჩუა, გაბიდაური (დინამო), ტოგონიძე, ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი) | სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0, თსუ 1:0, დილა 4:0, 2:0, ბათუმი 1:0 |
| **ვიტ ჯორჯია**<br>*სერგო კოტრიკაძე* | გოცირიძე, მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი), კოტორაშვილი (დილა) | სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ინწკირველი (თსუ), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), სტურუა (სამგურალი), ჭილაძე (ს.ა. იბერია) | თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოპენჰამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, ჰანზა 0:1, ლიუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენჰაფენი (რვავე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1, ბეითარი (ისრაელი) 0:3 |
| **დინამო**<br>*რევაზ არველაძე* | ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), გრიშიკაშვილი, გუჩუა, გაბიდაური (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), მინაშვილი (მერანი); რ. არველაძე, ნ. ჩხეიძე (კარიერა დაასრულეს); ჯემალ ჩიმაკაძე (მწვრთნელი, დინამო 2) | კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბათიაშვილი, კანდელაკი, გადელია, ზამთარაძე (თბილისი), ცხადაძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა); რ. არველაძე (მწვრთნელი) | შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, შუქურა 2:0, ლოკომოტივი 1:0, 2:3, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 2:0 |
| **ბათუმი**<br>*ჯანი კარნევალი* | მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ტოგონიძე, ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (შუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?) | ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მჟავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ბარქაია (თსუ), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი) | ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1, შუქურა 2:1, ტორპედო 0:1 |
| **კოლხეთი**<br>*გია ტყებუჩავა* | ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (ურალანი, რუსეთი), ე. გვასალია (ტრანსფერზეა) | მაღლაკელიძე (ტორპედო), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), ფრანგიშვილი (სამგურალი), ჭანტურიძე (ცხუმი), კრასოვსკი, თედეევი, გ. ჭანტურია, ლეჟავა (კოლხეთი 2) | ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, ბათუმი 1:2, გურია 3:0, 3:1 |
| **სიონი**<br>*სპარტაკ არჩვაძე* | კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (უკლუბოდაა) | ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), გამცემლიძე (ლოკომოტივი), ნივნივაძე (არსენალი), პეტრიაშვილი (არ თამაშობდა) | ლოკომოტივი 1:0, 3:1, მილანი 0:2, სამგურალი 2:4 |
| **იბერია**<br>*სოსო ფრუიძე* | ვ. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ნაროუშვილი (ლოკომოტივი), ივეჩიანი (გორდა), გ. დოლიძე (გურია) | კაკაშვილი (არსენალი), შავგულიძე (რწმენა) | სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი, რუსეთი) 1:2, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2 |
| **დილა**<br>*მერაბ ხუციშვილი* | სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა), რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი); მერაბ კოჭლაშვილი (მწვრთნელი) | კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი) | ტორპედო 0:4, 0:2 ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4 |
| **მერანი**<br>*სერგო გაბელაია* | დავითაშვილი (ლოკომოტივი) | ბაჯელიძე (ჰაპოელი, ტაიბი, ისრაელი), მინაშვილი (დინამო), ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), დევაძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1 |
| **ლოკომოტივი**<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), გ. ჩიხრაძე (ჰაპოელი, ბეით შანი, ისრაელი), კაციაშვილი, გ. გვაზავა (მეტალურგი), ჩხაიძე (ტორპედო), დ. გოდერძიშვილი (მერანი), ნიკურაძე (გორდა), ჯულელი, ბაქრაძე, რ. ონიანი (?) | გონჩაროვი, აფციაური (თბილისი), ნაროუშვილი (იბერია), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი), ლონლაძე (სამგურალი) | გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, სიონი 1:0, 3:1, დინამო 0:1, 3:2, სლოვანი (სლოვაკეთი) 0:2, საქართველოს ეროვნული ნაკრები 2:2 |
| **თსუ**<br>*თენგიზ კაცია* | მერლანი, დეკანოსიძე, ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ფარქოსაძე (?, გერმანია), ხართიშვილი (?) | გოცირიძე, მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), სტურუა (სამგურალი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი) | ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2, ტორპედო 0:1, სამგურალი 1:2 |
| **გორდა**<br>*იასონ ალადაშვილი* | გ. კილასონია, ვ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), ს. ბურნაძე (ლოკომოტივი), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი) | ივეჩიანი (იბერია), სურმავა, ფოჩხუა (მრეტები), ნიკურაძე (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# ინგლისი

## I ტური

### მანჩესტერი 2:0 ნიუკასლი

1:0 იონსენი (21), 2:0 კოული (70)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ფ. ნევილი, სტამი, იონსენი (უოლვორკი 63), ბექემი, კინი, სქოულზი, ე. კოული (სოლსკიაერი 75), შერინგემი (იორკი 76), გიგზი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ნიუკასლი: გივენი, უ. ბარტონი, მარსელინიო, დაბიზასი, გომა (დაიერი 46), ლი (სოლანო 56), სპიდი, კორდონე, ა. ჰიუზი, შირერი, კორტი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: გომა
მსაჯი: ლოჯი
67 477 მაყურებელი

### ჩარლტონი 4:0 სიტი

1:0 ჰანტი (10), 2:0 რობინსონი (42), 3:0 კინსელა (72), 4:0 სტიუარტი (80პ)
ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, პაუელი, სტიუარტი, რუფუსი, ტაილერი, კინსელა, ჰანტი, რობინსონი (კონჩესკი 86), იენსენი (ბრაუნი 74), ლისბი (ნიუტონი 81)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
სიტი: ვეივერი, ედჯილი, ვიკენსი, ჰორლოკი (რაიტ-ფილიპსი 46), პრიორი, ჰაბლალი, ტიატო, ჰაუი, კენედი, ვეა, ვანჩოპე
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: სტიუარტი, ვანჩოპე, ჰაალანდი, ვეივერი
მსაჯი: ჰარისი
20 043 მაყურებელი

### ჩელსი 4:2 ვესტ ჰემი

1:0 ჰასელბაინკი (31პ), 1:1 დი კანიო (48), 2:1 ძოლა (59), 3:1 სტანიჩი (78), 3:2 კანო (85), 4:2 სტანიჩი (90)
ჩელსი: დე გუი, პანუჩი, ბაბაიარო (ლესო 70), დესაი, პოიეტი (მორისი 82), უაიზი, მელხიოტი, დი მატეო, სტანიჩი, ჰასელბაინკი, ძოლა (ფლო 70)
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, შტიმაცი, ლომასი, უინტერბერნი, ლამპარდი, მარგასი, კარიკი (ჯ. კოული 85), დი კანიო, შუკერი, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: პანუჩი, ლამპარდი, ჰისლოპი, მარგასი
მსაჯი: ბარდერი
34 914 მაყურებელი

### ქოვენთრი 1:3 მიდლსბრო

0:1 ჟობი (20), 1:1 ოსტიჩი (41), 1:2, 1:3 ბოკშიჩი (59, 62)
ქოვენთრი: ჰედმანი, უილიამსი, კ. ჰენდრი, ტომპსონი, ჩიპო, რუსელი, პალმერი, ოსტიჩი (ტელფერი 68), ბრინი (ალოიზი 80), ბელამი, ჰალი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, პალისტერი (გევინი 80), კარამბეუ, ინსი, ონილი, კუპერი, ჟობი (ოკონი 83), დინი, ბოკშიჩი (ველანი 76)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
გაფრთხილება: უილიამსი, ოსტიჩი, პალმერი, ბრინი, ტომპსონი, ბოკშიჩი, ინსი
გაძევება: ტომპსონი (71)
მსაჯი: ნაითი
20 624 მაყურებელი

### დერბი ქაუნთი 2:2 საუთჰემპტონი

0:1, 0:2 კაჩლული (15, 22), 1:2 შტრუპარი (32), 2:2 ბარტონი (49)
დერბი ქაუნთი: პოომი, ბრაგსტადი, ჰიგინბოთემი, ბლატსისი, ჯონსონი, ერანიო, პაუელი, დელაპი (ს. ელიოტი 83), ვალაკარი, ლ. მორისი (დ. ბარტონი 46), შტრუპარი (სტარიჯი 84)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, ელ ხალეჯი, დოდი, ლუნდეკვამი, კაჩლული, დრეიპერი, ოუკლი (ტესემი 72), მარსდენი, დევისი, ბრიჯი, როსლერი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ბლატსისი, ელ ხალეჯი
მსაჯი: დურსო
27 223 მაყურებელი



მანჩესტერი — ნიუკასლი 2:0. ნიუკასლელი დანიელ კორდონე და მანჩესტერელი დევიდ ბექემი (მარჯვნივ)

REUTERS მანჩესტერიდან

### ლიდსი 2:0 ევერტონი

1:0, 2:0 სმიტი (16, 37)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰარტი, დაკური, რადებე, ვუდგეიტი, ბრიჯისი (მაკერბი 79), ვიდუკა, ბოიერი, ა. სმიტი, ბაკე (მილსი 79)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ევერტონი: ჟერარი, ს. უოტსონი, პისტონე, ვეირი, ანსუორთი, ნიარკო, ს. ჰიუზი (ბ. ფერგიუსონი 57), ბოლი, ჯეფერსი, ჯემილი (გესქოინი 74), მ. ჰიუზი (მაქს-მური 64)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: ვუდგეიტი, უოტსონი, ნიარკო, ჯეფერსი
მსაჯი: გალაჰერი
40 010 მაყურებელი

### ლესტერი 0:0 ასტონ ვილა

ლესტერი: ფლაუერსი, როუეტი (უოლში 82), დავიდსონი (ედი 60), მ. ელიოტი, ტაგარტი, ინპი, სევიჯი, ლენონი, იზეტი, კოლიმორი, აკინბი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, საუთგეიტი, ბოატენგი, დაბლინი, მერსონი, ჟინოლა (ვასელი 59), ბერი, ლ. ჰენდრი, სტოუნი, ალფაი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ლენონი, სევიჯი, ჟინოლა, მერსონი, ვასელი
მსაჯი: რილი
21 455 მაყურებელი

### ლივერპული 1:0 ბრედფორდი

1:0 ჰესკი (67)
ლივერპული: ვესტერფელდი, ენჩოსი, ბაბელი, შმიცერი, ჰესკი (ბერგერი 82), ოუენი (კარაგერი 76), ჰიიპია, ჰამანი, ჯერარდი (მაკალისტერი 68), ბარმბი, ტრაორე
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ბრედფორდი: კლარკი, ნოლანი, მაკკოლი, ვეზეროლი, უოლი, ობრაიენი, უინდასი, შარპი (ბიგრი 82), აზერტონი, პეტრესკუ (უორდი 75), ჰოპკინი (კარბონე 75)
მწვრთნელი: კრის ჰაჩინგსი
გაფრთხილება: ტრაორე, ვეზეროლი
მსაჯი: დარკინი
44 183 მაყურებელი

### სანდერლენდი 1:0 არსენალი

1:0 ქუინი (53)
სანდერლენდი: სორენსენი (მახო 48), მაკინი, გრეი, რუა (უილიამსი 59), ბატლერი, ვარგა, კილბეინი, ტირლველი, ჰოლოვეი, ნ. ქუინი (რიდი 79), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
არსენალი: სიმენი, დიქსონი (ლორენი 77), ვიეირა, კიოუნი, ადამსი, ლიუნგბერგი (პირესი 66), პარლოუ, სილვინიო, გრიმანდი (ბერხკამპი 74), ანრი, კანუ
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ქუინი, ჰოლოვეი, უილიამსი, ანრი
გაძევება: ვიეირა (90)
მსაჯი: დანი
46 347 მაყურებელი

### ტოტენჰემი 3:1 იფსვიჩი

0:1 ვენუსი (9), 1:1 ანდერტონი (30პ), 2:1 კარი (35), 3:1 ფერდინანდი (82)
ტოტენჰემი: სალივანი, კარი, ს. კემპბელი, პერი, ფროინდი, ანდერტონი, შერვუდი, ივერსენი (ლ. ფერდინანდი 76), რებროვი, ლეონარდსენი, ტეტჩერი (ტარიკო 89)
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
იფსვიჩი: რ. რაიტი, კლაპამი, ვენუსი (ბრაუნი 75), მეჯილტონი, ჰოლანდი, იონსონი, შოუკროფტი (როიზერი 70), სტიუარტი, კროფტი, ბრემბლი, ჰრეიდარსონი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
მსაჯი: უილი
36 148 მაყურებელი

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ჩარლტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | ჩელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 | ტოტენჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 | მიდლსბრო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 5 | მანჩესტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 | ლიდსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 | ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 | სანდერლენდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 | საუთჰემპტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 10 | დერბი ქაუნთი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 11 | ასტონ ვილა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 12 | ლესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 | არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 14 | ბრედფორდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 15 | ვესტ ჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 |
| 16 | ქოვენთრი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 17 | იფსვიჩი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 18 | ევერტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 19 | ნიუკასლი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 20 | სიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |

# პირველი სერია

ფეხბურთის ყველაზე უფრო თვალისმომჭრელი სერიალი — პრემიერლიგა გასულ შაბათს დაიწყო და ნაშუადღევსვე დაგვანახა ახალი გმირები.

შეჯიბრების პირველივე ათ წუთში ცხადი შეიქმნა, რომ, ჯერჯერობით მაინც, ყველაზე სუსტი „მანჩესტერ სიტია“ — პრემიერლიგაში მწყობრი ნაბიჯით დაბრუნებული ძველი და სახელიანი გუნდი.

„სიტიმ“ 0:4 წააგო ჩარლტონის „ველიზე“, ასევე დაფით და ნაღარით დაბრუნებულ იქაურ „ატლეტიკთან“. ჩარლტონელებმა კი ითამაშეს, როგორც ოცი წლის წინათ თამაშობდა დიდი „ლივერპული“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „ლივერპული“ ევროპის საუკეთესო გუნდებს სჯაბნიდა, „ჩალტონმა“ კი უბადრუკი „სიტი“ დაანგრია.

ვინა ჰყოლია „სიტის“ მაგარი და მეკარე ვეივერი, რომელსაც ძელებიც ეხმარებოდნენ.

მანჩესტერელთა თავდასხმის სახელებით წამხდენი წყვილი, ჯორჯ ვეა და პაულო სესარ ვანჩოპე, მხოლოდ ოქმში თუ გამოიყურებოდა შთამბეჭდავად. ვეას ბურთი არ მიუღია, ვანჩოპე კი თითქოს გრძნობდა, რომ „ვესტ ჰემიდან“ „სიტიში“ გადმოსვლით გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა.

„სიტიელთა“ მენეჯერის, მკაცრი ჯო როილის სიბრაზისაგან წამოჭარხალებულ სახეს სერიალის პირველი სერიის ყველაზე შთამბეჭდავ კადრადაც მივიჩნევდით, რომ არა არსენ ვენგერის გადაფითრებული, ჩამომხმარი ცხვირ-პირი, სანდერლენდის სტადიონის კიდეზე რომ ალბეჭდა ტელეკამერათა მეხსიერებამ.

დიახ, ასე იყო. „არსენალი“ ბევრს ურტყამდა და კომბინირებდა — რეი პარლოუმ და ნვანკვო კანუმ იმდენი ააცილეს, რომ ორ თამაშს ნაღდად ეყოფოდა. ესეც არის და მასპინძელთა ორივე მეკარემ თავი დადო.

შეხვედრის მიწურულს ჩვენი სერიალის ცუდმა ბიჭმა, პატრიკ ვიეირამ როლი ძველებური ხერხით განაგრძო — წითელი ბარათი შეათვალიერა და მოედნიდან გავიდა.

მანამდე კი იყო ჩრდილოური კლასიკა — უბერებელმა ნილ ქუინმა მობერებულ დევიდ სიმენს დაასწრო და მარცხნიდან წამოსულ კროსს დაჰკრა თავი. „არსენალმა“ წააგო. „სანდერლენდმა“ მოიგო.

და არა მხოლოდ „სიტითა“ ერთითა სულდგმულობს მანჩესტერი. იქ სხვა გუნდიცაა, რომელმაც ეფექტურად დაიწყო წლევანდელი სერიალი.

ეს მოსალოდნელიც იყო.

„იუნაიტედი“ ძელების ლეწვით, რაიან გიგზისა და ენდი კოულის ბრწყინვალე თამაშით შეეგება „ნიუკასლს“. რონი იონსენმა ბექჰემის საფირმოს შეუშვირა თავი, კოულს კი გიგზმა გაატანინა. ჯორდების მენეჯერმა ბობი რობსონმა შესვენების შემდეგ ტაქტიკა შეცვალა, მაგრამ „იუნაიტედს“ უკვე ხელთ ეპყრა თამაშის სადავეები.

ალექს ფერგიუსონმა მეკარე ბარტეზი აქო: „არა მხოლოდ ოსტატობისთვის არი აქა, არამედ ხასიათისთვისაც. თავისი პოროვნულობით შმაიხელის ამბავსაც გასწვდება. ამიტომაც მოვიყვანეთ „ოლდ ტრეფორდზე“.

„ოლდ ტრეფორდის“ განახლებულ ტრიბუნებზე კი 67, 477 კაცი იჯდა, რაც პრემიერლიგის რეკორდია.

უგოლო ერთადერთი შეხვედრა გამოდგა: „ლესტერი“ — „ასტონ ვილა“. ყველაზე მეტი გოლი კი „ჩელსი“ — „ვესტ ჰემის“ თამაშში გავიდა. ვიალის გუნდმა 4:2 მოიგო და ეგებ პირველი ტურის შემდეგ ლიდერიც ყოფილიყო, რომ არა ჩარლტონელთა თავდადება.

ორი წლის წინათ, „ჩარლტონი“ სამი ტურის თავზე ლიდერობდა პრემიერლიგას, მაგრამ მერე საერთოდაც გავარდა. ახლა „ჩარლტონი“ პირველსავე ტურში მოექცა სათავეში ცხრილს. „ჩელსის“ კი ჯიმი ჰასელბაინკისა და მარიო სტანიჩის ყიდვით, ჩანს გოლის გატანის პრობლემა მოეხსნა. და ფლო? ვიალის რას გაუგებ.

სტანიჩივით დუბლი შეასრულა ლიდსელმა ალან სმიტმა, მისმა გუნდმა კი განახლებულ „ევერტონს“ აჯობა.

ასე რომ, სერიალი დაიწყო. გმირები მზად არიან, ძველ და ახალ გზებზე დგანან და ვნახოთ.

ისევ ნაცნობი დასასრული?

თუმცა, ბოლომდე ძალიან შორია.

**ირაკლი გამყრელიძე**

**II ტური**
**22 აგვისტო**

ბრედფორდი — ჩელსი
იფსვიჩი — მანჩესტერი
მიდლსბრო — ტოტენჰემი
ასტონ ვილა — ლიდსი
ევერტონი — ჩარლტონი
სიტი — სანდერლენდი
ნიუკასლი — დერბი
საუთჰემპტონი — ქოვენთრი
ვესტ ჰემი — ლესტერი

# პირველი დივიზიონი

## II ტური

### სტოკპორტი 1:1 ვულვერჰემპტონი

1:0 მური (55), 1:1 ბაზელი (71)
ვულვერჰემპტონი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, ემბლენი, ლესკოტი, ბაზელი, ოსბორნი, სინტონი (ნდა 62), ს. ტეილორი, ძიებაია, რ. ტეილორი
მწვრთნელი: კოლინ ლი
7 758 მაყურებელი

### კრ. პალასი 1:1 ქუინზ პარკი

1:0 ფორსელი (45), 1:1 კარლაისლი (67)
19 020 მაყურებელი

### ბარნლი 1:0 უიმბლდონი

1:0 ველერი (27)
15 124 მაყურებელი

### ქრიუ 0:0 ბლეკბერნი

20 000 მაყურებელი

### ნორვიჩი 0:0 ნოტინგემი

18 059 მაყურებელი

### პორტსმუთი 1:1 გრიმსბი

1:0 ბრედბერი (73), 1:1 სმიტი (84)
12 511 მაყურებელი

### პრესტონი 3:0 შეფილდი

1:0 ეპლტონი (2), 2:0, 3:0 მაკენი (6, 71)
13 948 მაყურებელი

### უენსდი 2:3 ჰადერსფილდი

0:1 სმიტი (5), 0:2 გალენი (35), 0:3 სმიტი (39), 1:3 ბუთი (45), 2:3 ბინჩლიფი (64პ)
22 704 მაყურებელი

### ტრანმერი 3:2 ჯილინგემი

1:0 გილი (4), 2:0 ფლინი (9), 2:1 ასაბა (10), 3:1 ჰილი (45), 3:2 საუთჰოლი (66პ)
8 355 მაყურებელი

### უოტფორდი 1:0 ბარნსლი

1:0 ფოლი (90)
13 186 მაყურებელი

### ვესტ ბრომვიჩი 0:2 ბოლტონი

0:1 რანკინი (23), 0:2 ფარელი (75)
17 316 მაყურებელი

### ბირმინგემი 1:3 ფულემი

0:1 კოლინზი (1), საჰა (30), 1:2 სონერი (37), 1:3 დევისი (45)
21 659 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| პრესტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| უოტფორდი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| სტოკპორტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ბოლტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბლეკბერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| ტრანმერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბარნლი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ნოტინგემი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ჰადერსფილდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ბარნსლი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| შეფილდ იუნ. | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ვულვზი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ქუინზ პარკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| უენსდი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| გრიმსბი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| უიმბლდონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ნორვიჩი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბირმინგემი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| კრ. პალასი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| პორტსმუთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ქრიუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ჯილინგემი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| ვესტ ბრომვიჩი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

# მეორე დივიზიონი

მე-2 ტური. კოლჩესტერი — როტერჰემი 0:1; ბორნმუთი — კემბრიჯი 1:1; ბრენტფორდი — სუონსი 0:0; ბრისტოლი — სტოკი 1:2; ბერი — რექსჰემი 1:4; ნოტსი — მილუოლი 3:4; პორტვეილი — ოქსფორდი 3:0; რედინგი — სუინდონი 2:0; უოლსოლი — ოლდემი 3:2; უიგანი — ლუტონი 2:1; უიკომბი — ნორთჰემპტონი 1:0; პიტერბრო — როვერსი 2:2

# მესამე დივიზიონი

მე-2 ტური. ბრაიტონი — როჩდეილი 2:1; კარდიფი — ბლექპული 1:1; დარლინგტონი — ექსეტერი 1:1; ჰალიფაქსი — ლინკოლნი 1:1; ჰარტლპული — ჩესტერფილდი 1:2; ჰალი — პლიმუთი 1:1; ლეიტონი — კარლაისლი 1:0; ბარნეტი — მენსფილდი 3:3; სკანთორპი — კიდერმინსტერი 2:0; შრიუსბერი — მაკლსფილდი 2:2; ტორკი — საუთენდი 1:1; იორკი — ჩელტენემი 0:2

## გერმანია

II ტური

**უნტერჰახინგი 1:1 ფრაიბურგი**

1:0 რაკლი (44), 1:1 კობიაშვილი (56პ)
უნტერჰახინგი: ვიტმანი, გრასოვი, შტრემელი, ზაიფერტი, ჰერტლი (გარსია 78), შვარცი, მატიას ციმერმანი, შტრაუბე, ობერლაიტნერი (ჰირში 59), რაკლი, ბრაიტენრაიტერი (ზდრილიჩი 65)
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, კელი, დიარა, დრეერი (კულიბალი 46), რამდანე (დორნი 72), ცაიერი, ბაია, კობიაშვილი, იაშვილი, ვაისჰაუპტი (ცქიტიშვილი 62)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: გრასოვი, შუმანი, ცქიტიშვილი
მსაჯი: ვაგნერი
10 200 მაყურებელი

**კიოლნი 4:1 აინტრახტი**

1:0 ვოიგტი (25), 2:0 შერცი (39), 3:0 შპრინგერი (58), 3:1 კუჩერა (82), 4:1 კროიცი (90)
კიოლნი: პრიოლი, სიკონე, ჩიკონი (ბულაიჩი 65), კელერი, შერცი (დონკოვი 85), ჰაუპტმანი, ლოტნერი (კროიცი 72), ვოიგტი, შპრინგერი, არველაძე, ტიმი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, გუიე მიენი (პროისი 65), სობოტჩიკი, ჰელდტი, ლიოში (რაიხენბერგერი 46), რასიიევსკი, გებჰარდტი (ბულუტი 46), ჩირიჩი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ლიოში
მსაჯი: იანსენი
35 000 მაყურებელი

**კოტბუსი 1:4 დორტმუნდი**

0:1 ევანილსონი (9), 0:2 სტევიჩი (59), 0:3 ჰერლიხი (64), 1:3 მირიუტა (68პ), 1:4 ჰერლიხი (81)
კოტბუსი: პიპლიკა, ვატა, ბეეკი, მატიუში, მიჩევსკი (ჰელბიგი 66), ტილემანი, აკპაროვიჩი, მირიუტა, ლატუნდი, ლაბაკი (ჰორვატი 76), ჰაიდრიხი (ფრანკლინი 61)
მწვრთნელი: ედუარდ გეიერი
დორტმუნდი: ლემანი, მეცელდერი, ჰაინრიხი, კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი, ადო (ტანკო 86), ოლისე, დედე (კაპეტანოვიჩი 69), ჰერლიხი, იკპება (ჟ. რეინა 69)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: მატიუში, ვატა, დედე, სტევიჩი, ლემანი
მსაჯი: ვაკი
20 500 მაყურებელი

**მიუნხენი 2:1 ვერდერი**

0:1 ჰერცოგი (14), 1:1 ჰესლერი (44), 2:1 აგოსტინო (81)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ზელიჩი, კურცი, პასლაკი (ტაპალოვიჩი 14), ჩერნი, ბორიმიროვი (რიდლი 73), ჰესლერი, მიუკლანდი, ბიროფკა, მაქსი (ვინკლერი 73), აგოსტინო
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, სკრიპნიკი, ტიკუზუ, ფრინგსი, აილტსი (ტრარესი 80), ვიკი, მ. ბოდე (ფ. ერნსტი 73), ჰერცოგი (ფლოკი 66), სტალტერი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ბორიმიროვი
მსაჯი: ჰაინემანი
28 200 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 4:0 ლაუტერნი**

1:0 იუსკოვიაკი (35), 2:0 რიშე (53), 3:0, 4:0 იუსკოვიაკი (68, 82)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, მალტრიცი, ჰენგენი, ონილი, სებესკენი (გრაინერი 64), მუნტეანუ (ნოვაკი 65), კუჰბაუერი, აკონორი, ვაგნერი (ბილიშკოვი 70), იუსკოვიაკი, რიშე
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, იაკინი, შიონბერგი (გრამოცისი 38), ბასლერი, ჯორკაეფი, რამზი, ხრისტოვი (ტარე 68), შტრასერი, პეტერსონი (კომლიენოვიჩი 83), ლოკვენცი
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
გაფრთხილება: ჰენგენი, აკონორი, გრამოცისი, ჯორკაეფი
გაძევება: რამზი (24)
მსაჯი: შიპელი
15 123 მაყურებელი

**ბოხუმი 0:3 ბაიერნი**

0:1 იანკერი (17), 0:2 სანტა კრუზი (19), 0:3 იანკერი (22)
სალიჰამიჯიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (40, მეკარე)
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, ბემბენი (ტოპლაკი 42), მამიჩი (მილინოვიჩი 73), შტიკროტი, მაიხელბეკი, შინდცილორცი, დიკჰაუტი, პეშელი, ბასტურკი, ბაკლი, ვებერი (კოვიჩი 80)
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ანდერსონი, ლინკე, ტარნატი (ლიზარაზუ 78), სალიჰამიჯიჩი, ფინკი, სფორცა, შოლი, იანკერი (დი სალვო 70), ციკლერი (სანტა კრუზი 10)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: შინდცილორცი
მსაჯი: ბერგი
32 654 მაყურებელი

**ჰერტა 4:0 ჰამბურგი**

1:0, 2:0 ბაინლიხი (18, 32), 3:0 ჰარტმანი (34), 4:0 რემერი (75)
ჰერტა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი (კონსტანტინიდისი 56), ტრეტჩოკი, ჰარტმანი (მიხალკე 46), დაისლერი (სიმუნიჩი 71), შმიდტი, ვოში, ბაინლიხი, პრეეცი, რაისი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, გროთი, ნ. კოვაჩი, ბარბარესი (ტოფტინგი 46), მაული, პრეგერი, ივბოა (ჰაინცი 46), კეტელაერი (მაჰდავიკია 71)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: ჰაინცი, ტოფტინგი, ბაინლიხი, ჰარტმანი, ვოში, დაისლერი
გაძევება: პანადიჩი (30)
მსაჯი: აუსტი
48 555 მაყურებელი

**შტუტგარტი 4:1 ლევერკუზენი**

1:0 გერბერი (29), 2:0 კოვაჩი (39ს.კ.), 2:1 ბალაკი (61), 3:1 ლისტეში (63), 4:1 გერბერი (71)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, თ. შნაიდერი (ზაიცი 79), სოლდო, ენდრესი, კარნელი, ტიამი, პინტუ, ლისტეში, ბალაკოვი, გერბერი (ჯორჯევიჩი 74), დანდი (განეა 83)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ჟივკოვიჩი (ბ. შნაიდერი 42), ნოვოტნი (ვრანიეში 46), რ. კოვაჩი, რეები, რამელო, ბალაკი, გრეშკო (პონტე 58), ნოივილი, კირსტენი, რინკი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: გერბერი, ლისტეში, კირსტენი, ნოივილი, ვრანიეში, კოვაჩი
მსაჯი: ფანდელი
25 000 მაყურებელი

**ჰანზა 0:4 შალკე**

0:1, 0:2 მპენზა (25, 30), 0:3 სანდი (40), 0:4 მპენზა (52)
ვიბრანმა ვერ გაიტანა პენალტი (64, მეკარე)
ჰანზა: პიკენჰაგენი, ოსვალდი, იაკობსონი, ცალმანი, რიდლევიჩი, ვიბრანი, ბრანდი (ბაუმგარტი 36), ლანცი (მიკოლაიჩეკი 75), ემარა, არვიდსონი (აჰინფუფი 54), აგალი
მწვრთნელი: ანდრეას ცახჰუბერი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ლატალი (აიგენრაუხი 80), კამპუისი, ნემეცი, ბომე, მიოლერი, სანდი, ე. მპენზა (ასამოა 63)
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
გაფრთხილება: ლანცი, ნემეცი, რეკი, ბომე
გაძევება: აჰინფუფი (85)
მსაჯი: კემლინგი
15 000 მაყურებელი

# ეს ერთი, ანუ მეათე



კიოლნი — აინტრახტი 4:1. კიოლნელი არჩილ არველაძე (მარცხნივ) აინტრახტელი ჰორსტ ჰელდტისთვის ხელის შემლას ლამობს

ბუნდესლიგის ახალდაწყებული ჩემპიონატის მეორე ტურში წლეულს პირველი ქართული გოლი გავიდა. „უნტერჰახინგთან“ საგარეო მატჩის 56-ე წუთზე „ფრაიბურგის“ მცველ-ნახევარმცველმა ლევან კობიაშვილმა ჩინებული გარღვევა განახორციელა, გზად რამდენიმე მეურვეს დაუსხლტა და მეკარესთან პირისპირ დარჩა. ვიტმანს ბევრი არ უფიქრია, ჩვენებურს ფეხებში ჩაუვარდა და უხეშად წააქცია. არც მატჩის არბიტრს უყოყმანია, ვაგნერმა უმალ პენალტი დანიშნა, რომელიც თავად კობიაშვილმა დაარტყა. უნაკლოდაც. ამ გოლმა, რომელიც კობიაშვილისთვის ბუნდესლიგის წლევანდელ ჩემპიონატში პირველი, სულ კი მეათე გახლდათ, ანგარიში 1:1 გახადა. მატჩიც საბოლოოდ ასე მორჩა, „ფრაიბურგმა“ ქულით დაიმშვენა ხელი, თუმც ალექსანდრე იაშვილსაც რომ გამართლებოდა, სამ ქულასაც აიღებდა. ანგარიშის გათანაბრებიდან წუთიც არ იყო გასული, რომ კულიბალიმ იაშვილი ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა, ქართველმა თავდამსხმელმა შტრემელი იოლად მოატყუა და ვიტმანთან პირისპირ გავიდა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა, ნაჩქარევად დარტყმული კარს გადააცილა. იაშვილს, რომელიც პირველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა, პირველ ტაიმშიც შეეძლო გატანა, მაგრამ ვიტმანმა ივარგა. მატჩის მიწურულს სტუმრები გადარჩნენ, შტრაუბემ ჯარიმიდან ხარიხას გაარტყა, მანამდე ცოტა ხნით ადრე იაშვილმა კულიბალის ვალი დაუბრუნა — ვიტმანთან პირისპირ დატოვა, მაგრამ „ფრაიბურგის“ ახალწვეულმა ვერ ივარგა.

„ფრაიბურგის“ თავკაცმა ფოლკერ ფინკემ ბოლო 28 წუთი ლევან ცქიტიშვილიც ათამაშა, რომელმაც წინა ტური ტრავმის გამო გამოტოვა. ცქიტიშვილმა ბოლო წუთებზე გაფრთხილებაც დაიმსახურა, როცა ცოცხალი კედლიდან გამოვარდა და შტრაუბეს ჯარიმის შესრულებაში ხელი შეუშალა.

ამ ტურში ერთბაშად ოთხმა ქართველმა ითამაშა, რაც ბუნდესლიგაში აქამდე არასოდეს მომხდარა. „კიოლნის“ შემადგენლობაში 90 წუთი დაჰყო მინდორზე არჩილ არველაძემ. „კიოლნმა“ „აინტრახტი“ მიიღო და 4:1 დაჩაგრა. არჩილს გოლით თავი არ გამოუჩენია.

პირველი ორი ტურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩემპიონატის უდავო ფავორიტ მიუნხენის „ბაიერნს“ წლეულს კონკურენციას ერთი გუნდი თუ გაუწევს, მათიას ზამერის „დორტმუნდი“. დორტმუნდელებმა, პირველ ტურში „ჰანზა“ 1:0 რომ დაამარცხეს, ახლა უფრო შთამბეჭდავად ითამაშეს და ლიგის დებიუტანტი „კოტბუსი“ მისსავე მინდორზე ბეჭზე გააკრეს. ევანილსონის, სტევიჩის თითო გოლსა და ჰერლიხის დუბლს კოტბუსელებმა ერთით უპასუხეს და 1:4-იც წააგეს.

მიუნხენის „ბაიერნმა“ კი მეორე იოლი გამარჯვება მოიპოვა. სტუმრად პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებულ „ბოხუმთან“ ბავარიელებმა თავიდანვე შტურმით დაიწყეს. პირველივე წუთზე ციკლერს მეკარემ აუღო, იანკერიც ვან დუინჰოვენმა გააწბილა, როცა ახლოდან დარტყმული სასწაულებრივად მოიგერია. ამას შეცვლა მოჰყვა. მე-10 წუთზე ციკლერმა ტრავმა მიიღო და ჰიცფელდმაც პარაგვაელი როკე სანტა კრუზით შეცვალა. ამ ცვლილებამ მიუნხელებზე კარგად იმოქმედა. მე-17 წუთზე იანკერმა საჯარიმოს მისადგომებიდან აუღებელი დაურტყა ვან დუინჰოვენს, ორ წუთში სანტა კრუზმაც გამოიჩინა თავი, კიდევ სამ წუთში კი იანკერმა დუბლი შეასრულა. ასე რომ, 22-ე წუთისთვის ბოხუმში 0:3 იყო და თამაშმაც ფაქტობრივად აზრი დაკარგა. ტაიმის ბოლოს სხვაობა უფრო გაიზრდებოდა, მაგრამ ბოხუმელთა მეკარემ სალიჰამიჯიჩს პენალტი აუღო. მეორე ნახევარში ორივე გუნდს მრავლად ჰქონდა საგოლე მომენტები, თუმც მეტი აღარ გასულა.

ძალიან ცუდად დაიწყო ჩემპიონატი ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნმა“. წინა ტურში საკუთარ მინდორზე „ბოხუმისგან“ ძლეული „ლაუტერნი“ ამჯერად „ვოლფსბურგმა“ გაანადგურა 4:0. მატჩის ბედი მნიშვნელოვანწილად 24-ე წუთზე მომხდარმა ფაქტმა განსაზღვა. სტუმართა ეგვიპტელმა ლეგიონერმა ჰანი რამზიმ მეორე ყვითელი მიიღო და მოედანი დატოვა. რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილი „კაიზერსლაუტერნიც“ აირია, რაც მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს. განსაკუთრებით პოლონელმა იუსკოვიაკმა გამოიღო ხელი, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა. მის პირველ გოლს მიხაელ შიონბერგი შეეწირა, სტუმართა დანიელმა მცველმა ცარიელ კარში შემავალი ბურთის მოგერიება სცადა, მაგრამ ვერ დაეწია. ამას ისე თავგანწირვით ცდილობდა, თავი ველარ შეიკავა, ძელს შეეჯახა და საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა.

პირველ ტურში „ბაიერნთან“ შერცხვენილმა ბერლინის „ჰერტამ“ შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოსანი „ჰამბურგი“ იწვია და შავ დღეში ჩააგდო. შეხვედრის გმირი „ლევერკუზენიდან“ გადმობირებული ბაინლიხი გახდა, რომელმაც მე-18 წუთზე დაისლერის პასით ჯერ გახსნა ანგარიში, 32-ეზე კი ჯარიმიდან ბრწყინვალე დარტყმით სხვაობაც გაზარდა. ორ წუთში ჰარტმანმა 3:0 გახადა. მატჩს წერტილი რემერმა დაუსვა, რომელსაც ასისტენტობა ბაინლიხმა გაუწია. აღსანიშნავია, რომ სტუმრები 30-ე წუთიდან რიცხვნაკლულნი თამაშობდნენ, მსაჯმა უხეშობა პანადიჩს არ აპატია.

ასევე დიდი ანგარიშით წააგო გერმანიის ეროვნული ნაკრების მომავალი თავკაცის კრისტოფ დაუმის „ლევერკუზენმა“. პირველ ტურში ფრაიბურგში შერცხვენილმა „შტუტგარტმა“ შაბათს საკუთარ მინდორზე ნამუსი მოიწმინდა. გერბერის ორ და ლისტეშის ერთ გოლს ლევერკუზენელებმა — კოვაჩმა და ბალაკმა ორით უპასუხეს, თუმც კოვაჩს მიზანმა და ბედმა უმტყუნა, თავისსავე კარში გაიტანა. „შტუტგარტმაც“ 4:1 მოიგო.

კიდევ ერთი დიდი ანგარიში როსტოკში ჩაინიშნეს. იქაურ „ჰანზას“ სამი გოლი „შალკეს“ ზანგმა ბელგიელმა ემილ მპენზამ გაუტანა, ერთიც — დანიელმა ებე სანდიმ. თამაშიც სტუმრებმა 4:0 მოიგეს.

**ვანო ოქრობირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 2 | შალკე | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 3 | დორტმუნდი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 |
| 4 | ფრაიბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 5 | მიუნხენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 | კიოლნი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 7 | ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 8 | ჰერტა | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 9 | ვერდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 10 | აინტრახტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 11 | შტუტგარტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 12 | ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 13 | ბოხუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 14 | უნტერჰახინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 15 | ჰამბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 16 | კოტბუსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 17 | ლაუტერნი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 18 | ჰანზა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მპენზა (შალკე) | 4 |
| იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი) | 3 |
| იანკერი (ბაიერნი) | 3 |
| ჰერლიხი (დორტმუნდი) | 3 |

**III ტური**

5 სექტემბერი

ბაიერნი - ვოლფსბურგი
ლაუტერნი - შტუტგარტი
ლევერკუზენი - უნტერჰახინგი
ფრაიბურგი - კიოლნი
აინტრახტი - ჰანზა
შალკე - კოტბუსი
დორტმუნდი - მიუნხენი
ჰერტა - ბოხუმი
ჰამბურგი - ვერდერი

## მეორე ბუნდესლიგა

II ტური

**ალემანია 4:1 როიტლინგენი**

1:0 დიანე (21), 2:0 გუზიკი (72), 3:0 ლემერმანი (81), 3:1 კერბრი (85), 4:1 დიანე (90)
როიტლინგენი: ჰერმანუცი, ჰოფაკერი, კასტი, ტრაუბი, იანიჩი, ჰოფმანი (საჯაია 80), ლაპაჩინსკი, ბეკერი, ადუბე, დიაბა, ფრომერი
12 500 მაყურებელი

**ქემნიცი 0:2 ჰანოვერი**

0:1, 0:2 შტენდელი (68, 82)
20 000 მაყურებელი

**ზანქტ პაული 5:0 ვალდჰოფი**

1:0 ტრულსენი (25), 2:0 კლასნიჩი (30), 3:0 რანი (37), 4:0 სტანისლავსკი (45), 5:0 რატი (82)
25 000 მაყურებელი

**ოსნაბრუკი 1:3 მიონხენგლადბახი**

1:0 იანიაკი (31პ), 1:1 ვან ლენტი (52), 1:2 ოსტჰოფი (58), 1:3 კორელი (67)
20 000 მაყურებელი

**ზაარბრიუკენი 2:1 ფიურტი**

1:0 ჩოი (25), 1:1 ელბერფელდი (31), 2:1 ბარტოლოვიჩი (57)
18 000 მაყურებელი

**ობერჰაუზენი 1:0 დუისბურგი**

1:0 ობადი (26)
14 000 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:0 ალენი**

1:0 იაროლიმი (12), 2:0 დრილერი (42)
30 000 მაყურებელი

**მაინცი 2:2 კიკერსი**

0:1 პენკსა (7), 0:2 სილვინიო (15), 1:2 ტურკი (17), 2:2 დემანდტი (86)
22 000 მაყურებელი

**ულმი — არმინია**

იხილეთ ბოლო გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზტ. პაული | 2 | 2 | 0 | 0 | 11:3 | 6 |
| ნიურნბერგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ჰანოვერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| გლადბახი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კიკერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ზაარბრიუკენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ფიურტი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| არმინია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ულმი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ალემანია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ობერჰაუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| როიტლინგენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:6 | 3 |
| ვალდჰოფი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| მაინცი | 2 | 0 | 2 | 0 | [illegible] | 2 |
| დუისბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | [illegible] | 0 |
| ოსნაბრუკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| ალენი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:8 | 0 |
| ქემნიცი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |

# ქართველთა მეტოქემ მარსელი გაამწარა



მეცი — პარი სენ ჟერმენი 1:0. პარიზელ ნიკოლა ანელკას მასპინძელთა მეკარემ ფარიდ მონდრაგონმა გაატანინა

## საფრანგეთი

### IV ტური

**ბასტია 2:0 ლიონი**
1:0 ლაშუერი (53), 2:0 ანდრე (60)
10 080 მაყურებელი

**ნანტი 3:2 მარსელი**
0:1 ლერუა (23), 1:1 ოლემბე (30), 1:2 მარსელიანო (63), 2:2 ფაბრი (72), 3:2 მოლდოვანი (90)
35 000 მაყურებელი

**ლანსი 2:1 ტულუზი**
0:1 რუვიერი (20), 1:1 ბლანშარი (44), 2:1 ფუერტესი (58)
40 481 მაყურებელი

**სედანი 1:0 ლილი**
1:0 კენი (74)
12 147 მაყურებელი

**მეცი 1:0 პარი სენ ჟერმენი**
1:0 ასლი (75)
19 500 მაყურებელი

**რენი 3:0 სტრასბური**
1:0, 2:0 დელი (8, 10), 3:0 გუნვენეკი (90)
18 467 მაყურებელი

**ტრუა 1:0 ოსერი**
1:0 ჯუკიჩი (80)
15 463 მაყურებელი

**სენტ ეტიენი 1:0 ბორდო**
1:0 სარი (11)
31 384 მაყურებელი

**მონაკო 1:0 გენგამი**
1:0 პრსო (90)
12 000 მაყურებელი

**საფრანგეთის** ჩემპიონატში მხოლოდ ოთხი ტური ჩატარდა, მაგრამ თვრამეტივე გუნდს, ერთპიროვნულ ლიდერ „ლანსიდან“ დაწყებული აუტსაიდერ „სტრასბურით“ დამთავრებული, თავის ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვა უკვე შეუძლიათ.

დიდბიუჯეტიანი გუნდები ფორმაში ნელ-ნელა შედიან, რითაც მშვენივრად ისარგებლეს საშუალო კლუბებმა („ლანსი“, „ბასტია“, „ნანტი“, „სენტ ეტიენი“) და გათამაშების ცხრილსაც სათავეში მოექცნენ.

„როცა „მარსელს“ ექვსი ქულით უსწრებ, „ლიონს“ — შვიდით, „ბორდოს“ კი — რვით, მშვენიერია. ჩემპიონატის დაწყებამდე ასეთ რამეს ვერც წარმოვიდგენდი“ — თქვა „ლანსის“ მწვრთნელმა როლან კურბისმა, რომლის გუნდმაც „ტულუზს“ აჯობა. თუმცა მასპინძლებს ბოლო წუთებში საკმაოდ გაუჭირდათ და მათ მწვრთნელსაც, ალბათ, სულ ცივი ოფლი ასხამდა, ოღონდ, მისდა საბედნიეროდ, „ტულუზი“ ის გუნდი არაა, მეტოქე მრავალი ხელსაყრელი მომენტის გაცუდების გამო აუცილებლად დასაჯოს. სტუმრებს შეხვედრის მიწურულს რამდენჯერმე კი მიეცათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ...

ცას პირი მოეხსნა და მთელი მატჩის განმავლობაში „ბოლეარის“ მინდორს ასველებდა. ფეხბურთელებსაც ფეხი ხშირად უსრიალებდათ და შესაბამისად თამაში სანახაობრივად მოიკოჭლებდა. ანგარიში ტულუზელებმა პირველ ტაიმში გახსნეს. ჩრდილოელები გათანაბრებას ვერაფრით ახერხებდნენ, არადა, უამრავი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდათ. და როცა ბლანშარმა გაათანაბრა, კაცი იფიქრებდა, ახლა კი მისდგებიან სტუმრებს „სისხლისა და ოქროს ფერები“ და დიდი ანგარიშითაც მოუგებენო, მაგრამ ასე არ მოხდა. „ტულუზის“ დაცვისა და მეკარის ჯობნა მასპინძლებს კლავინდებურად უჭირდათ და რომ არა კაროტის გაძევება 51-ე წუთზე, იქნებ რიცხვტოლი მეტოქე ვერც დაემარცხებინათ. მერე კი ფუერტესმაც ივარგა. „ჩემპიონატის დასაწყისში ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ანგარიშში ვერ ავსახავთ. ამისდა მიუხედავად, პირველ ადგილზე ვართ და თანაც არ დავმარცხებულვართ. ეს კი ძალიან კარგია“ — თქვა ლანსელთა გამოცდილმა მცველმა ფრანკ დიუმამ.

რუმინეთის ნაკრების თავდამსხმელ ვიორელ მოლდოვანს, რომლის წინააღდეგაც ქართველებს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მოუწევთ თამაში, „ნანტის“ მაისურით თავისი პირველი შეხვედრა დიდხანს ემახსოვრება. მან 69-ე წუთზე ოლივიე მონტერუბიო შეცვალა, ბოლო წუთზე გატანილი გოლით კი „მარსელი“ გაამწარა. არადა, სტუმრები მატჩში ორჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ უპირატესობის ბოლომდე შენარჩუნება ვერ შეძლეს და ნანტელებს ორჯერვე მისცეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება. ბოლოს კი მოლდოვანმაც გამოყო ფეხი... „უკმაყოფილო ვარ. „ნანტს“ მშვენიერი საჩუქარი მივუძღვენით. ჩემპიონატი ცუდად დავიწყეთ. მხოლოდ ოთხი ქულა გვაქვს და ამ ჩამორჩენის დაძლევა გაგვიჭირდება. საბედნიეროდ, გუნდი უკვე გუნდს ემსგავსება და იმედია, მალე გამარჯვებებსაც მოვიპოვებთ“ — თქვა „მარსელის“ თავკაცმა აბელ ბრაგამ.

ჩემპიონატში პირველი მარცხი იწვნია ნიკოლა ანელკათი გაძლიერებულმა „პარი სენ ჟერმენმა“. დედაქალაქელებმა „მეცს“ ვერაფერი მოუხერხეს. ლოტარინგიელთა თავკაცმა ჟოელ მიულერმა განაცხადა: „გამარჯვება დიდი ძალისხმევის ხარჯზე მოვიდა. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ მონდრაგონისა და ასლის მშვენიერი თამაშიც“. სამხრეთამერიკელმა მეკარემ რამდენჯერმე აშკარა გოლისაგან იხსნა თანაგუნდელები, ახალგაზრდა ერიკ ასლიმ კი გამარჯვების გოლი გაიტანა.

„პარი სენ ჟერმენის“ მსგავსად პირველად წააგო ელიტაში ახალაღზევებულმა „ლილმაც“. სტუმრები „სედანს“ ტოლ-სწორად ეთამაშნენ და რომ არა მათი მეკარის, გრეგორი ვიმბეს გაძევება, იქნებ არც წაეგოთ. თუმცა ვიმბეს მასთან პირისპირ გასული მიონე რომ არ წაექცია, გოლი გარდაუვალი იყო. თავდამსხმელს მეკარისთვის ბურთი უკვე თავზე გადაეგდო და... „ლილი“ გოლს მაინც ვერ გადაურჩა. ვიმბეს შემცვლელ ალიბერს გახურებაც ვერ მოესწრო, როცა მისი წინამორბედის გამო დანიშნული ჯარიმიდან კენმა იხეირა.

კვირას ტურის ბოლო მატჩში, „მონაკომ“ „გენგამს“ მოუგო და აღმოჩნდა, რომ მეოთხე ტურის ყველა შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, რაც საკმაოდ იშვიათად ხდება.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ბასტია | 4 | 3 | 0 | 1 | 5:1 | 9 |
| ნანტი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 9 |
| სენტ ეტიენი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| ლილი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| პსჟ | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| სედანი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| მონაკო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:7 | 7 |
| ოსერი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| რენი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 5 |
| მეცი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ტრუა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| მარსელი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| ლიონი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | 3 |
| ტულუზი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| ბორდო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| გენგამი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:7 | 1 |
| სტრასბური | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

### მეორე დივიზიონი

მე-4 ტური. ბასტია — ლიონი 2:0; სენტ ეტიენი — ბორდო 1:0; ლანსი — ტულუზი 2:1; მეცი — პსჟ 1:0; ნანტი — მარსელი 3:2; რენი — სტრასბური 3:0; სედანი — ლილი 1:0; ტრუა — ოსერი 1:0; მონაკო — გენგამი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონპელიე | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 12 |
| სოშო | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| ლავალი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| ნანსი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| ლე ავრი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| კრეტეი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| კანი | 4 | 1 | 3 | 0 | 11:9 | 6 |
| ლე მანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ლორიანი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ნიცა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| აიაჩო | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| მარტიგი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| ვასკეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| გენიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ნიორი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:10 | 4 |
| ანჟერი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| ნიმი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| შატორუ | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |
| კაენი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |
| ბოვუა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

## რუსეთი

### XXII ტური

**დინამო 2:2 ლოკომოტივი**
1:0 რომაშჩენკო (31), 2:0 გუსევი (33), 2:1 პიმენოვი (55), 2:2 ჩუგაინოვი (58)
8 500 მაყურებელი

**ნ. ნოვგოროდი 1:0 კრილია**
1:0 გრადილენკო (90პ)
6 200 მაყურებელი

**ანჟი 0:2 სპარტაკი**
0:1 მარკოსი (84), 0:2 რობსონი (87)
16 000 მაყურებელი

**როტორი 2:0 ფაკელი**
1:0 ესიპოვი (4), 2:0 პავლიუჩენკო (86)
5 200 მაყურებელი

**ტორპედო 1:1 როსტსელმაში**
1:0 ტრაკისი (62), 1:1 კირიჩენკო (74პ)
2 500 მაყურებელი

**ჩერნომორეცი 1:1 ალანია**
1:0 პრიზეტკო (25), 1:1 პაულუ ემილიუ (65პ)
15 000 მაყურებელი

**სატურნი 3:0 ურალანი**
1:0 მორი (15), 2:0 გრიაზინი (36), 3:0 სმერტინი (76)
9 000 მაყურებელი

**ზენიტი 0:1 ცსკა**
0:1 სემაკი (47)
21 000 მაყურებელი

**ერთი** წლის წინ ვინ წარმოიდგენდა, რომ რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი მატჩი „ანჟი“ — „სპარტაკი“ გამოდგებოდა. ვერ წარმოვიდგენდით თუნდაც იმიტომ, რომ „ანჟი“ მხოლოდ ახლა გადავიდა უმაღლეს დივიზიონში. გადავიდა და უმალ „არასტუმართმოყვარე“ გუნდის სახელი დაიგდო. ვერავინ შეძლო მახაჩყალაში „ანჟის“ დამარცხება. ერთადერთი მოსკოვის „ტორპედო“ იყო, რომელმაც დაღესტნიდან ფრე და ერთი ქულა წაიღო, ყველა სხვა შერცხვენილი მიდიოდა.

ამ უქმეებზე მახაჩყალაში „სპარტაკი“ ჩავიდა. მისი სტუმრობა კი ცოტა მეტს ნიშნავს, ვიდრე, ვთქვათ, „ნიჟნი ნოვგოროდისა“ თუ „კრილიასი“. ტრიბუნები მატჩის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე გადაიჭედა. დაღესტნელებმა წინასწარ ისეთი ზეიმი მოაწყვეს და „ანჟის“ სადიდებელი იმდენი სიმღერა იმღერეს, გეგონებოდათ, მათი გუნდი ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდაო. სწორადაც მოიქცნენ, შეხვედრის დასრულების მერე მათ არ ეზეიმებოდათ — „ანჟიმ“ პირველი საშინაო მარცხი იწვნია.

ოლეგ რომანცევმა კარის დაცვა კვლავ ფილიმონოვს ანდო, ვისაც წინა ტურში არ უთამაშია. ოთარ ხიზანეიშვილი კი მწვრთნელმა სათადარიგოთა სკამზე დასვა, ალბათ, წინა ტურში ქართველის მიერ დაშვებული ტაქტიკური შეცდომების გამო.

დედაქალაქელებს ბლომად ნერვიულობა მოუხდათ. მასპინძლებმა რამდენიმე ისეთი მომენტი შექმნეს, გოლი თითქოს გარდაუვალი იყო. ამის მიზეზი კი ფილიმონოვის მოუქნელობა გახდა. სპარტკელმა მეკარემ ორ შემთხვევაში ისე უაზროდ შეიყვანა ბურთი თამაშში, რომ მახაჩყალელებს არაფრიდან სახიფათოდ შეტევების საშუალება მისცა. საერთოდ კი „სპარტაკი“ უფრო მეტად ფლობდა ბურთს და „ანჟი“ კონტრიერეშებზე თამაშობდა.

მატჩის 83 წუთი მიილია. გოლი არ ჩანდა. მომდევნო სამ წუთში კი დაღესტნელებს ბრაზილიური რისხვა დაეცათ თავს. ჯერ შეცვლაზე შესულმა მარკოსმა, მერე კი ალექს რობსონმა მასპინძლებს ორი გოლი გაუტანეს.

22-ე ტურამდე ჩემპიონატის პოტენციურ ლიდერად მოსკოვის „ლოკომოტივი“ ითვლებოდა. მას „სპარტაკზე“ ორი ქულით ნაკლები ჰქონდა დაკარგული. ახლა ეს სხვაობა აღარ არსებობს. რკინიგზელებმა თანაქალაქელ „დინამოსთან“ ფრედ ითამაშეს.

მატჩის წინ იური სიომინი ორჭოფობდა, ზაზა ჯანაშია ოდნავ ფეხს იტკიებდა და ბოლო წუთამდე ვერ გადაეწყვიტა, გაეყვანა იგი მინდორზე, თუ — არა. ჯანაშიამ ითამაშა, თუმცა ერთი სახიფათო დარტყმის მეტი სახეირო არაფერი გაუკეთებია, დინამოელმა მცველებმა კარგად გააუვნებლეს.

„ლოკომოტივს“ ორი ამოცანა ჰქონდა გადასაჭრელი. პოტენციური ლიდერობა უნდა შეენარჩუნებინა და ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩისთვის მომზადებულიყო. პირველი ვერ შეძლეს, რაც შეეხება მეორე ამოცანას, სიომინის ბიჭებმა აჩვენეს, რომ ორბურთიანი სხვაობის გაქვითვა შეუძლიათ, ოღონდ რამდენად საკმარისი იქნება რკინიგზელთა ეს უნარი „ბეშიქთაშთან“ საპასუხო შეხვედრაში, საკითხავი აი, ეს არის. სტამბოლში „ლოკომოტივმა“ 0:3 წააგო.

ნიჟნინოვგოროდელებმა, ორი კვირის წინ დივიზიონიდან გავარდნის უპირველეს კანდიდატებად რომ ვიხსენიებდით, მეორე თამაში მოიგეს და ბოლო ადგილს ასცდნენ. მსაჯის წამატებულ დროში „კრილიას“ საჯარიმოში იური მატვეევის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი დმიტრი გრადილენკომ გამოიყენა. ამ პენალტმა სამარელებს ქულები ხომ დააკარგვინა, ფეხბურთელები ჯარიმასაც ვერ გადაურჩნენ— ხელმძღვანელობამ ისინი უჯიგროდ თამაშისთვის დასაჯა.

ამ ტურში დიდად ივაჟკაცა ოსთა მეკარე ბენიამინ მანდრიკინმა. ნოვოროსიისკში „ჩერნომორეცმა“ და „ალანიამ“ ფრედ ითამაშეს; თუმცა მასპინძლებს ისეთივე რამ დაემართათ, რაც ჰოლანდიელებს იტალიელებთან ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში — 18 წლის მანდრიკინმა ორი პენალტი აიღო და მატჩის გმირი შეიქნა.

„ურალანის“ ხელმძღვანელობას კი მწვრთნელის უცხოეთში ძიება ძვირად დაუჯდა. უკვე რვა ტურია, რაც ელისტურ გუნდს იუგოსლაველი ბორის ბუნიაკი ავარჯიშებს და აქტივში ერთი ფრის მეტი არაფერი აქვს. შესაძლო ქულების 4,2 პროცენტი — ასეთია ბუნიაკის მონაგარი და რუსეთის ჩემპიონატების ისტორიაში ამაზე დაბალი შედეგიანობა ერთ მწვრთნელსაც არა აქვს.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 24 | 17 | 1 | 6 | 53:24 | 52 |
| ლოკომოტივი | 22 | 13 | 7 | 2 | 29:12 | 46 |
| ტორპედო | 23 | 11 | 6 | 6 | 29:23 | 39 |
| ჩერნომორეცი | 21 | 10 | 7 | 4 | 35:15 | 37 |
| ანჟი | 21 | 11 | 4 | 6 | 30:18 | 37 |
| დინამო | 22 | 10 | 7 | 5 | 33:26 | 37 |
| სატურნი | 23 | 9 | 7 | 7 | 25:24 | 34 |
| ზენიტი | 20 | 9 | 5 | 6 | 26:17 | 32 |
| ცსკა | 22 | 8 | 3 | 11 | 24:30 | 27 |
| როტორი | 22 | 7 | 5 | 10 | 27:41 | 26 |
| ალანია | 22 | 6 | 7 | 9 | 23:30 | 25 |
| როსტსელმაში | 21 | 4 | 10 | 7 | 17:19 | 22 |
| კრილია | 22 | 6 | 3 | 13 | 22:38 | 21 |
| ფაკელი | 22 | 4 | 9 | 9 | 20:38 | 21 |
| ნ. ნოვგოროდი | 21 | 2 | 6 | 13 | 10:28 | 12 |
| ურალანი | 22 | 2 | 5 | 15 | 13:33 | 11 |



დინამო — ლოკომოტივი 2:2. დინამოელ როლან გუსევს მეორე გოლი გააქვს რუსლან ნიგმატულინის კარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოტლანდია

V ტური

**აბერდინი 0:2 ჰიბერნიანი**

0:1 ლატაპი (5პ), 0:2 პაატელაინენი (78)
13 157 მაყურებელი

**დანდი იუნ. 1:2 სენტ ჯონსტონი**

0:1 ჯონსი (12), 0:2 პარკერი (24), 1:2 ალიოფრე (63)
6 636 მაყურებელი

**ჰართსი 2:4 სელტიკი**

0:1, 0:2 სატონი (22, 26), 0:3 ლარსონი (39), 1:3 სევერინი (56), 1:4 მორავჩიკი (62), 2:4 ხუანიო (65)
16 744 მაყურებელი

**კილმარნოკი 3:2 მოზერუელი**

0:1 ელიოტი (7), 1:1 დარგო (26), 1:2 ელიოტი (65), 2:2 რაიტი (76პ), 3:2 დინდელო (80)
6 533 მაყურებელი

**რეინჯერსი 4:1 დანფერმლაინი**

1:0 ალბერტცი (10პ), 1:1 ბოილი (14), 2:1 ვან ბრონკჰორსტი (21), 3:1 დოდსი (29), 4:1 უოლესი (48)
47 452 მაყურებელი

**სენტ მირენი 2:1 დანდი**

1:0 ქილე (79), 1:1 სარა (78პ), 2:1 მაკგარი (82)
დანდი: დუგლასი, სმიტი, კოინი, ტვიდი, მაროკო, არტერო, ნემსაძე (იეტსი (81), რაე, რობერტსონი, სარა, ფალკონერი
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
5 165 მაყურებელი

**სქოთთა** პრემიერლიგამ რომ ფართოდ გაუხსნა კარი უცხოელებს და ჟღალთმიანი ადამიანებით დასახლებულ პატარა ჩრდილოურ ქალაქებში მწვანეთმიანი ზანგები, ნაწნავიანი არგენტინელები, თავგადაპარსული ჩეხები და კოხტად (ქალაქურად, თმაშეკრეჭილი ქართველები გამოჩნდნენ, ცნობილი ამბავია.

სხვა საკითხია, რომ უცხოელები დიდ ვარსკვლავთა რიგში არ ირიცხებიან და სქოთურად თამაშის ადათს ჯერაც ეჩვევიან. თუმცაღა, ეს ყველაზე არ ითქმის და სამხრეთული ტექნიკა და ფეხის გაშლა-გამოშლა ერთფეროვან სქოთურ ჯახაჯუხს ფრიად ალამაზებს. უცხოელთაგან საუკეთესონი გლაზგოს გუნდებში თამაშობენ, თუმცა, ჩვენს გიორგი ნემსაძესაც, რომელიც უსახელო „დანდიში“ გამოდის, უკვე შეარქვეს „ქართველი გესქოინი“.

ასეა თუ ისე, სქოთთა პრემიერლიგის მეოთხე ტურში გასული 24 გოლიდან ნახევარი უცხოელებმა გაიტანეს. ეს მეოთხე ტური მეხუთე იყო „ჰიბერნიანისთვის“, რომელმაც რასელ ლატაპისა და მიქსუ პაატელაინენის გოლებით „აბერდინს“ სძლია და ოთხი მოგებითა და ერთი ფრით ცხრილს სათავეში ჩაუდგა. თამაში ხელში აქვთ გლაზგოელ გოლიათებს: „რეინჯერსმა“ და „სელტიკმა“ ოთხ-ოთხი გოლი გაუტანეს მოწინააღმდეგეებს და პოტენციური ლიდერებიც ისინი გახლავან.

მეოთხე ადგილი დაინარჩუნა ივანო ბონეტის მიერ ამგვარი ხმაურით წვრთნილმა „დანდიმ“, რომელმაც ორი მოგებით დაიწყო შეჯიბრება და ახლა ზედიზედ მეორედ წააგო, ამჯერად „სენტ მირენთან“ — 1:2. „დანდის“ ზედმეტ თამაშში მოგებით წამოეწია „კილმარნოკი“, რომელმაც მაჩანჩალა „მოზერველს“ სამი ქულა გამოგლიჯა ფრედერიკ დინდელუს გვიანი გოლით, თუმც, კილმარნოკელები ბურთების უარესი სხვაობით მეხუთეზე დარჩნენ. დანდელებს ის თუ ახარებთ, რომ ერთ დროს სახელოვანი თანაქალაქელი „დანდი იუნაიტედის“ ჩრდილში აღარ არიან. „იუნაიტედი“ მეცხრე ადგილზეა ოთხ თამაშში, ერთადერთი ქულით.

ოთხი ტურის თავზე სქოთთა ლიგაში მოულოდნელობა არ შეინიშნება. ეს სენსაციების ადგილი არ არის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიბერნიანი | 5 | 4 | 1 | 0 | 11:1 | 13 |
| რეინჯერსი | 4 | 4 | 0 | 0 | 13:5 | 12 |
| სელტიკი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:4 | 12 |
| დანდი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| კილმარნოკი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | 6 |
| სტ. ჯონსტონი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| აბერდინი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| დანფერმლაინი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:8 | 5 |
| ჰართსი | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | 3 |
| სენტ მირენი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:7 | 3 |
| ანდი იუნ. | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |
| მოზერუელი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:8 | 1 |



REUTERS გლობუსიდან

რეინჯერსი — დამფერლაინი 4:1. რეინჯერსელ ნეილ მაკკენს (ბურთით) დამფერლაინელი ბარი ნიკოლსონი მეურვეობს

## ჰოლანდია

I ტური

**ვიტესი 3:1 ტვენტე**

0:1 გრუიჩი (15), 1:1 პეეტერსი (43), 2:1 ამოა (70), 3:1 დიარა (73)
22 000 მაყურებელი

**გრონინგენი 1:1 ტილბურგი**

0:1 შუკოვი (62), 1:1 დრენტი (70)
10 000 მაყურებელი

**უტრეხტი 2:0 ჰერენვენი**

1:0, 2:0 კუიტი (35, 70)
14 000 მაყურებელი

**როზენდალი 2:3 ნაიმეგენი**

0:1 ზონეველდი (41), 1:1 კალე (42), 1:2 დე გიერი (43), 1:3 ხრისტოვი (54), 2:3 ვოსი (90)
5 412 მაყურებელი

**ბრედა 0:1 ვალვაიკი**

0:1 ვან დინტერენი (86)
12 000 მაყურებელი

**გრააფსხაპი 2:0 პსვ**

1:0 ტურპინი (89), 2:0 მეერდინკი (90)
9 500 მაყურებელი

**ფეიენოორდი 2:0 ალკმარი**

1:0 ბოსველტი (40), 2:0 სომალია (89)
32 500 მაყურებელი

**სპარტა 2:2 როდა**

0:1 ანასტასიუ (15პ), 1:1 ელ ხატაბი (32), 1:2 ლიუბერსი (58), 2:2 ელ ხატაბი (72)
7 000 მაყურებელი

**აიაქსი — სიტარდი**

დღეს გაიმართება

**ტიტების** ქვეყანაში ჩემპიონატი გაჩაღდა. პარასკევს ტურის პირველი და ერთადერთი მატჩი ჩატარდა. როტერდამში „სპარტამ“ კერკრადეს „როდას“ უმასპინძლა. ის მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა. „აიაქსისა“ და „სიტარდის“ შეხვედრის გარდა, ტურის ყველა დანარჩენი მატჩი კი, შაბათ-კვირას გაიმართა.

პირველივე ტური ერთობ მოულოდნელი გამოდგა. შარშანდელ სეზონში ორმა უძლიერესმა გუნდმა, ჩემპიონმა „ეინდჰოვენმა“ და ვიცე-ჩემპიონმა „ჰერენვენმა“ უხეიროდ ითამაშეს, ეინდჰოვენელები სტუმრად „გრააფსხაპთან“ 0:2 დამარცხდნენ. იმავე ანგარიშით წააგო „ჰერენვენმაც“ „უტრეხტთან“.

ვიცე-ჩემპიონებთან მატჩში თავი ორჯერ გამოიჩინა დირკ კუიტმა. აღნიშნავენ, რომ „უტრეხტმა“ აშკარად დაჯაბნა „ჰერენვენი“ და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. სტუმრებს ძალიან გაუმართლათ, განადგურებას რომ გადაურჩნენ. „უტრეხტს“ კიდევ ორი გოლის გატანა შეეძლოო, იუწყება ერთ-ერთი ჰოლანდიური წყარო. 77-ე წუთზე, როცა „ჰერენვენი“ 0:2 აგებდა, ფეხბურთელი გაუძევეს. ფორვარდმა იგნასიო ტუჰუტერუმ ორი გაფრთხილების გამო მოედანი ნაადრევად დატოვა.

ჩემპიონმა „გრააფსხაპთან“ 0:2 წააგო და შეხვედრა მანაც 10 ფეხბურთელით დაასრულა. პირველი ტაიმის მიწურულს რუსი იური ნიკიფოროვი გააძევეს. „ეინდჰოვენმა“ ბოლო წუთამდე დაიცვა კარი, მაგრამ შემდეგ უკანა ხაზი აირია, 89-ე და დამატებულ დროში ორი ბურთი გაუშვა და „ეინდჰოვენი“ დამარცხდა.

გაიმარჯვა „ფეიენოორდმა“ და პირველი ტურის შემდეგ ერთ-ერთი ლიდერია. როტერდამელებმა „ალკმარი“ დაჯაბნეს 2:0, თუმც სამი ქულა იოლად არ მოუპოვებიათ. სააგენტოები იუწყებიან, რომ „ფეიენოორდმა“ ნაკლებ შთამბეჭდავად ითამაშა და 9 კაცით დარჩენილი „ალკმარის“ დამარცხება ძალიან გაუჭირდა. სტუმრები როტერდამელებს მედგრად შეებრძოლნენ და ფრეს მაინც იმსახურებდნენო.

50-ე და 55-ე წუთებზე „ალკმარს“ ორი ფეხბურთელი გაუძევეს. ჯერ მიხაელ ბუსკერმოლენმა მიიღო წითელი ბარათი, ხუთ წუთში კი მისი ბედი ბარი ვან გალენმა გაიზიარა. „ფეიენოორდის“ არცთუ მომხიბლავ თამაშს ერთი მნიშვნელოვან ფაქტით ხსნიან — გუნდს ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩი ელის. როტერდამელები საპასუხო შეხვედრაში „შტურმს“ დაუპირისპირდებიან. ამიტომაც ამბობენ, „ფეიენოორდი“ ბოლომდე არ გაიხსნაო.

ცხრილს ახლა „ვიტესი“ ლიდერობს. არნემელებმა „ტვენტეს“ სამი ბურთი გაუტანეს, მხოლოდ ერთი გაუშვეს და სხვა ლუბებს მეტი გატანილი გოლის წყალობით სჯობნიან.

აღსანიშნავია, რომ „ვიტესი“ თავიდან აგებდა. პირველი გოლი არნემელთა კარში იუგოსლავიელმა მცველმა სპირა გრუიჩმა გაიტანა, თუმც პირველი ტაიმის მიწურულს ბობ პეეტერსმა გაათანაბრა. ეს ფორვარდი „ვიტესმა“ წინა კვირას „როდასგან“ შეიძინა და მან პირველივე მატჩში გაამართლა. მომდევნო ორი გოლი არნემელებმა 70-ე და 73-ე წუთებზე გაიტანეს და ამგვარად ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყეს.

**ნიკა შუბლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტესი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ფეიენოორდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| უტრეხტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| გრააფსხაპი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ნაიმეგენი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ვალვაიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| როდა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| სპარტა | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ტილბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| გრონინგენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| აიაქსი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| სიტარდი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| როზენდალი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ბრედა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ტვენტე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| პსვ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ჰერენვენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ალკმარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## პორტუგალია

I ტური

**სპორტინგი 1:0 ფარენსე**

1:0 ჟოაუ პინტუ (46)
30 000 მაყურებელი

**ავეში 0:1 ბელენენსეში**

0:1 ენრიკეში (36)
3 000 მაყურებელი

**ჟილ ვისენტე 1:1 კამპომაიორენსე**

0:1 ჟორჟინიო სანტუში (29), 1:1 ვეიერა (62)
2 500 მაყურებელი

**სალგეირუში 1:0 ფერეირა**

1:0 ჟოაუ პედრუ (17)
4 000 მაყურებელი

**ალვერკა 0:0 მარიტიმუ**

2 500 მაყურებელი

**ლეირია 2:0 ამადორა**

1:0 დინდა (19), 2:0 პაულუ ალვეში (87)
5 000 მაყურებელი

**პორტუ 2:0 ბენფიკა**

1:0 ალენიჩევი (22), 2:0 ჟორჟე კოშტა (43)
45 000 მაყურებელი

**ბრაგა 1:0 გიმარაეში**

1:0 ფეპერი (70)
10 000 მაყურებელი

**ბეირა მარი 2:4 ბოავიშტა**

0:1 სილვა (35), 0:2 როჟერიუ (55), 0:3, 0:4 დუდა (58, 78), 1:4 მორაიში (89პ), 2:4 რიკარდუ სოუზა (90)
7 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| პორტუ | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლეირია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სპორტინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბრაგა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბელენენსეში | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სალგეირუში | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ჟილ ვისენტე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| კამპომაიორენსე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მარიტიმუ | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ალვერკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| გიმარაეში | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ფარენსე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ავეში | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ფერეირა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბეირა მარი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| ბენფიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ამადორა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## შვედეთი

მე-16 ტური. ჰელსინგბორგი — გიოტებორგი 2:1; ნორჩიოპინგი — ჰალმსტადი 2:2; სუნდსვალი — აიკ 1:1; იორგრიტე — ფრიოლუნდა 3:0; გაის — ტრელებორგი 0:0; ჰამარბი — ჰაკენი 0:0; იორებრო — ელფსბორგი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 16 | 9 | 3 | 4 | 27:15 | 30 |
| აიკ | 16 | 9 | 3 | 4 | 24:19 | 30 |
| იორებრო | 16 | 7 | 4 | 5 | 29:21 | 25 |
| ელფსბორგი | 16 | 8 | 1 | 7 | 25:23 | 25 |
| იორგრიტე | 16 | 8 | 1 | 7 | 20:18 | 25 |
| გიოტებორგი | 16 | 6 | 6 | 4 | 24:19 | 24 |
| ჰელსინგბორგი | 16 | 7 | 2 | 7 | 22:21 | 23 |
| ჰამარბი | 16 | 6 | 5 | 5 | 18:18 | 23 |
| ნორჩიოპინგი | 16 | 5 | 7 | 4 | 23:18 | 22 |
| სუნდსვალი | 16 | 5 | 5 | 6 | 23:24 | 20 |
| ტრელებორგი | 16 | 5 | 5 | 6 | 14:16 | 20 |
| ჰაკენი | 16 | 3 | 7 | 6 | 22:27 | 16 |
| გაის | 16 | 2 | 7 | 7 | 14:23 | 13 |
| ფრიოლუნდა | 16 | 2 | 4 | 10 | 8:31 | 10 |

## ავსტრია

მე-8 ტური. ადმირა — ბრეგენცი 0:1; აუსტრია — ლინცერი 5:0; გრაცერი — შტურმი 2:0; ტიროლი — ზალცბურგი 2:0; რიდი — რაპიდი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 8 | 5 | 3 | 0 | 19:8 | 18 |
| აუსტრია | 7 | 4 | 3 | 0 | 15:3 | 15 |
| შტურმი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:10 | 13 |
| ტიროლი | 8 | 3 | 3 | 2 | 14:10 | 12 |
| რიდი | 8 | 3 | 2 | 3 | 15:13 | 11 |
| ზალცბურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | 11 |
| გრაცერი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:13 | 9 |
| ბრეგენცი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:12 | 8 |
| ლინცერი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:21 | 4 |
| ადმირა | 8 | 0 | 2 | 6 | 7:19 | 2 |

## იტალია

თასი. III ტური

კომო — პიაჩენცა 1:3; მონცა — ვიტერბეზე 1:1; სამპდორია — ემპოლი 4:3; კროტონე — ფერმანა 0:1; ატალანტა — პისტოიეზე 1:1; რავენა — აველინო 4:2; ჩიტადელა — კალიარი 0:3; სალერნიტანა — ასკოლი 1:0; ტორინო — ტერნანა 3:3; ჩეზენა — ვარეზე 1:2; ვენეცია — სიენა 1:0; სავოია — პესკარა 3:4; ანკონა — კოზენცა 0:1; პიზა — ჯენოა 2:2; ბრეშელო — ტრევიზო 1:0; ბრეშა — ალძანო 1:2

## შვეიცარია

VII ტური

**ციურიხი 4:2 ლუცერნი**

1:0 ჯამარაული (29), 2:0 ყაველაშვილი (58), 2:1 გიანი (67), 3:1 ბარტლეტი (85), 4:1 შასო (90), 4:2 გიანი (90)
ციურიხი: პასკოლო, კვენტინი, ფიშერი, კასტილიო (დელ სინიორე 84), პალასი, ჰელდმანი, ჯამარაული, ჯიანინი, ყაველაშვილი (შასო 77), ბარტლეტი, ბიულმანი
3 300 მაყურებელი

**არაუ 1:2 ლოზანა**

0:1 ტიავი (26), 1:1 ბაუდრი (63), 1:2 კუცბა (81)
არაუ: ბენიტო, ეგიმანი (იოდიჩე 59), სკრეპაკი, პავლიჩევიჩი, ფიხტერი, ბალდასარი, პრევიტალი (სალვო 85), ბაუდრი, დე ნაპოლი (ხომერიკი 73), ივანოვი, ვიდერკერი
3 500 მაყურებელი

**სენტ გალენი 3:1 სიონი**

1:0 ამოა (5), 1:1 პიფარეტი (8), 2:1 ამოა (23), 3:1 ცვისიგი (26)
8 500 მაყურებელი

**ლუგანო 3:0 ქსამაქსი**

1:0 ბიაჯი (44), 2:0 გასპოზი (80), 3:0 სუტერი (86)
5 200 მაყურებელი

**სერვეტი 1:1 ბაზელი**

0:1 ჩუგა (25), 1:1 ლონფატი (84)
4 815 მაყურებელი

**ივერდონი 2:3 გრასჰოპერი**

1:0 გოური (2), 1:1 კაბანასი (43), 2:1 გოური (54), 2:2 პეტრიჩი (87), 2:3 სმილიანიჩი (88)
3 100 მაყურებელი

**როგორც** იქნა, დანავსული სერია შეწყვიტა და წლეულს პირველი გამარჯვება მოიპოვა გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხმა“. ციურიხელებმა ამ უქმეებზე ცხრილის მეორე ნახევარში მოკალათებულ „ლუცერნს“ უმასპინძლეს და 4:2 მოიგეს, რაშიც თავიანთი, არცთუ მოკრძალებული წვლილი ქართველმა ფეხბურთელებმა შეიტანეს. პირველი ორი გოლი მათ ანგარიშზე მოდის. ჯამარაულმა 29-ე წუთზე გახსნა ანგარიში, მეორე ნახევარში კი ყაველაშვილმაც გამოიჩინა თავი, როცა სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა. ამის შემდეგ „ლუცერნიც“ გააქტიურდა, სტუმრებმა თამაშის შემოტრიალება სცადეს, ორი გოლიც გაიტანეს, მაგრამ ეს ვერაფერში დაეხმარათ, გიანის დუბლს ბარტლეტმა და შასომაც ორით უპასუხეს.

ამ გამარჯვების შემდეგ „ციურიხმა“ ბოლო ადგილს თავი დააღწია და ეს „პატივი“ „ივერდონს“ დაუთმო, რომელიც მატჩის ბოლომდე 2:1-ს ამარცხებდა „გრასჰოპერს“, თუმც ანგარიშის შენარჩუნება მაინც ვერ შეძლო. სამ ქულას ვინ ჩივის, ივერდონელებმა ქულაც ვერ მოიპოვეს. 87-ე წუთზე პეტრიჩმა აღადგინა წონასწორობა, წუთის შემდეგ კი სმილიანიჩის ზუსტმა დარტყმამ „კალიებს“ მოუტანა გამარჯვება.

ჩემპიონატს კვლავაც „ლუგანო“ ლიდერობს, რომელიც პირველობის დაწყების წინ ცხრილის სათავეში ყოფნას სულაც არ გეგმავდა. ამჯერად ლუგანოელთა მსხვერპლი „ქსამაქსი“ შეიქნა.

„არაუ“ შინ დამარცხდა. ლევან ხომერიკის გუნდი „ლოზანას“ მასპინძლობდა. არაუელებს გამარჯვების კი ეიმედებოდათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. სტუმრებმა 2:1 მოიგეს. ხომერიკი თამაშში მეორე ნახევარში ჩაერთო, თუმც თავისიანებს ვერაფრით დაეხმარა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 16 |
| ლოზანა | 7 | 5 | 0 | 2 | 14:9 | 15 |
| გრასჰოპერი | 7 | 4 | 1 | 2 | 17:5 | 13 |
| სენტ გალენი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| ბაზელი | 7 | 3 | 1 | 3 | 15:12 | 10 |
| სიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 5:8 | 10 |
| სერვეტი | 7 | 2 | 3 | 2 | 11:12 | 9 |
| არაუ | 7 | 2 | 1 | 4 | 5:10 | 7 |
| ლუცერნი | 7 | 2 | 1 | 4 | 11:17 | 7 |
| ქსამაქსი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:18 | 7 |
| ციურიხი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:10 | 6 |
| ივერდონი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:12 | 5 |

## ესპანეთი

სუპერთასი. I მატჩი

**ესპანიოლი 0:0 დეპორტივო**

ესპანიოლი: მორა, პოჩეტინო, ნანდო, კრისტობალი, ველამასანი (დე ლუკასი 71), არტეაგა (ივან დიასი 71), გალკა, სერხიო, ნავასი, ტამუდო, მარტინ პოსე (ოსკარი 54)
დეპორტივო: სონგო, ნაიბეტი, რომერო, მანუელ პაბლო, ჯალმინია (დიეგო ტრისტანი 78), ფრანი, ვიქტორი (დუშერი 75), მაურო სილვა, ილკანოვიჩი, დონატო, პაულეტა (ტურუ ფლორესი 57)
გაფრთხილება: ნავასი
მსაჯი: ანსუატეგი როჩა
16 800 მაყურებელი

## ბელგია

II ტური

### ლოკერენი 1:0 ბეერსხოტი

1:0 ვანიჩი (25)
6 500 მაყურებელი

### გენტი 2:1 მეხელენი

1:0 ოლკესე (42), 1:1 დირიქსი (50), 2:1 შეპენსი (54)
7 200 მაყურებელი

### ანტვერპენი 0:1 ბევერენი

0:1 სმიდი (44)
5 000 მაყურებელი

### შარლერუა 5:0 ჰარელბეკე

1:0, 2:0, 3:0 ბრონო (9, 45, 66), 4:0 შიფო (74), 5:0 ბრონო (88)
15 000 მაყურებელი

### გენკი 3:1 აალსტი

1:0 სკოკო (17), 2:0 სონკი (22), 2:1 ვან დენ ბოში (43), 3:1 ორიგი (48)
აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, დე კისერი, არტსი, ვან დენ ბოში, რეიჯელი (ჰილარტსი 62), კესტენსი (მრვალიევიჩი 85), ტემერმანი, მიკელი, ეტჩი (დე საედელერი 79), ტიბო
მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი
20 075 მაყურებელი

### სენტ ტრუიდენი 0:1 ლიერსი

0:1 კავენსი (90)
ლიერსი: ვან დერ სტრატენი, პოორტერსი (ჰოფკენსი 66), სმეტსი, ვან მეირი, კლაესი, სნოეკსი, სომერსი, ლეენი, ვერეტენნიკოვი (სპიტერი 56), კავენსი, შიშილაძე
მწვრთნელი: ვალტერ მეუსი
8 000 მაყურებელი

### სტანდარდი 3:0 ლუვიე

1:0, 2:0 მორნარი (48, 77), 3:0 ელ იამანი (89)
35 000 მაყურებელი

### ანდერლეხტი 3:2 ვესტერლო

1:0 რადზინსკი (10), 1:1, 1:2 ბოეკა-ლისასი (25, 66), 2:2 კოლერი (83), 3:2 გოორი (90)
24 100 მაყურებელი

### მუსკრონი 1:2 ბრიუგე

0:1 ფადიგა (12), 1:1 ჩევლაკოვი (32), 1:2 ვერმანტი (89)
15 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შარლერუა | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ბრიუგე | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 6 |
| სტანდარდი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| ლიერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| გენკი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ანდერლეხტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ლოკერენი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| მუსკრონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 3 |
| ვესტერლო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ბევერენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| გენტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:7 | 3 |
| მეხელენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სტ. ტრუიდენი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ლუვიე | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ანტვერპენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| აალსტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| ბეერსხოტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| ჰარელბეკე | 2 | 0 | 0 | 2 | 3:9 | 0 |

## რუმინეთი

მე-3 ტური: ოცელული — პეტროლული 0:2; რაპიდი — როკარი 2:3; გაც მეტანი — ბაკეუ 0:0; ასტრა — გლორია 2:0; უნივერსიტატეა — ფორესტა 1:0; სტიაუა — დინამო 4:1; არჯეში — ჩაჰლაული 2:1; ნაციონალი — ბრაშოვი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 3 | 2 | 1 | 0 | 9:5 | 7 |
| როკარი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| უნივერსიტატეა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| ბრაშოვი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 6 |
| არჯეში | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | 6 |
| გაც მეტანი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ბაკეუ | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 4 |
| რაპიდი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ფორესტა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| პეტროლული | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ოცელული | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| ასტრა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ნაციონალი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| ჩაჰლაული | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| გლორია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

## დანია

მე-5 ტური. ბრონდბიუ — ჰერფიოლგე 5:0; ორჰუსი — აკადემისკი 1:3; სილკებორგი — ოდენსე 2:1; ვიბორგი — ჰადერსლევი 2:1; ლიუნგბიუ — ოლბორგი 2:1; მიდტიულანდი — კოპენჰაგენი 1:0;

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიბორგი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:3 | 11 |
| სილკებორგი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:11 | 10 |
| აკადემისკი | 5 | 2 | 3 | 0 | 11:5 | 9 |
| ორჰუსი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:8 | 9 |
| ლიუნგბიუ | 5 | 3 | 0 | 2 | 7:9 | 9 |
| ბრონდბიუ | 5 | 2 | 2 | 1 | 15:5 | 8 |
| ოდენსე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:3 | 7 |
| მიდტიულანდი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ოლბორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 7 |
| კოპენჰაგენი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:5 | 4 |
| ჰერფიოლგე | 5 | 1 | 0 | 4 | 6:17 | 3 |
| ჰადერსლევი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:15 | 0 |

## ჩეხეთი

მე-4 ტური. სინოტი — პლზენი 5:0; ბრნო — სიგმა 0:2; სლავია — ლიბერეცი 1:0; იაბლონეცი — სპარტა 0:3; ქიქკოვი — ტეპლიცე 2:1; ბლშანი — პრჟიბრამი 1:1; ბუდეიოვიცე — ბანიკი 1:0; დრნოვიცე — ბოჰემიანსი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 12 |
| სინოტი | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| ლიბერეცი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 9 |
| სიგმა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 8 |
| სლავია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ბანიკი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბლშანი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| ბოჰემიანსი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ტეპლიცე | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ბუდეიოვიცე | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| პლზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:10 | 4 |
| ქიქკოვი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |
| დრნოვიცე | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| იაბლონეცი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |
| ბრნო | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| პრჟიბრამი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | 1 |

## თურქეთი

მე-2 ტური. ანთალია — ბეშიქთაში 1:2; იეთფა — რიზე 2:3; ანკარაგიუჯიუ — ქოჯაელი 1:0; იოზგათი — დენიზლი 2:0; გალათასარაი — ერზურუმი 7:0; ტრაბზონი — ბურსა 2:0; გაზიანთეფი — სამსუნი 4:0; გენჩლერბირლიგი — ადანა 1:0; ფენერბაჰჩე — ისთანბული 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ტრაბზონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ბეშიქთაში | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| გაზიანთეფი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:3 | 4 |
| რიზე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| გენჩლერბირ. | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ადანა | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| ანთალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სამსუნი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| იოზგათი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ანკარაგიუჯიუ | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ბურსა | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| იეთფა | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| დენიზლი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ქოჯაელი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |
| ისთანბული | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |
| ერზურუმი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:10 | 0 |

## პოლონეთი

მე-5 ტური. რაძიონკოვი — გროცლინი 2:1; ვისლა — პოგონი 1:2; რუხი — პოლონია 0:3; ზაგლებე — ვიძევი 4:2; შლიონსკი — სტომილი 0:1; ამიცა — კატოვიცე 1:1; პლოცკი — ოდრა 1:2; ლეგია — გურნიკი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოგონი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 13 |
| ლეგია | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| ვისლა | 5 | 3 | 1 | 1 | 12:5 | 10 |
| პოლონია | 5 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 10 |
| ამიცა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| ზაგლებე | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 9 |
| სტომილი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:7 | 9 |
| ოდრა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| პლოცკი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| ვიძევი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:10 | 5 |
| გურნიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:6 | 4 |
| კატოვიცე | 5 | 0 | 4 | 1 | 1:2 | 4 |
| შლიონსკი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| გროცლინი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | 3 |
| რუხი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:11 | 3 |
| რაძიონკოვი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:11 | 3 |

## ნორვეგია

მე-20 ტური. ბოდიო გლიმტი — ლილესტრიომი 3:0; ბრინი — სტაბეკი 2:1; მოსი — ჰაუგესუნდი 2:2; ოდ გრენლანდი — როსენბორგი 0:3; სტარტი — ვიკინგი 4:4; ვოლერენგა — ბრანი 0:1; ტრომსიო — მოლდე 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 20 | 14 | 4 | 2 | 46:18 | 46 |
| ვიკინგი | 20 | 10 | 4 | 6 | 41:33 | 34 |
| ბრანი | 19 | 10 | 3 | 6 | 39:32 | 33 |
| ტრომსიო | 20 | 9 | 5 | 6 | 36:36 | 32 |
| სტაბეკი | 19 | 9 | 3 | 7 | 48:26 | 30 |
| მოლდე | 20 | 8 | 6 | 6 | 30:36 | 30 |
| ოდ გრენლანდი | 20 | 8 | 5 | 7 | 31:27 | 29 |
| ლილესტრიომი | 18 | 7 | 6 | 5 | 30:18 | 27 |
| ბოდიო გლიმტი | 20 | 6 | 9 | 5 | 41:40 | 27 |
| მოსი | 20 | 6 | 7 | 7 | 32:36 | 25 |
| ვოლერენგა | 20 | 4 | 7 | 9 | 24:30 | 19 |
| ბრინი | 20 | 5 | 4 | 11 | 26:45 | 19 |
| ჰაუგესუნდი | 20 | 3 | 4 | 13 | 27:51 | 13 |
| სტარტი | 18 | 2 | 5 | 11 | 27:50 | 11 |

# მუდამ ფერგიუსონი, რა ღირს ავადმყოფი რუუდი?

**საიდუმლო** მოლაპარაკებებს ფარდა აეხადა — „მანჩესტერ იუნაიტედის" აღმასრულებელ შეფს პიტერ კინიონს მწვრთნელისთვის, სერ ალექს ფერგიუსონისთვის სამუდამო კონტრაქტი შეუთავაზებია. არადა, მოგეხსენებათ, მის ახალ ხელშეკრულებას ორ წელიწადში ვადა გაუდის.

„პიტერმა დარჩენა შემომთავაზა. ჩვენ ამ საკითხზე კარგა ხანს ვილაპარაკეთ. ისე, კაცმა რომ თქვას, აზრი მაინც არ შემიცვლია, დათქმულ დროს გუნდის გაძღოლას თავს დავანებებ, თუმცა ამის შემდგომ ახალგაზრდათა აღზრდის საკითხებზე მუშაობა, ალბათ, ძალიან საინტერესო უნდა იყოს. ეს აზრი მომეწონა. ერთი სიტყვით „მანჩესტერ იუნაიტედში" სიამოვნებით დავრჩებოდი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჯერ არ მეჩქარება. მანამდე კარგად უნდა ავწონ-დავწონო, ახალი წინადადება ადრეულ გეგმებს შევაჯერო და ისე ვთქვა საბოლოო სათქმელი, თუმცა გული მიგრძნობს, რომ ყველაფერი კარგად აეწყობა."

ეს, რაც შეეხებოდა ფერგიუსონის „იუნაიტედში" დარჩენას, თუმცა მანამდე მწვრთნელს სხვა, დღეისათვის უფრო აქტუალური საკითხები აქვს მოსაგვარებელი. კერძოდ, მისი განცხადებით, ჰოლანდიელი თავდამსხმელი რუუდ ვან ნისტელროი დაახლოებით ექვსი კვირის შემდეგ „ოლდ ტრაფორდზე" იქნება. გეხსომებათ, ვან ნისტელროის ყიდვას ინგლისის ჩემპიონი გაზაფხულზეც აპირებდა და მის ჰოლანდიურ გუნდს, პსვ-ს 27 მილიონ დოლარად ის-ის იყო გაურიგდა კიდეც, მაგრამ ფეხბურთელის ტრავმამ გეგმა ჩაშალა. შემდეგ იყო და პსვ-ს ერთ-ერთი მოსამზადებელი შეხვედრის დროს ფორვარდს გული შეუღონდა, მაგრამ როგორც ჩანს მისი გამოჯანმრთელების საქმე კარგად მიდის.

„რუუდმა მითხრა, რომ მონდომებით ვარჯიშობს და გრაფიკს უსწრებს კიდეც. ერთი სიტყვით ოქტომბერში მანჩესტერში ჩამოსვლასა და ჩვენთან ვარჯიშს აპირებს და ჩვენც ამის იმედი გვაქვს. კონკრეტულად და უფრო ზუსტად ლაპარაკს კი აზრი არ აქვს, ვინაიდან მოლაპარაკებები მრავალმხრივად მიმდინარეობს. თუმცა, ვგონებ, ახალ კონტრაქტში ბევრი რამ ძველებურად დარჩება. ამრიგად, სამედიცინო შემოწმებას დაველოდოთ და ვნახოთ" — ბრძანა სერ ალექსმა.



ალექს ფერგიუსონი

## კატანეცმა შკან დაიხია, ზაჰოვიჩი ნაკრებშია

**უპრინციპო** კაცი გამოდგა სლოვენიელთა მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი. მას თუ დაავიწყდა, ჩვენ კარგად გვახსოვს, რამდენიმე დღის წინ რომ ამბობდა, ზაჰოვიჩის ადგილი ჩემს გუნდში აღარ იქნება, თუგინდ ყველა მატჩი წავაგოთო.

კონფლიქტის ამბავს შეგახსენებთ. ზლატკო ზაჰოვიჩმა ნაკრების ლიდერობა იცოტავა და მწვრთნელის უფლება-მოვალეობების თავის თავზე აღება განიზრახა. აქაოდა, კატანეცის სასწავლებელი რა მჭირს, როგორ უნდა ვივარჯიშო, მასზე კარგად ვიციო. მოკლედ, „ვარსკვლავური სენი" შეეყარა.

სრეჩკო კატანეცი მიხვდა, რომ მართვის სადავეებს ხელიდან უშვებდა და უკიდურეს ზომას მიმართა.

გუშინ კატანეცმა სლოვენიის ნაკრების შემადგენლობა გამოაცხადა, რომელიც 3 სექტემბერს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ფარერის კუნძულების ნაკრებს შეხვდება. შემადგენლობაში ზლატკო ზაჰოვიჩიც არის. მწვრთნელმა თავისი ვარსკვლავის გარეშე ერთი კვირაც ვერ გაძლო.

ზაჰოვიჩი რომ ნაკრების უდავო ლიდერია, საკამათო არ გახლავთ, მაგრამ საკითხავია, სრეჩკო კატანეცმა თავი უხერხულ მდგომარეობაში რატომ ჩაიგდო. ვითომ გადაწყვეტილების ასე უეცარი შეცვლით მის ავტორიტეტს რამე მოემატება?

**სლოვენიის ნაკრების შემადგენლობა:**

მეკარეები: მლადენ დაბანოვიჩი (ლოკერენი, ბელგია), მარკო სიმეუნოვიჩი (მარიბორი);

მცველები: სპასოიე ბულაიჩი (კიოლნი, გერმანია), მარინკო გალიჩი (მარიბორი), ჟელკო მილინოვიჩი (გრაცერი, ავსტრია), მუამერ ვუგდალიჩი (მარიბორი);

ნახევარმცველები: ალეშ ჩეჰი (გრაცერი, ავსტრია), საშო გაიზერი (გენტი, ბელგია), ამირ კარიჩი (მარიბორი), მირან პავლინი (პორტუ, პორტუგალია), ზორან პავლოვიჩი (დინამო, ხორვატია), ჯონი ნოვაკი (სედანი, საფრანგეთი), რაიკო ტავკარი (ნიურნბერგი), ზლატკო ზაჰოვიჩი (ვალენსია, ესპანეთი);

თავდამსხმელები: მილან ოსტერცი (ჰაპოელი, თელ ავივი, ისრაელი), მლადენ რუდონია (პორტსმუთი, ინგლისი), ერმინ შილიაკი (სერვეტი, შვეიცარია), საშო უდოვიჩი (ლინცერი, ავსტრია)

### ფეხბურთის რუკასთან



**ბრაზილიელმა** ემერსონმა, რომელიც „ლევერკუზენიდან" „რომში" ცოტა ხნის წინ გადავიდა, ტრავმა მიიღო და შესაძლოა ექვს თვეს ვერ ითამაშოს. ექიმების ცნობით, ნახევარმცველს მუხლის მყესები დაუზიანდა. ემერსონმა „შარშანდელი" სეზონი ბუნდესლიგაში ძლიერად ჩაატარა და ბევრი წამყვანი ევროპული კლუბის ყურადღება მიიპყრო, საბოლოოდ კი მისი გადაბირება „რომამ" შეძლო გერმანულ ტრანსფერებში სარეკორდო თანხის ფასად.

**ჰოლანდიელი ნახევარმცველის, კლარენს ზეედორფის შეძენის სურვილი „ბარსელონამ" და „მილანმა" გამოთქვეს. იუწყებიან, რომ ფეხბურთელი, რომელიც „ინტერში" შარშან მადრიდის „რეალიდან" გადავიდა, უკმაყოფილოა და ინგლისური კლუბიდან წასვლას აპირებსო. თუმც თავად ზეედორფი აცხადებს, რომ მისთვის კონკრეტულად ჯერჯერობით არავის მიუმართავს. არც „ბარსელონა" და „მილანი" იუწყებიან, თუ რამდენს გადაიხდიან ჰოლანდიელის სანაცვლოდ. „ინტერში" მისვლამდე ზეედორფმა რამდენიმე კლუბი გამოიცვალა. იგი ჯერ ამსტერდამის „აიაქსში" თამაშობდა, შემდეგ ჯენუის „სამპდორიაში", იქედან ესპანეთში მოხვდა და მადრიდის „რეალის" მაისურა მოირგო.**

**პანამის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ტრინიდადთან 0:6 წააგო. ამის გამო მწვრთნელი მიგელ მანსილა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. პანამის ნაკრებს სამი ტურის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულა აქვს და ჯგუფში ბოლო ადგილზეა. არ არის გამორიცხული, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ვაკანტურ პოსტზე ინგლისელი მარი სტეპელი მიიწვიოს. მათი ცნობით, საკითხი უახლოეს მომავალში გადაწყდება.

**შვეიცარიელი ფორვარდი დევიდ სასა სერია ბ-ში ჩამოქვეითებულმა „ნაპოლიმ" შეიძინა და „ლეჩეს" სანაცვლოდ 6,56 მილიონი დოლარი გადაუხადა. ფეხბურთელმა ნეაპოლურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იგი გუნდთან ერთად ვარჯიშს მალე დაიწყებს. სასამ „ლეჩეში" ორი სეზონი ითამაშა, მანამდე იგი „სერვეტის" ღირსებას იცავდა. აღსანიშნავია, რომ დევიდი იტალიელი ემიგრანტის შვილია. მისი მამა „ნაპოლის" ქომაგი ყოფილა.**

**ნორვეგიელმა** მცველმა რონი იონსენმა პრემიერლიგის პირველ ტურში ტრავმა მიიღო და დღეს „იფსვიჩის" წინააღმდეგ, ალბათ, ვეღარ ითამაშებს. „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ იონსენი შაბათისთვის გამოჯანმრთელდება და „ვესტ ჰემთან" თამაშს შეძლებს. „ტრავმა სერიოზული არ ყოფილა, ვიმედოვნებ, რომ რონი გუნდს მალე დაუბრუნდება" — განაცხადა „მანჩესტერის" თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა. აღსანიშნავია, რომ რონი იონსენმა შარშან ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა, მერე დაშავდა და გუნდს ზუსტად ერთი წლით გამოეთიშა.

**შვეიცარიის ნაკრების მეკარე პასკალ ცუბერბიულერმა, რომელიც ლევერკუზენის „ბაიერში" თამაშობს, ბუნდესლიგის მეორე ტურში ტრავმა მიიღო. ექიმთა თქმით, ცუბერბიულერი ორი თვით ვეღარ ითამაშებს. ამ პერიოდში კი გერმანიის ჩემპიონატის გარდა მეკარე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩსაც გამოტოვებს. 2 სექტემბერს შვეიცარიის ნაკრები რუსეთს ხვდება. ცუბერბიულერს კლუბში ადამ მატისკი შეცვლის. შეგახსენებთ, რომ მატისკი „ბაიერის" სასტარტო შემადგენლობიდან ადრეც ცუბერბიულერმა გამოდევნა, როცა „ბაზელიდან" 690 ათას დოლარად გერმანულ კლუბში გადავიდა.**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა. მე-2 ტური
22 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ბრედფორდი-ჩელსი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 002 | იფსვიჩი-მანჩესტერი | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 003 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

23 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 004 | ასტონ ვილა-ლიდსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 005 | ევერტონი-ჩარლტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 006 | სიტი-სანდერლენდი | 2,2 | 3,0 | 3,3 |
| 007 | ნიუკასლი-დერბი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 008 | საუთჰემპტონი-ქოვენთრი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 009 | ვესტ ჰემი-ლესტერი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

ჰოლანდია. გადადებული მატჩები
22 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 010 | აიაქსი-სიტარდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 011 | აიაქსი-სიტარდი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

23 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 012 | გრონინგენი-ნაიმეგენი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

ბელგია. II დივიზიონი. 1-ლი ტური
23 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 013 | ტურნჰაუტი-გეელი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 014 | ლიეჟი-მონსი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 015 | ჰეკელგემი-დენდერლეუ | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 016 | დესელი-ოსტენდე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 017 | მოლენბეკი-სტრომბეკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 018 | მოლენბეკი-სტრომბეკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 019 | მაასლანდი-ინგელმუნსტერი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 020 | დაინცე-სერკლ ბრიუგე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 021 | ლომელი-რუზელარე | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 022 | ლომელი-რუზელარე 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 023 | ჰეუსდენი-ტინენი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი. I მატჩები
22 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 024 | ბარნეტი-უიკომბი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 025 | ბოლტონი-მაკლსფილდი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 026 | ბრაიტონი-მილუოლი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 027 | ბრისტოლი-ბრენტფორდი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 028 | ბარნლი-ჰარტლპული | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 029 | კემბრიჯი-პორტსმუთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 031 | ქრიუ-ბერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 033 | დარლინგტონი-ნოტინგემი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 034 | ჯილინგემი-ტორკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 035 | გრიმსბი-კარლაისლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 036 | ჰალი-ნოტსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 037 | ლეიტონი-რედინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 038 | ლუტონი-პიტერბრო | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 039 | მენსფილდი-რექსემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 040 | ნორთჰემპტონი-ფულემი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 041 | ნორვიჩი-ბორნმუთი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 042 | ოლდემი-ჰადერსფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 044 | პორტ ვეილი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,8 | 4,4 |
| 045 | როჩდეილი-ბლექბერნი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 046 | როტერჰემი-ბარნსლი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 047 | შეფილდი-ლინკოლნი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 048 | შრიუსბერი-პრესტონი | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 049 | საუთენდი-ბირმინგემი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 050 | სტოკპორტი-ბლექპული | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 051 | სუონსი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 052 | სუინდონი-ექსეტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 053 | ტრანმერი-ჰალიფაქსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 054 | უოლსოლი-კიდერმინსტერი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 055 | უოტფორდი-ჩელტენემი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 056 | უიგანი-სკანთორპი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 057 | ვულვერჰემპტონი-ოქსფორდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 058 | იორკი-სტოკი | 3,4 | 3,1 | 2,0 |

23 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 030 | კოლჩესტერი-ქუინზ პარკი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 032 | კრისტალ პალასი-კარდიფი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 043 | პლიმუთი-როვერსი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. II მატჩები
22 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | სლავია (ჩეხეთი)-შახტარი (უკრაინა) 1:0 | 1,55 | 3,3 | 5,6 |
| 502 | ჰამბურგი (გერმანია)-ბრიონდბიუ (დანია) 2:0 | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 503 | დინამო (ხორვატია)-მილანი (იტალია) 1:3 | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 504 | გალათასარაი (თურქეთი)-სენტ გალენი (შვეიცარია) 2:1 | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 505 | სპარტა (ჩეხეთი)-ზიმბრუ (მოლდოვა) 1:0 | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 506 | ლოკომოტივი (რუსეთი)-ბეშიქთაში (თურქეთი) 0:3 | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 507 | ფეიენოორდი (ჰოლანდია)-შტურმი (ავსტრია) 1:2 | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 508 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-პოლონია (პოლონეთი) 2:2 | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 509 | ლიონი (საფრანგეთი)-ინტერი (სლოვაკეთი) 2:1 | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 510 | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)-დინამო (უკრაინა) 0:0 | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 511 | მიუნხენ 1860 (გერმანია)-ლიდსი (ინგლისი) 1:2 | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 512 | რეინჯერსი (შოტლანდია)-ჰერფიოლგე (დანია) 3:0 | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 513 | რუსენბორგი (ნორვეგია)-დუნაფერი (უნგრეთი) 2:2 | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 514 | ინტერი (იტალია)-ჰელსინგბორგი (შვედეთი) 0:1 | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 515 | ვალენსია (ესპანეთი)-ტიროლი (ავსტრია) 0:0 | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 516 | პორტუ (პორტუგალია)-ანდერლეხტი (ბელგია) 0:1 | 1,75 | 3,0 | 4,4 |

უეფას თასი. I ეტაპი. II მატჩები
23 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 517 | ფლორა (ესტონეთი)-ბრიუგე (ბელგია) 1:4 | 5,3 | 3,3 | 1,6 |

24 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 518 | აშტარაკი (სომხეთი)-რაპიდი (რუმინეთი) 0:3 | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 519 | ლოკომოტივი (საქართველო)-სლოვანი (სლოვაკეთი) | ანგარიში - 5,0 | | |
| 520 | გორიცა (სლოვენია)-ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 0:1 | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 521 | ბუდუჩნოსტი (ბოსნია)-დრნოვიცე (ჩეხეთი) 0:3 | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 522 | ვისლა (პოლონეთი)-ჟელეზნიჩარი (ბოსნია) 0:0 | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 523 | ტეუტა (ალბანეთი)-რაპიდი (ავსტრია) 0:2 | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 524 | პობედა (მაკედონია)-უნივერსიტატია (რუმინეთი) 1:1 | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 525 | კოშიცე (სლოვაკეთი)-არარატი (სომხეთი) 3:2 | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 526 | ცსკა (ბულგარეთი)-კონსტრუქტორული (მოლდოვა) 3:2 | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 527 | ბეითარი (ისრაელი)-ვიტ ჯორჯია (საქართველო) | ანგარიში - 5,0 | | |
| 528 | მაკაბი (ჰაიფა/ისრაელი)-სლავია (ბელარუსი) 1:1 | 1,45 | 3,0 | 7,5 |
| 529 | ტულევიკი (ესტონეთი)-ნაპრედაკი (იუგოსლავია) 1:5 | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 530 | აპოელი (კვიპროსი)-ტომორი (ალბანეთი) 3:2 | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 531 | პარტიზანი (იუგოსლავია)-სლიმა (მალტა) 1:2 | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 532 | ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი)-ომონია (კვიპროსი) 0:0 | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 533 | ვადუცი (ლიხტენშტაინი)-ამიცა (პოლონეთი) 0:3 | 7,5 | 4,0 | 1,25 |
| 534 | იოკერიტი (ფინეთი)-მტკ (უნგრეთი) 0:1 | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 535 | ლილესტრ. (ნორვეგია)-გლენტორანი (ჩ.ირლანდია) 3:0 | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 536 | ანთალია (თურქეთი)-ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 2:0 | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 537 | ბრანი (ნორვეგია)-მეტალურგსი (ლატვია) 1:1 | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 538 | გომელი (ბელარუსი)-აიკ (შვედეთი) 0:1 | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 539 | კორკი (ირლანდია)-ლოზანა (შვეიცარია) 0:1 | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 540 | ნორჩიოპინგი (შვედეთი)-გოტუ (ფარერები) 1:0 | 1,05 | 9,0 | 18,0 |
| 541 | ჰალმსტადი (შვედეთი)-ბანგორი (უელსი) 7:0 | 1,02 | 12,0 | 18,0 |
| 542 | იორგრიტე (შვედეთი)-კოლრეინი (ჩრდ.ირლანდია) 2:1 | 1,15 | 6,00 | 12,0 |
| 543 | ბაზელი (შვეიცარია)-ფოლგორი (სან მარინო) 5:1 | 1,01 | 12,0 | 22,0 |
| 544 | რუხი (პოლონეთი)-ჟალგირისი (ლიტვა) 1:2 | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 545 | გენტი (ბელგია)-აკრანესი (ისლანდია) 3:0 | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 546 | ოლიმპია (სლოვენია)-შერიფი (მოლდოვა) 0:0 | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 547 | გრევენმახერი (ლუქსემბურგი)-ჰიკ (ფინეთი) 1:4 | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 548 | ლიერსი (ბელგია)-ეკრანასი (ლიტვა) 3:0 | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 549 | რაბოტნიჩკი (მაკედონია)-ვორსკლა (უკრაინა) 0:2 | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 550 | ტორსჰაგენი (ფარერები)-აკადემისკი (დანია) 0:8 | 6,5 | 4,0 | 1,3 |
| 551 | ვალეტა (მალტა)-რიეკა (ხორვატია) 2:3 | 4,2 | 3,3 | 1,6 |
| 552 | რაიო ვალეკანო (ესპანეთი)-კონსტელაჩიო (ანდორა) 10:0 | 1,01 | 12,0 | 22,0 |
| 553 | ბერი (უელსი)-ბოავიშტა (პორტუგალია) 0:2 | 7,5 | 4,0 | 1,35 |
| 554 | სელტიკი (შოტლანდია)-ჟენესი (ლუქსემბურგი) 4:0 | 1,02 | 12,0 | 18,0 |
| 555 | ვაშაში (უნგრეთი)-ვენტსპილსი (ლატვია) 1:2 | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 556 | ბოჰემიანსი (ირლანდია)-აბერდინი (შოტლანდია) 2:1 | 3,2 | 3,0 | 2,0 |
| 557 | ჰართსი (შოტლანდია)-ვესტმანაეიარი (ისლანდია) 2:0 | 1,15 | 6,0 | 12,0 |

ინტერტოტო. ფინალი. II მატჩები
22 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 558 | ზენიტი (რუსეთი)-სელტა (ესპანეთი) 1:2 | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 559 | შტუტგარტი (გერმანია)-ოსერი (საფრანგეთი) 2:0 | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 560 | უდინეზე (იტალია)-სიგმა (ჩეხეთი) 2:2 | 1,25 | 5,0 | 9,0 |

ეტაპზე გასვლა (მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე)
ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. II მატჩები
22 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 701 | სლავია (ჩეხეთი) | -1,02 | შახტარი (უკრაინა) | -10,0 |
| 702 | ჰამბურგი (გერმანია) | —— | ბრიონდბიუ (დანია) | -20,0 |
| 703 | დინამო (ხორვატია) | -10,0 | მილანი (იტალია) | -1,02 |
| 704 | გალათასარაი (თურქ.) | -1,01 | სენტ გალენი (შვეიც.) | -15,0 |

23 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 705 | სპარტა (ჩეხეთი) | -1,01 | ზიმბრუ (მოლდოვა) | -15,0 |
| 706 | ლოკომოტივი (რუს.) | -7,5 | ბეშიქთაში (თურქეთი) | -1,03 |
| 707 | ფეიენოორდი (ჰოლან.) | -1,45 | შტურმი (ავსტრია) | -2,0 |
| 708 | პანათინაიკოსი (საბ.) | -1,1 | პოლონია (პოლონეთი) | -5,0 |
| 709 | ლიონი (საფრანგეთი) | -1,01 | ინტერი (სლოვაკეთი) | -15,0 |
| 710 | ცრვენა ზვეზდა (იუგ.) | -1,8 | დინამო (უკრაინა) | -1,6 |
| 711 | მიუნხენ 1860 (გერმ.) | -2,0 | ლიდსი (ინგლისი) | -1,5 |
| 712 | რეინჯერსი (შოტლ.) | —— | ჰერფიოლგე (დანია) | -50,0 |
| 713 | რუსენბორგი (ნორვ.) | -1,1 | დუნაფერი (უნგრეთი) | -5,0 |
| 714 | ინტერი (იტალია) | -1,25 | ჰელსინგბორგი (შვედ.) | -2,0 |
| 715 | ვალენსია (ესპანეთი) | -1,1 | ტიროლი (ავსტრია) | -5,0 |
| 716 | პორტუ (პორტუგალია) | -1,85 | ანდერლეხტი (ბელგია) | -1,55 |

უეფას თასი. I ეტაპი. II მატჩები
23 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 717 | ფლორა (ესტონეთი) | -50,0 | ბრიუგე (ბელგია) | —— |

24 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 718 | აშტარაკი (სომხეთი) | -25,0 | რაპიდი (რუმინეთი) | —— |
| 719 | ლოკომოტივი (საქარ.) | —— | სლოვანი (სლოვაკეთი) | —— |
| 720 | გორიცა (სლოვენია) | -1,25 | ნეფთჩი (აზერბაიჯანი) | -2,0 |
| 721 | ბუდუჩნოსტი (ბოსნია) | -10,0 | დრნოვიცე (ჩეხეთი) | -1,01 |
| 722 | ვისლა (პოლონეთი) | -1,1 | ჟელეზნიჩარი (ბოსნია) | -3,5 |
| 723 | ტეუტა (ალბანეთი) | -10,0 | რაპიდი (ავსტრია) | -1,01 |
| 724 | პობედა (მაკედონია) | -1,5 | უნივერსიტატია (რუმ.) | -1,8 |
| 725 | კოშიცე (სლოვაკეთი) | -1,01 | არარატი (სომხეთი) | -15,0 |
| 726 | ცსკა (ბულგარეთი) | -1,01 | კონსტრუქტ.(მოლდ.) | -10,0 |
| 727 | ბეითარი (ისრაელი) | —— | ვიტ ჯორჯია (საქარ.) | —— |
| 728 | მაკაბი (ჰ/ისრაელი) | -1,05 | სლავია (ბელარუსი) | -5,0 |
| 729 | ტულევიკი (ესტონეთი) | -25,0 | ნაპრედაკი (იუგოსლ.) | —— |
| 730 | აპოელი (კვიპროსი) | -1,01 | ტომორი (ალბანეთი) | -7,5 |
| 731 | პარტიზანი (იუგოსლ.) | -1,05 | სლიმა (მალტა) | -2,8 |
| 732 | ნეფტოხიმიკი (ბულგ.) | -1,3 | ომონია (კვიპროსი) | -2,5 |
| 733 | ვადუცი (ლიხტენშტ.) | -50,0 | ამიცა (პოლონეთი) | —— |
| 734 | იოკერიტი (ფინეთი) | -2,5 | მტკ (უნგრეთი) | -1,25 |
| 735 | ლილესტრ. (ნორვეგია) | —— | გლენტორანი (ჩ.ირლ.) | -50,0 |
| 736 | ანთალია (თურქეთი) | —— | ქიაფაზი (აზერბაიჯ.) | -50,0 |
| 737 | ბრანი (ნორვეგია) | -1,05 | მეტალურგსი (ლატვ.) | -4,0 |
| 738 | გომელი (ბელარუსი) | -4,0 | აიკ (შვედეთი) | -1,05 |
| 739 | კორკი (ირლანდია) | -3,5 | ლოზანა (შვეიცარია) | -1,1 |
| 740 | ნორჩიოპინგი (შვედ.) | —— | გოტუ (ფარერები) | -15,0 |
| 741 | ჰალმსტადი (შვედეთი) | —— | ბანგორი (უელსი) | -50,0 |
| 742 | იორგრიტე (შვედეთი) | —— | კოლრეინი (ჩრდ.ირლ.) | -15,0 |
| 743 | ბაზელი (შვეიცარია) | —— | ფოლგორი (სან მარ.) | -50,0 |
| 744 | რუხი (პოლონეთი) | -1,2 | ჟალგირისი (ლიტვა) | -2,5 |
| 745 | გენტი (ბელგია) | —— | აკრანესი (ისლანდია) | -50,0 |
| 746 | ოლიმპია (სლოვენია) | -1,1 | შერიფი (მოლდოვა) | -3,0 |
| 747 | გრევენმახერი (ლუქს.) | -25,0 | ჰიკ (ფინეთი) | —— |
| 748 | ლიერსი (ბელგია) | —— | ეკრანასი (ლიტვა) | 50,0 |
| 749 | რაბოტნიჩკი (მაკედ.) | -4,0 | ვორსკლა (უკრაინა) | -1,05 |
| 750 | ტორსჰაგენი (ფარერ.) | -50,0 | აკადემისკი (დანია) | —— |
| 751 | ვალეტა (მალტა) | -3,0 | რიეკა (ხორვატია) | -1,1 |
| 752 | რაიო ვალეკანო (ესპ.) | —— | კონსტელაჩიო (ანდ.) | 50,0 |
| 753 | ბერი (უელსი) | -10,0 | ბოავიშტა (პორტუგ.) | -1,01 |
| 754 | სელტიკი (შოტლანდ.) | —— | ჟენესი (ლუქსემბურგი) | -50,0 |
| 755 | ვაშაში (უნგრეთი) | -1,15 | ვენტსპილსი (ლატვია) | -2,5 |
| 756 | ბოჰემიანსი (ირლანდ.) | -1,2 | აბერდინი (შოტლან.) | -2,3 |
| 757 | ჰართსი (შოტლანდია) | —— | ვესტმანაეიარი (ისლ.) | -15,0 |

ინტერტოტო. ფინალი. II მატჩები
22 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 758 | ზენიტი (რუსეთი) | -3,1 | სელტა (ესპანეთი) | -1,2 |
| 759 | შტუტგარტი (გერმ.) | —— | ოსერი (საფრანგეთი) | -10,0 |
| 760 | უდინეზე (იტალია) | -1,01 | სიგმა (ჩეხეთი) | -7,5 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჩვენებურები სლოვენიაში: დასცხეთ ვისკონსინს!

**სლოვენიურმა** გუნდებმა ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყეს და რამდენიმე ამხანაგური მატჩის გამართვა მოასწრეს. სლოვენიაში სტუმრობს ვისკონსინის უნივერსიტეტის გუნდი, რომელიც შარშან ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატის ნახევარფინალისტი იყო. ამერიკელები იმ გუნდებს ეთამაშნენ, რომელთა ღირსებასაც ქართველი კალათბურთელები იცავენ.

ლიუბლიანის „ოლიმპია" სლოვენიის მთიანეთში, ქალაქ კობარიდში იყო შეკრებაზე და ვისკონსინის უნივერსიტეტსაც იქვე ეთამაშა. ლიუბლიანელებმა 76:53 მოიგეს. ვლადიმერ ბოისამ 13 წუთი ითამაშა და 3 ქულა გააკეთა — სამქულიანი ჩააგდო. ქართველმა კალათბურთელმა 13 წუთი ითამაშა და მოედანი ხუთი პერსონალურის გამო დატოვა. „ოლიმპიაში" ყველაზე შედეგიანები იყვნენ პრიმოჟ ბრეჟეცი (20 ქულა) და სანი ბეჩიროვიჩი (15 ქულა). ბოისა ათკაციან შემადგენლობაში კი მოხვდა, მაგრამ ეს „ოლიმპიას" ძირითადში თამაშის საბოლოო გარანტია არ არის. სხვა თუ არაფერი, ლიუბლიანელებს ქართველის ამპლუის ორი კალათბურთელი აკლდათ — ლიტველი მინდაუგას ჟუკაუსკასი ოლიმპიადისთვის ემზადება, ხოლო სტიპე მოდრიჩი შეუძლოდაა. „ოლიმპია" გუშინ კობარიდიდან შინ დაბრუნდა და ხუთშაბათს პოლონეთში მიემგზავრება საერთაშორისო ტურნირზე. რაც შეეხება ბოისას დაშავებულ ფეხს, კალათბურთელის თქმით, ტკივილმა თითქმის გაუარა. ბოისა პოლონეთში გაჰყვება „ოლიმპიას".

„ოლიმპიასი" არ იყოს, ვისკონსინის უნივერსიტეტის გუნდიც ჩამოვიდა მთიდან და ლიუბლიანაში „სლოვანს" დაუპირისპირდა. ნიკა ცქიტიშვილის და დავით უგრეხელიძის გუნდმა 83:79 აჯობა ოკეანისგაღმელ სტუმარს. უგრეხელიძემ 5 ქულა გააკეთა, ხოლო ცქიტიშვილს არ უთამაშია — იგი მოგვიანებით შეუერთდა „სლოვანს" და მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა ნაადრევად მიიჩნია ქართველის თამაშში ჩართვა. „სლოვანში" ყველაზე შედეგიანები იაკა ლაკოვიჩი (22 ქულა) და ერნესტ ნოვაკი (18 ქულა) იყვნენ.

# ქართველი პასარელები მაკედონიაში წავიდნენ

**არა**, დიდი არგენტინელი ფეხბურთელი დანიელ პასარელა აქ არაფერ შუაშია. არც მის რომელიმე ნათესავს ან მოგვარეს მიუღია საქართველოს მოქალაქეობა. ჩვენს კალათბურთშიც არ გამოჩენილა ამ გვარის მოთამაშე ან მწვრთნელი. სამაგიეროდ, ბევრი ქართველი ბავშვი, თანაც კალათბურთელი, უცებ გაპასარელდა, ხოლო მათგან თორმეტი რჩეული დღეს მაკედონიას გაემგზავრა.

ახლა კი ყველაფერს ნათელი მოვფინოთ და ვთქვათ, რომ სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) საკალათბურთო ასაკობრივ იერარქიაში ახალი საფეხური გააჩინა და მას პასარელა უწოდა. პასარელები 14 წლამდე კალათბურთელები (1986-1987 წლებში დაბადებულნი) არიან. ეს ასაკობრივი კატეგორია აქამდე არ არსებობდა. იყვნენ მინი-კალათბურთელები (12 წლამდე) და კადეტები (16 წლამდე), მათ შორის კი სიცარიელე იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ სიტყვა პასარელა ესპანურად ხიდს ნიშნავს, პასარელები ერთგვარი გადასასვლელები არიან მინი-კალათბურთელებსა და კადეტებს შორის.

ფიბა პასარელათა შორის ოფიციალურ, სანაკრებო დონეზე შეჯიბრებებს ჯერ არ ატარებს. სამაგიეროდ, მისი პატრონაჟით იმართება სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირი, რომელთა მიზანიც ამ ასაკში ნიჭიერი კალათბურთელების აღმოჩენა და მათთვის მეტი თამაშის საშუალების მიცემაა. ერთ-ერთი ასეთი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპი 27 აგვისტოს დაიწყება მაკედონიაში. იქ იასპარეზებს საქართველოს ბავშვთა საკალათბურთო აკადემიის გუნდი, რომელიც „მართვეს" ორი მოთამაშითაა გაძლიერებული. ჩვენი პასარელების მეტოქეები ორი მაკედონიური და ერთი ალბანური გუნდი იქნება. პირველ-მეორე ადგილებზე გასულები შესარჩევ ეტაპზე გააგრძელებენ ბრძოლას. მათ სხვა საკვალიფიკაციო ეტაპების პრიზიორები შეუერთდებიან.

მაკედონიაში საკალათბურთო აკადემიის გუნდს უხელმძღვანელებენ გელა წულაძე და მიხეილ კობეშავიძე. შეგახსენებთ, რომ აკადემიას საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი თავკაცობს.

# იუინგი ბეიკერის სანაცვლოდ?

**პროფესიონალ** კალათბურთელებს ხომ ვერაფერს გაუგებ. ერთი თვეც არ გასულა, რაც „ნიუ იორკ ნიქსის" ცენტრმა პატრიკ იუინგმა განაცხადა — მართალია, დავბერდი, მაგრამ სამი წელი თამაშს კიდევ ვაპირებ და თან, მაინცდამაინც „ნიუ იორკში" მინდაო. იმ ნათქვამში გასაკვირი არაფერი ყოფილა — კაცს ჯანი ერჩის და იმ გუნდში სურს კარიერის დასრულება, სადაც მთელი პროფესიული ცხოვრება გაუტარებია. არადა, იუინგის კარიერა, არც მეტი, არც ნაკლები, თხუთმეტ წელიწადს მოიცავს.

ამ დღეებში კი იუინგმა მშობლიურ კლუბს მისთვის სასურველი რვა გუნდის სია წარუდგინა. ღვაწლმოსილი კალათბურთელი რომელიმე მათგანში გაცვლას ან გაყიდვას ითხოვს. ამერიკული პრესის მიხედვით, „ნიუ იორკ ნიქსს" ყველაზე რეალურად იუინგის „სიეტლ სუპერსონიქსში" გაგზავნა და მის სანაცვლოდ ფორვარდ ვინ ბეიკერის მიღება ესახება.

38 წლის იუინგის ოთხწლიან და 60-მილიონდოლარიან კონტრაქტს გაისად გასდის ვადა. მომავალ სეზონში კალათბურთელმა 14 მილიონი უნდა მიიღოს. ვინ ბეიკერი 28 წლისაა, ანუ იუინგზე ათი წლით უმცროსი. მისი საგაისო ხელფასი 10 მილიონი დოლარია. ამბობენ, „ნიუ იორკმა" და „სიეტლმა" უკვე დაიწყეს მოლაპარაკება და იმაზე ზრუნავენ, რომ მოთამაშეთა გაცვლის შედეგად არ დაირღვეს ლიგის მიერ დაწესებული ჯამური ხელფასის ზღვარი.

ამ შესაძლო გაცვლის შესახებ არც „ნიუ იორკი" ამბობს რამეს და არც „სიეტლი". „ნიქსის" გენერალურმა მენეჯერმა სკოტ ლეიდენმა ისღა თქვა, რომ იუინგის აგენტს, დევიდ ფოლკს უნდა დაველაპარაკოო. სხვათა შორის, ლეიდენმა სეზონათაშორისო პერიოდში ძალიან ცუდად წარმართა „ნიქსის" სატრანსფერო პოლიტიკა — კლუბს ჩაუფლავდა მოლაპარაკებები ძლიერ თავისუფალ აგენტებთან, გრანტ ჰილთან, ბრაიან გრანტთან და დენი ფორტსონთან. „ნიუ იორკმა" მხოლოდ ერიკ სტრიკლენდი გადმოიყვანა „დალასიდან" და დრაფტში ამორჩეულ ჯონ ვოლესს გაუფორმა კონტრაქტი.

დევიდ ფოლკს კი ვერავინ დაუკავშირდა. სხვათა შორის, იგი როგორც იუინგის, ისე ბეიკერის აგენტიცაა.



მაჰმუდ აბდულ რაუფი (ბურთით)

# რჯულშეცვლილის და მორჯულებულის დაბრუნება

**31 წლის** წინ ამერიკაში, მისისიპის შტატის ქალაქ გალფპორტში ერთი ჩვეულებრივი ბიჭი, კრის ჯექსონი დაიბადა. ბავშვს ადრეულ ასაკში აღმოაჩნდა ნერვიული დაავადება, რაც თვალების განუწყვეტლივ პაჭუნში გამოიხატებოდა. მიუხედავად ამისა, პატარა კრისი გულმოდგინედ თამაშობდა და სწავლობდა კალათბურთს. სტუდენტობა ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაატარა. იქ მისი თანაგუნდელი შაკილ ონილი იყო.

კრის ჯექსონმა უნივერსიტეტის შემდეგ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადმოინაცვლა. 1990 წლის დრაფტში იგი „დენვერ ნაგეთსმა" აიყვანა. კალათბურთელი სისწრაფით და საჯარიმოების ზუსტი სროლით გამოირჩეოდა.

1993 წელს ჯექსონმა რჯული შეიცვალა, მაჰმადიანი გახდა და მაჰმუდ აბდულ რაუფად გადაინათლა. ამას სრულებითაც არ მოუხდენია გავლენა მის თამაშზე — კვლავინდებურად რჩებოდა „დენვერის" წამყვან მოთამაშედ.

დადგა 1995-1996 წლების სეზონი და აბდულ რაუფმა აურია. ამერიკის დროშას „ჩაგვრისა და ტირანიის სიმბოლო" უწოდა და ამერიკის ჰიმნისას ფეხზე დგომა იუკადრისა. არადა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის წესებში გარკვევით წერია — ყოველი მატჩის წინ უნდა შესრულდეს ამერიკის (ან კანადის, თუკი მატჩი ვანკუვერსა ან ტორონტოშია) ჰიმნი და ამ დროს მოედანზე მყოფი ყველა მოთამაშე, მწვრთნელი თუ მსაჯი ფეხზე უნდა იდგეს. აბდულ რაუფის საქციელმა განარისხა ლიგის მამები და მათაც განუსაზღვრელი ვადით მოკვეთეს კალათბურთელი, თან ჯარიმის გადახდაც დააკისრეს. აბდულ რაუფმა მალე მოინანია, თამაშის ნებართვა მიიღო, თან ითხოვა — ჰიმნის დროს ფეხზე კი ვიდგები, ოღონდ მაჰმადიანურ ლოცვას წავიკითხავო.

ასე იყო თუ ისე, ამ ამბის შემდეგ აბდულ რაუფის კარიერას წყალი შეუდგა. არადა, იმ სეზონში მან თავისთვის სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწია — მატჩში საშუალოდ 19,2 ქულა და 6,8 პასი.

1996 წლის ზაფხულში „დენვერმა" აბდულ რაუფი „საკრამენტო კინგზს" გაუცვალა ლიტველ შარუნას მარჩულიონისში. არც ახალ გუნდში ყოფილა მაჰმუდი ბოლო მოთამაშე, მაგრამ 1998 წელს „საკრამენტოსთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და კლუბმა იგი აღარ განუახლა. აბდულ რაუფი ევროპაში გაემგზავრა და 1998-1999 წლებში თურქეთში, სტამბოლის „ფერენბაჰჩეში" გაატარა. შარშანდელ სეზონში კი არსად უთამაშია.

და აი, კვირას აბდულ რაუფი დაუბრუნდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას. „ვანკუვერ გრიზლიზის" ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ვერსაჩემ განაცხადა, რომ კლუბმა ორდღიანი მოლაპარაკების შემდეგ კალათბურთელი დაითანხმა და კონტრაქტიც გაუფორმა. „მეტად კმაყოფილი ვარ, რომ ჩვენი გუნდის უკანა ხაზში მაჰმუდისებრ გამოცდილი მოთამაშე გვეყოლება" — აღნიშნა ვერსაჩემ. აბდულ რაუფი, სავარაუდოდ, გამთამაშებელ მაიკ ბიბის და მსროლელ მაიკლ დიკერსონის შემცვლელი იქნება. კონტრაქტის პირობები არ გახმაურებულა. აბდულ რაუფს კი პროფესიულ კარიერაში ნასროლი საჯარიმოების 91 პროცენტი ჩაუგდია.

## თავისუფალ აგენტთა ბაზარი

18-19-20 აგვისტო

***ვანკუვერ გრიზლიზი:*** *აიყვანა უკანახაზელი მაჰმუდ აბდულ რაუფი (უგუნდო).*

***შარლოტ ჰორნეთსი:*** *აიყვანა ფორვარდი ლი ნეილონი (უგუნდო).*

## ევროპული ამბები

### საფრანგეთი

# ფრანგები სიდნეისთვის

**საფრანგეთის** ნაკრებმა წინა კვირაში ოლიმპიადისთვის მზადების პროგრამით სამი ამხანაგური მატჩი გამართა. აღსანიშნავია, რომ სამივე შეხვედრა ქალაქ პოში შედგა და სამივე ფრანგების გამარჯვებით დასრულდა. „ლურჯ-წითლებმა" 82:56 მოუგეს ესპანეთს, 80:56 — თურქეთს და 62:58 —ავსტრალიას. ამის შემდეგ ფრანგთა მწვრთნელმა ჟან-პიერ დე ვინჩენციმ სიდნეის ოლიმპიადაზე წამსვლელთა ვინაობა გამოაცხადა.

***უკანა ხაზი:*** *არნუან რიგოდო (29 წლის; კინდერი, იტალია; 198 სმ; ნაკრებში 95 მატჩი), ლორან სკიარა (27 წლის; ვილერბანი; 195 სმ; 64), მუსტაფა სონკო (28 წლის; ლე მანი; 194 სმ; 5).*

***ფორვარდები:*** *ჯიმ ბილბა (32 წლის; ვილერბანი; 198 სმ; 130), იან ბონატო (28 წლის; ვილერბანი; 201 სმ; 79), ლორან ფუარე (26 წლის; ტაუ, ესპანეთი; 198 სმ; 60), ტიერი გადუ (31 წლის, პო ორტეზი; 205 სმ; 102), სტეფან რიზაშე (27 წლის; ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი; 202 სმ; 84).*

***ცენტრები:*** *სირილ ჟულიანი (26 წლის, პარი სენ ჟერმენი; 206 სმ; 55), ფრედერიკ ვეისი (23 წლის; პაოკ, საბერძნეთი; 218 სმ; 24), კროუფორდ პალმერი (29 წლის; ხუვენტუდი, ესპანეთი; 208 სმ; 11).*

### ესპანეთი

# ესპანური დუჟინი

**ესპანეთის** ნაკრებმა სიდნეის ოლიმპიადისთვის მზადების მორიგი ეტაპი საფრანგეთის ქალაქ პოში დაასრულა. კვირას ესპანელები ამხანაგურად შეხვდნენ ფრანგებს და 58:82 დამარცხდნენ. ამ მატჩის შემდეგ ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლოლო საინსმა განაცხადა, რომ ნაჩო როდილია და ლუსიო ანგულო საოლიმპიადო გუნდში ვერ მოხვდნენ. ამრიგად, საინსს უკვე ჰყავს შეგულებული ის თორმეტი კალათბურთელი, რომელიც სიდნეიში ესპანეთის ღირსებას დაიცავს.

***უკანა ხაზი:*** *რაულ ლოპესი, ნაჩო როდრიგესი, ალბერტო ანგულო, ხუან კარლოს ნავარო.*

***ფორვარდები:*** *ალბერტო ერეროსი, კარლოს ხიმენესი, როდრიგო დე ლა ფუენტე, ჯონი როჯერსი, ალფონსო რეიესი, ინიაკი დე მიგელი.*

***ცენტრები:*** *რობერტო დუენიასი, ხორხე გარბახოსა.*

წინასაოლიმპიადო მზადებას ესპანეთის ნაკრები სამშობლოში გააგრძელებს. დღეს და ხვალ უელვაში საერთაშორისო ტურნირია, სადაც მასპინძელთა გარდა გერმანია, თურქეთი და ხორვატია ითამაშებენ. 25-26 აგვისტოს კი ვალიადოლიდის საერთაშორისო ტურნირში ესპანეთი, თურქეთი, საბერძნეთი და ლიტვა იასპარეზებენ. ამის შემდეგ ესპანეთის ნაკრები იაპონიაში გაემგზავრება და ოლიმპიადამდე კიდევ ერთ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

# 1000 ბრაზილიელი: ხუმრობა არ გეგონოთ...
## რა უნდა ტორსიდას კორტზე?!



მარტინა ჰინგისი



სერენა უილიამსი

**ინდიანაპოლისი. ინდიანა. RCA-ს პირველობა. ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $**

გუგას, იგივე გუსტავო კუერტენს, თიხიანი კორტები უყვარს. მათზე ბურთები ზედმეტად არ დახტის და ინტელექტუალური ჩოგბურთის თამაში უფრო შეიძლება. ის უსამართლობაც ნაკლებია, რომლის მეშვეობით, გვარს არ დავასახელებთ და ზოგი ჩოგბურთელი მხოლოდ იმიტომ იგებს ტურნირებს, ხარის ძალით მოწოდება რომ შეუძლია. მოკლედ, გაუმარჯოს თიხას! — აი, დღევანდელამდე კუერტენის დევიზი და რიგიანი შედეგებიც: თიხნარზე მოგებული რვა ტურნირი, მათ შორის ორი „როლან გაროსი".

ინდიანაპოლისში რაღაც შეიცვალა, კუერტენმა ჰარდზე თავისი პირველი ტურნირი მოიგო და, იქნებ ეს იმის მაცნე იყოს, რომ ჩოგბურთში კიდევ ერთი უნივერსალური მოთამაშე გამოჩნდა, რომლის მთავარი კოზირი კორტის საფარის ქიმიური შემადგენლობა და მაგარი კუნთები კი არა, ჩოგნის მარჯვედ ქნევაა. ყოველ შემთხვევაში, ამერიკის ღია პირველობა კარს მოგვადგა და იქ კუერტენის თამაში ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. ახლა კი გუგას მიერ მეოთხედფინალიდან ფინალამდე გავლილი გზა აღვწეროთ და მერე თავად ფინალური მატჩიც.

შვიდი საუკეთესოდან კუერტენის მეტოქედ სამხრეთაფრიკელი უეინ ფერერა დასახელდა, რომელსაც ბრაზილიელმა გაუჭირვებლად 6:2, 6:3 მოუგო და მომდევნო ეტაპზე ნახევარფინალში ასევე უგაწამაწიოდ გასული ლეიტონ ჰიუიტის წინააღმდეგ დადგა (ავსტრალიელმა 82 წუთში შვედი თომას ენქვისტი დაამარცხა, ცინცინატის „მასტერსის" გამარჯვებული — 6:3, 6:3). ოზი და გუგა კორტზე შუადღისას გავიდნენ და ამ გარემოებით უკანასკნელი მეტად კმაყოფილი ჩანდა. „ჩემისთანა ზარმაცის ადრე ადგომა როგორ იქნება?" — შენიშნა მან მხიარული სახით და პირველი ბურთი გაათამაშა, თუმცა თავიდან არც შუადღის სიკეთე დასტყობია მაინცდამაინც, კორტზე მთვარეულივით მოძრაობდა და ჰიუიტი პირველ სეტში 5:2 დაწინაურდა. აქ კი გუგამ გამოფხიზლება ინება და მატჩი 7:5, 6:2 მოიგო.

მეორე ფინალისტი ორი სიმპათიური ყმაწვილის თამაშმა გაარკვია: რუსმა მარატ საფინმა ბრიტანელი ტიმ ჰენმანი დაამარცხა — 7:5, 6:4.

ფინალი დაძაბული გამოდგა. ათასობით მაყურებლიდან ბრაზილიელები უმცირესობას შეადგენდნენ, მაგრამ სხვაზე ასჯერ მეტს ხმაურობდნენ და, რუსის სიტყვებს თუ დავიჯერებთ, საფინის ფინალურ მარცხშიც გვარიანი წილი დაიდეს. პირველი სეტი მარატმა მოიგო. მომდევნოებშიც მრავალი შანსი ჰქონდა, წინ გაჭრილიყო, მაგრამ ერთიც ვერ გამოიყენა, მეორე და მესამე პარტიის ტაი-ბრეიკებში კი გუგა ბევრად სოლიდური ჩანდა. მან ტურნირი და 115 ათასი დოლარი მოიგო. „მაყურებელმა ნერვები მომიშალა — თქვა პრესკონფერენციაზე საფინმა, რომელმაც ჩოგნის უდიერად მოპყრობისთვის კორტზე შენიშვნა მიიღო— ყველაფერზე ყვირილი და თავის გაგიჟება არ გამიგია, ეს ჩოგბურთია, ჯენტლმენების თამაში თუ ფეხბურთი?" ფანთა დახმარებით, თუ ისე, თიხნარის ოსტატმა კუერტენმა ჰარდზე ტურნირიც მოიგო, ეს უკვე გითხარით და მსგავსი რამ სხვა მოთიხნარემ იმავდროულად ვაშინგტონშიც რომ შეძლო, ამაზე მეორე ნაწილში გიამბობთ...

**მეოთხედფინალი. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 1) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა, 10) 6:2, 6:3; ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი, 7) — ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 2) 7:6 (7:4), 6:2; მარატ საფინი (რუსეთი, 3) — სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) 0:6, 6:3, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია,5) — ტომას ენქვისტი (შვედეთი, 4) 6:3, 6:3.**

**ნახევარფინალი. კუერტენი — ჰიუიტი 7:5, 6:2; საფინი — ჰენმანი 7:5, 6:4.**

**ფინალი. კუერტენი — საფინი 3:6, 7:6 (7:2), 7:6 (7:2).**

**ვაშინგტონი. „ლეგ მეისონ ტენის კლასიკ". ჰარდი. საპრიზო 800 ათასი $**

შეერთებული შტატების სატახტო ქალაქში წვიმდა, რაც ფრიად აძნელებდა „ლეგ მეისონ ტენის კლასიკის" დაგეგმილი გზით წარმართვას. მეოთხედფინალში ანდრე აგასის ორჯერ შეაწყვეტინეს თამაში ნალექთა მოძალების გამო და ის ჩვიდმეტი წლის თინეიჯერიც რომ კერკეტი კაკალი გამოდგა? ამერიკელ ენდი როდიკს ვგულისხმობთ, იქამდე კაროლ კუჩერასა და ფაბრის სანტოროს ვაშინგტონიდან გამგდებს. იგი ახლა თავად ჩოგბურთის პირველ ფიგურას უპირებდა შერცხვენას. მან ამდენი ველარ გაქაჩა, მაგრამ იმ წვიმაში აგასიც სამსაათნახევარი აწვალა და დასაწყისისთვის არაუშავს. მერე, ნახევარფინალში, აგასი გერმანელ დევიდ პრინოშილს გადაეყარა და ნახევარი ძალით მოუგო, იქით კი ესპანელი ალექს კორეჩა 90 წუთის მანძილზე გერმანელსავე ნიკოლას კიფერს ეძიძგილავებოდა და მოერია — 7:6 (7:2), 6:2; აგასიმ კორეჩა ფინალურ თამაშამდეც შეაქო, კარგად აწოდებს და კორტზე მართებულად რბენა ეხერხებაო, რაც თავის თავზეც გამოსცადა ფინალში. 23 წლის ბარსელონელმა ტიტულიანი მეტოქე ყველანაირად დაჩაგრა და ერთ მომენტში ბრაზიანი ჟესტიც დასტყუა: აგასიმ ჩოგანი თავის ფეხსაცმელს დაუშინა, თუმცა მატჩის შემდეგ თვითგვემის წარმოდგენისთვის ოფიციალურად მოიბოდიშა. საბოლოო ანგარიში 6:2, 6:3 პირენეელის სრულ ბატონობაზე მიუთითებს.

**მეოთხედფინალი. ანდრე აგასი (აშშ, 1) — ენდი როდიკი (აშშ) 6:4, 6:4; ალექს კორეჩა (ესპანეთი, 2) — უეინ არტურსი (ავსტრალია) 7:6 (7:5), 3:6, 6:3; ნიკოლას კიფერი (გერმანია, 3) — ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ, 5) 4:6, 6:4, 6:2; დავიდ პრინოშილი (გერმანია) — ბაირონ ბლეკი (ზიმბაბვე, 6) 6:3, 1:6, 6:3.**

**ნახევარფინალი. აგასი — პრინოშილი 6:1, 6:3; კორეჩა — კიფერი 7:6 (7:2), 6:2**

**ნახევარფინალი. კორეჩა — აგასი 6:2, 6:3**

**მონრეალი. „დიუმურიე ოუფენ". ჰარდი. საპრიზო 1 080 ათასი $**

ფინალი დიდებული და საინტერესო იყო: აქეთ მარტინა, თეთრი გოგო კარგად მოწყობილი საჩოგბურთო ტვინით და, იქით კიდევ შავი და დამრტყმელი სერენა, კაცური კუნთებისა და ბომბივით მოწოდების პატრონი. ტექნიკური თუ ძალისმიერი ჩოგბურთი? რომელი დამკვიდრდება 21-ე საუკუნეში? აი, კითხვა, რომლისთვისაც ჰინგისსა და უილიამსს ეს უკვე მერამდენედ უნდა ეპასუხათ.

ფინალამდე ისინი სხვადასხვაგვარად მივიდნენ: ჰინგისმა შედარებით მეტი იშრომა. მეოთხედფინალიდან ფრანგი სანდრინ ტესტიუს გასაგდებად სამი სეტი დასჭირდა, ხოლო ესპანელ კონჩიტა მარტინესს დაუძაბავად, 6:3, 6:2 მოუგო. უილიამსმა მეოთხედფინალში თვისტომი ემი ფრეზერი თავისებურად უცებ შეახრამუნა (6:0, 6:1), შემდეგ კი არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან მცირე ოფლიც მოიღინა (6:2, 6:4) და უკვე ფინალში იყო, სადაც პირველი სეტის შემდეგ, რომელიც სერენამ 21 წუთში 6:0 მოიგო, საქმის შემობრუნებისა ჰინგისის მხოლოდ ყველაზე თავდადებულ ქომაგებს თუ სჯეროდათ. 11 ათასი მაყურებლიდან შოკში მრავალი იყო: მართალია, უილიამსი გახლდათ მათი თვისტომი, მაგრამ კორტის მეორე მხარეს ხომ კოხტა მარტინა იდგა და კაცებს მაინც მისი წარმატების ნახვა ერჩივნათ.

მეორე სეტიც უილიამსის უპირატესობით დაიწყო და მხოლოდ მერვე გეიმში იხეირა ჰინგისმა პირველად. თამაშიც ამ დროს შეტრიალდა, სერენამ შეცდომებს მოუხშირა, მარტინამ კი თავისი მათემატიკური სიზუსტის დარტყმები გაიხსენა. მეორე სეტი შვეიცარიელისა იყო და პრინციპში, მესამეც: 3:0-ს იგებდა, როცა უილიამსმა ტრავმის გამო თამაში შეწყვიტა და მეტოქეს გამარჯვება მიულოცა. ტრავმის ამბავსაც თუ ჩავეძიეთ... უილიამსს ვითომ მარცხენა ფეხის ძვალი სტკენია ჯერ კიდევ ლოს ანჯელესში, წინა კვირას, ხოლო ნახევარფინალში ტკივილი კვლავ გახსენებია; ის კი არა, ფინალის წინა ღამეს ლოგინიდან წამომახტუნაო, ამტკიცებს სერენა. ბევრი ფიქრობს, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ორივე დაიკო უილიამსისთვის დამახასიათებელი მორიგი უაზრო ფანდი. თუ ასეა, უილიამსი ამერიკის ღია პირველობაზე უეჭველად უნდა ვიხილოთ. აგერ ჩვენ და აგერ სერენა...

**მეოთხედფინალი. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 1) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი, 8) 6:4, 4:6, 6:3; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 3) — ანე კრემერი (ლუქსემბურგი) 6:2, 6:4; სერენა უილიამსი (აშშ, 4) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:0, 6:1; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 7) — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:1, 6:4.**

**ნახევარფინალი. ჰინგისი — მარტინესი 6:3, 6:2; უილიამსი — სანჩეს-ვიკარიო 6:2, 6:4.**

**ფინალი. ჰინგისი — უილიამსი 0:6, 6:3, 3:0 (ტრავმა).**

**დავით გულუა**



ალექს კორეჩა



გუსტავო კუერტენი

# ქურციკებმა მწყემსი იხსნეს

19 აგვისტო, იოჰანესბურგი

**სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია**

**46(33):40(27)**

**სამხეთ აფრიკა: დელპორტი, უილიამსი, ესტერჰაიზენი, ფლეკი (იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი 80), პოლსე, ფან სტრაატენი, სვანეპული, ფოსი (კაპ.), კრიხე (ბრიოსნიჰანი 75), კრასმუსი, ენდრიუსი (ფონ დერ ბერგი 75), ფენტერი, ფისახი (მეიერი 79), მარე, ლე რუ (სმიტი 61), ნლ — უილიამსი, ფლეკი (2), სვანეპოლი (2), დელპორტი; ნგ. და 2ს — ფან სტრაატენი**

**ახალი ზელანდია: კალენი (მაკდონალდი 55), უმაგა, იერემაია, ალატინი, ლომუ, მერთენსი, მარშალი, კრიბი, კრონფელდი (რობერტსონი 74), რენდელი, მაქხუელი (ფლეველი 45), ბლექედერი (კაპ.) მეუვსი, ოლივერი (შემეტი 52), ჰოფტი (სამერვილი 40)**

**4ლ — უმაგა (2), კალენი (2); 4გ. 3ს და ს — მერთენსი**

**მსაჯი: კოული (ავსტრალია)**

„ჩვენ თავი დავხარეთ და კრიტიკას ყურადღება არ მივაქციეთ. ძალიან ბევრი ვიმუშავეთ. ჩემმა ბიჭებმა კარგად იციან რაგბის თამაში და ეს ამ საღამოსაც დაამტკიცეს“ — განაცხადა „ქურციკების“ გახარებულმა მთავარმა მწვრთნელმა ნიკ მალეტმა „შავების“ ძლევის შემდეგ.

მართლაც სცოდნიათ სამხრეთაფრიკელებს რაგბის კარგად თამაში და, ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეც წააქციეს. სამი ერის პირველობის ბოლოსწინა, მეხუთე მატჩი მშვენიერი სანახავი გამოდგა, განსაკუთრებით პირველი ტაიმი. სულ თამაშში 10 ლელო გავიდა, ექვსი მასპინძლების ანგარიშზეა, ოთხი — სტუმრების. პრემიალური ქულები ორივე გუნდმა მოიპოვა, ახალმა ზელანდიამ კი ერთბაშად, ორი. სამხრეთ აფრიკამ მოიგო, მაგრამ სამი ერის ჩემპიონობას თეორიულადაც გამოემშვიდობა. ახლა ავსტრალიამ 26 აგვისტოს თუ აჯობა „ქურციკებს“, ან ფრე მაინც გაახერხა, მაშინ ჩემპიონიც ის გახდება, ოღონდ აფრიკელთა ძლევა, შაბათის თამაშით თუ გავსჯით, მსოფლიოს ჩემპიონებს ერთობ გაუძნელდებათ. თუმცა მარცხის შემთხვევაშიც შეუძლიათ ოზებს ჩემპიონობა. ამისთვის მათ ახალი ზელანდიასავით 6 ან ნაკლები ქულით უნდა წააგონ და, თან ოთხი ან მეტი ლელოც გაიტანონ, რათა ორი პრემიალური ქულით მეზობლებს დაეწიონ და ბურთების უკეთესი სხვაობით კი გადაასწრონ კიდეც. ეს რაც შეეხება სატურნირო ცხრილს, ახლა კი შაბათის მატჩს დავუბრუნდეთ.

ანგარიში ახალმა ზელანდიამ გახსნა. მასპინძლებმა მეორე წუთზე თამაშგარე მდგომარეობის წესი დაარღვიეს და ენდრიუ მერთენსმაც საჯარიმო უნაკლოდ შეასრულა. თუმცა თამაშის დებიუტში სიტუაციის ბატონ-პატრონები მინდორზე „ქურციკები“ იყვნენ. 1995 წლის მსოფლიოს თასის მომგებმა ჩესტერ უილიამსმა პირველი ლელო გაიტანა.

თამაში განახლდა თუ არა, „შავების“ მცველს, კრისტიან კალენს მეტოქეები ისე მიესიენ, იძულებული გახდა, ბურთი აუტში გადაეგდო. მოწინააღმდეგის სალელოე მოედნიდან 15 მეტრში დანიშნული დარეფანი მალეტის შეგირდებმა მოიგეს, მორკინლებმა წინაც წაიწიეს და ამ ბოლო დროს კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულმა რობი ფლეკმა, რომელიც დე ვეტ ბარის ტრავმის გამო მოხვდა ძირითად შემადგენლობაში, ახალზელანდიელები მეორედ დაალელოვა (14:3, მე-3 წუთზე). თუმც მასპინძელთა უპირატესობა ხანმოკლე აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც „ქურციკებმა“ ორჯერ ჩაშალეს შერკინება, ბურთს ტანა უმაგა დაეუფლა, ორი მეტოქე აქე-იქით მიაგდო და „აღთქმულ მიწასაც“ უწია. მერთენსმა გარდასახვას საჯარიმოც დაამატა და 22-ე წუთზე ანგარიში 14:13 გახდა. ამის მერე „შავებისთვის“ „შავი ათი წუთი“ დადგა. ჯერ ფლეკმა იხეირა მეტოქის შეცდომით და 30 მეტრის გარბენის შემდეგ ლელო გაიტანა, მერე კორნ კრიხესა და ბრეიტონ პოლსეს კარგი თამაშის წყალობით ვერნერ სვანეპულმა გამოიჩინა თავი. ბოლოს კი ტინუს დელპორტმა ფლეკის პასის შემდეგ მეტოქის დაცვა იოლად გაჭრა და 33: 16.

ტაიმის ბოლო ხუთ წუთში ახალზელანდიელებმაც გამოიღეს ხელი და კრისტიან კალენისა და უმაგას ლელოებით ანგარიშში სხვაობა ექვს ქულამდე შეამცირეს. მეორე ორმოცწუთეული ნაკლებად თვალსასეირო, მაგრამ პირველივით დაძაბული იყო. ბრაამ ფან სტრაატენის ორ საჯარიმოს მეტოქემ გარდასახული ლელოთი, საჯარიმოთი და არეკნით უპასუხა და შესვენების დამთავრებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე „ოლ ბლექსი“ 40:39 დაწინაურდა, თუმცა საკუთარი ქომაგების ღრიანცელით გულმოცემულმა „ქურციკებმა“ მაინც შეძლეს თამაშის სათავისოდ დასრულება.

ახლა „ქურციკთა“ მთავარ მწვრთელს თანამდებობის დატოვება აღარ ემუქრება და თუ მისმა გუნდმა ასევე გააგრძელა თამაში, ვინძლო მას კონტრაქტიც გაუგრძელონ.

**გაიოზ თალაქვაძე**

| სატურნირო ვითარება | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 2 | 2 | 127:117 | 12 |
| ავსტრალია | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 85:68 | 10 |
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 1 | 0 | 64:91 | 5 |

*მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია*



ახალზელანდიელი რონ კრიბი (ბურთით) ჩესტერ უილიამსმა შებოჭა






ლორან დიუფო და იან ულრიხი

# ციურიხი შვეიცარიას დაუბრუნდა

**კვირას** მსოფლიოს თასის მერვე ეტაპს შვეიცარიამ უმასპინძლა. პელოტონმა ციურიხის სანახებში 248,4 კილომეტრი გაიარა, ანუ 41,4 კილომეტრიანი წრე ექვსჯერ დაფარა. მრბოლებს გზაზე ორი დიდი სიძნელე ხვდებოდათ — ფორხისა და პფანენსტიელის აღმართები. „ციურიხის ჩემპიონატში“ მონაწილეობა კი პელოტონის მთელმა ელიტამ მიიღო. აქ იყვნენ არმსტრონგი, ულრიხი, ჟალაბერი, დიუფო, კასაგრანდე, ფრეირი, ზაბელი...

19-წლიანი შესვენების შემდეგ „ციურიხის ჩემპიონატი“ შვეიცარიელის გამარჯვებით დასრულდა. ლორან დიუფომ სპრინტში იან ულრიხსა და ფრანჩესკო კასაგრანდეს, აჯობა.

შეჯიბრი ძალიან კარგი სანახავი გამოდგა. მზიანი ამინდი იდგა, მაყურებლიც ბლომად შეკრებილიყო და მრბოლებმაც არ გააცრუეს მათი მოლოდინი. რიგით 87-ე „ციურიხის ჩემპიონატში“ 175 სპორტსმენი გამოდიოდა და მათ სტარტიდანვე საკმაოდ მაღალი სიჩქარით დაიწყეს რბოლა. ეს, რა თქმა უნდა, იმის ნიშანი იყო, რომ ფინიშს პელოტონი მთლიანობაში ვერ მიაღწევდა, მით უმეტეს, რომ 12 აღმართი იყო დასაძლევი, თანაც თითოეული ექვსჯერ.

რბოლის მაღალ ტემპს თავიდან ყველა აჰყვა, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ბოლოსკენ ბევრი ვეღარ გაძლებდა და პელოტონს ნელნელა ჩამორჩებოდა. ასეც მოხდა. დაახლოებით 200 კილომეტრი წარმატებული შეტევა ვერავინ განახორციელა, ბოლო წრის დაწყებისას კი 8 კაციანი ჯგუფი გაიჭრა წინ, რამაც დაამსხვრია კიდეც პელოტონის ერთიანობა.

დაწინაურებულები ყველანი ძლიერები იყვნენ — ფრეირი არმსტრონგი, კამენზინდი, კასაგრანდე, ულრიხი, დიუფო, რებელინი, კივილიოვი — ასე რომ, მათი დაწევა თითქმის შეუძლებელი იყო. გაქცეულთა შორის ვერ მოხვდნენ ზაბელი, ჩმილი და ჟალაბერი, რაც შეტევის დროს მათი არახელსაყრელი პოზიციის ბრალია.

ლტოლვილები თანდათანობით ზრდიდნენ უპირატესობას პელოტონთანაც და მდევართა ჯგუფთანაც, რომელსაც ბარტოლი და ვაინსტეინსი მეთაურობდნენ. რვა ლიდერს შორის ძლიერი გუნდებიდან მხოლოდ „პოლტის“ და „ონსეს“ არ ჰყავდათ წარმომადგენლები და პელოტონის სათავეშიც ისინი მუშაობდნენ, მაგრამ მარტო მათი ძალისხმევა საკმარისი არ აღმოჩნდა ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. ფინიშამდე 18 კილომეტრით ადრე ლტოლვილთა უპირატესობამ 4 წუთსა და 17 წამს უწია და, ცხადი გახდა, რომ „ვარსკვლავური შეტევა“ წარმატებით დაგვირგვინდებოდა.

პფანენსტიელის აღმართზე ბოლოჯერ ასვლისას რვიდან ყველაზე სუსტი კივილიოვი ჩამორჩა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის სათავეში მას წუთითაც არ უმუშავია. მერე ულრიხმა შეუტია და მისი მიყოლა მხოლოდ დიუფომ და კასაგრანდემ შეძლეს. დანარჩენები კი ცოტათი ჩამორჩნენ. ლიდერთა სამეული ფინიშამდე ერთად მივიდა. ბოლოს გერმანელმა ერთხელაც სცადა იერიში, მაგრამ მეტოქეებს ვერაფრით დააღწია თავი. ჰოდა, მანაც ტრეკის კარგი მრბოლივით სპრინტისთვის დაიწყო ხელსაყრელი პოზიციის შერჩევა, მაგრამ დიუფოს მაინც ვერ აჯობა.

„საეკოს“ მრბოლი წარმატებამ უზომოდ გაახარა, რადგან ბეატ ბრეს (1981 წელი) შემდეგ პირველი შვეიცარიელი შეიქნა, რომელმაც „ციურიხის ჩემპიონატი“ მოიგო. მსოფლიოს თასის ჩათვლაში ლიდერობა კი კვლავინდებურად ერიკ ზაბელმა შეინარჩუნა.

**გაიოზ თალაქვაძე**

**მსოფლიოს თასი**

**მერვე ეტაპი**

**ციურიხის ჩემპიონატი, 248,4 კმ**

1. ლორან დიუფო (შვეიცარია, საეკო) — 6სთ 07წთ 21წმ
2. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი)
3. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა) — ორივეს იგივე დრო
4. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი) — +1წთ 04წმ
5. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — +1წთ 04

**საერთო ჩათვლა**

1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) — 332 ქულა
2. ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო) — 206
3. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, ვინი კალდიროლა) — 204
4. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) — 161
5. ფრანჩესკო კასაგრანდე — 160

# გალისიაც გაილია

**ესპანეთში** პარასკევს დასრულებული „გალისიის ტური“, ყაზახმა ანდრეი ტეტერიუკმა მოიგო. მან საერთო ჩათვლაში ლიდერობა მეორე ეტაპზე იგდო ხელთ, როცა უახლოეს მდევარ დავიდ ეჩებერიას 31 წამი მოუგო. იქიდან მოყოლებული ესპანელი თითქმის ყოველ ეტაპზე ამცირებდა ჩამორჩენას, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო ყაზახის გადასწრება. ტეტერიუკის საბედნიეროდ „გალისიის ტური“ მხოლოდ ხუთი ეტაპისგან შედგებოდა, თორემ მისი უპირატესობისგან, რომელიც თვალსა და ხელს შუა დადნა, ალბათ, კიდევ ერთი ეტაპის შემდეგ აღარაფერი დარჩებოდა

მეოთხე ეტაპი „ფესტინას“ ამერიკელმა დევიდ კლინჯერმა მოიგო. პელოტონმა იმ დღეს საკმაოდ მშვიდად გალია გზა და გამარჯვებული ფინალურ სპრინტში გამოვლინდა. საერთო ჩათვლაში დაწინაურებულებმა ერთდროულად კი გადაკვეთეს ფინიშის ხაზი, მაგრამ ეჩებერია მესამე ადგილზე გავიდა და 2 პრემიალური წამიც დაიმსახურა.




ანდრეი ტეტერიუკი

შეჯიბრის ბოლო დღეს მრბოლებს რამდენიმე სიძნელე ჰქონდათ გადასალახი, ამიტომ სავსებით შესაძლებელი იყო საერთო ჩათვლის სათავეში მნიშვნელოვანი ცვლილებები მომხდარიყო. პელოტონს დაუშლელად დიდი ხანი არ უვლია. ხან ვინ უტევდა და ხან ვინ. ამდენი იერიშების შემდეგ, დღის ბოლო აღმართს დაახლოებით 10-15-კაციანი ჯგუფი მიადგა, რომლის შემადგენლობაში ტეტერიუკისა და ეჩებერიას გარდა ისეთი ძლიერი მრბოლებიც იყვნენ, ალექს ცულე, ფერნანდო ესკარტინი, რობერტო ერასი, პაველ ტონკოვი და ლეონარდო პიეპოლი რომ არიან.

სწორედ აქ უმტყუნა ეჩებერიას ბედმა. ბასკს საბურავი გაუსკდა და კომპანიონებს გვარიანად ჩამორჩა. მათ მალე წამოეწია და ბევრს გაასწრო კიდეც, მაგრამ ამან ბევრი ძალა და დრო წაიღო. საბოლოოდ ეჩებერია ეტაპზე მეექვსე მივიდა და კოლუმბიელ ივან პარასთან ხუთი წამი წააგო. მის შემდეგ ფინიშის გადამკვეთ ჯგუფში იყო ტეტერიუკიც, ვინც „ონსეს“ წევრთან, რომელიც მომავალი სეზონიდან „ესკალტელში“ გადაბარგდება, 11 წამი დათმო. მარაგში კი ლიკიგასელს 17წამი ჰქონდა. ჰოდა, გალისიის ჩემპიონიც ის გახდა.

**გაგი გურული**

**გალისიის ტური**

**მეოთხე ეტაპი**

მონტეროსო — ორენსე, 173 კმ

1. დევიდ კლინჯერი (აშშ, ფესტინა) — 4 სთ 08 წთ 42 წმ
2. სტეფანო კასაგრანდე (იტალია, ალესიო)
3. დავიდ ეჩებერია (ესპანეთი, ონსე)
4. გვიდო ტრენტი (აშშ, კანტინა ტოლო)
5. რინალდო ნოჩენტინი (იტალია, მაპეი) — ყველას იგივე დრო

**მეხუთე ეტაპი**

ორენსე — ფორკარეი, 137 კმ

1. ივან პარა (კოლუმბია, ვიტალიციო) — 3 სთ 26 წთ 01 წმ
2. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +2 წმ
3. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, ვიტალიციო)
4. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე)
5. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, ბანესტო) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ანდრეი ტეტერიუკი (ყაზახეთი, ლიკაგასი) — 17 სთ 40 წთ 47 წმ
2. დავიდ ეჩებერია — +6
3. ხუან მიგელ მერკადო — +9
4. ფერნანდო ესკარტინი — +11
5. რობერტო ერასი — +11

# ნუ გააბრაზებთ პრინცს!

## ნასიმ ჰამედმა ქამარი და ლეგენდა დაიცვა, მეტოქე კი საავადმყოფოში გაგზავნა



ნასიმ ჰამედმა მეტოქე წაქცეულიც არ დაინდო

**აჰ,** რა იოლად ჩანდა ყველაფერი. პრინცად წოდებული ბრიტი ნასიმ ჰამედი მეთექვსმეტედ იცავდა ორგანიზაციის (ვბო) ჩემპიონის ქამარს, 22 წლის ოგი სანჩესის ხელყოფისგან. მთელი ამერიკული მედია ამბობდა, „ფოქსვუდ კაზინოში“ ბრიტი გასეირნებას მოაწყობს, შოუს გაგვიმართავსო. და ჰა, ტუჩგახეთქილმა, თვალებდასიებულმა, გასილაქებულმა ნასიმმა... და მაინც, მან შეინარჩუნა ტიტული. ნისლი გაიფანტა და ის კვლავ ქამარშემორტყმული იყო.

ასეთ დრამას არავინ ელოდა: მშვიდი პირველი რაუნდის შემდეგ, ბრწყინვალე ტაქტიკითა და არაადამიანური სისწრაფით შეჭურვილმა სანჩესმა ზედიზედ ორი მარჯვენათი წააქცია ჰამედი. კარიერაში მეხუთე ნოკდაუნი! მაგრამ რეფერი მაიკლ ორტეგამ ნოკაუტი არ დათვალა. მან არ დათვალა კიდევ ერთი ნოკდაუნი მესამე რაუნდში, როცა ბრიტი თავწაჭრილი ქათამივით აწყდებოდა რინგის კუთხეებს. სამაგიეროდ, ორტეგამ ქულები ჩამოაკლო ნასიმს, რაზან მან წაქცეულ პრეტენდენტს დასცხო მუშტები. საქმე ისე წავიდა, რომ ერთი მძლავრი დაწოლა და ნასიმ ჰძამედის ლეგენდა აღარ იარსებებდა.

რით განსხვავდება დიდი მოკრივე კარგი მოკრივისგან? ნაცემმა და დაბნეულმა ნასიმმა მოახერხა. მან მოახერხა თავისი განთქმული სერია: მარჯვენა-მარცხენა-მარჯვენა-მარცხენა. სანჩესი წაიქცა. რეფერის არ დაუთვლია. წამსვე შეწყვიტა ბრძოლა, რადგან პრეტენდენტი უგონოდ იყო. ის საკაცით გაიტანეს რინგიდან.

„დიდი ბრძოლა იყო“ — თქვა კვლავაც ჩემპიონმა — „მღელვარე. ვლოცულობ, არაფერი მოუვიდეს. მაგარი ბიჭია. ძალიან მომაწვა. მე არ დამითვალეს ნოკდაუნი, მაგრამ მასაც არ დაუთვალეს. ყველა ჩემი მარჯვენა ჰუკი მტკივნეული იყო. როცა პრინცს ეკვრები, უნდა იცოდე, ის უპასუხოდ არ დაგტოვებს“.

სანჩესს კი არაფერი უთქვამს. უკვე ნორიჩის ჰოსპიტალში იყო. აჰ, რა იოლად...

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



# ფრიმენის ოქრო და ფრიადი

**ავსტრალიელმა** აბორიგენმა, კეტი ფრიმენმა მოიგო პარასკევს, „ოქროს ლიგის“ მონაკოს ეტაპზე ქალთა 400-მეტრიანი გარბენი. უფრო მეტიც, მისგან ნაჩვენები 49,48 წამი სეზონის რეკორდია. ფრიმენმა 5 აგვისტოს „ლონდონის დიდი პრიზი“ ფეხის ძლიერი ტკივილის გამო გამოტოვა. შიშობდა, ვაითუ მონაკოში ფეხენამ მავნოს, ოლიმპიადამდე რაღა დამრჩაო, მაგრამ ყველაფერი ისე კარგად დამთავრდა, უკეთესი არ შეიძლება, ფრიმენმა საშიში მეტოქეები დაამარცხა: ამერიკელი ჯიელ მაილს-კლარკი, იამაიკელი ლორენ გრემი და ანა გევერა, მექსიკელი მანდილოსანი, რომელმაც ფრიმენის არყოფნისას „ლონდონის დიდი პრიზი“ მოიგო.

მორის გრინს 100 მეტრზე, ტრადიციულად, ვერავინ შეედარა. უპირველესი კონკურენტი, ატო ბოლდონი, გვერდზე არ ჰყოლია, მაგრამ „ოქროს ლიგაზე“ მაჩანჩალებს რა უნდათ და გრინის მეტოქეთა სიაც არცთუ უცნობი ხალხისგან შედგება: ბარბადოსელი ობადელე ტომპსონი მეორე იყო, ხოლო ბრიტანელებს, დუეინ ჩემბერსსა და დარენ კემპბელს, მოულოდნელად განელმა აბდულ აზიზ ზაკარიმ გაუსწრო.

ქალთა ანალოგიურ დისტანციაზე ჟანა პინტუსევიჩი ჩაიჭრა. არ ურბენია მარიონ ჯონსს, ამიტომ უკრაინელს პირველ ადგილზე დამაჯერებლად უნდა ეფიქრა, მაგრამ მეშვიდეზე დარჩა, ინგერ მილერმა მას ბევრით გაუსწრო.

სანამ მამალივით ამაყი გრინი რბენის შემდეგ საპატიო წრეს უვლიდა და საჩვენებელ თითს ჰაერში ატრიალებდა, შემომხედეთ, ეს მე ვარო, ფენიქსივით აღმდგარმა ხავიერ სოტომაიორმა სიმაღლეზე ხტომა 2 მეტრითა და 30 სანტიმეტრით მოიგო. ფრანგულ მონტობანში ერთი რიგითი ტურნირის წარმატებით ჩატარების შემდეგ, კუბელმა იძულებითი უსაქმურობის დასრულებისთანავე პირველ დიდ სიმაღლეს უწია, რაც ოლიმპიადის წინ კარგი ამბავია. „მიკვირს, ისე ჩქარა დავუბრუნდი ჩემს საქმეს — თქვა სოტომაიორმა — ამიტომ ბედნიერიც ვარ, ახლა ბლომად შეჯიბრებები მინდა და მერე ოლიმპიადაც ვნახოთ...“

ციცქნა კენიელმა, ტეგლა ლორუპემ კი ერთხელაც წააგო. ის და მისი თვისტომი, ლიდია ჩერომეი 3000-მეტრიანი გზის თავშივე დაწინაურდნენ. სანამ ფინიში 600 მეტრამდე მოახლოვდებოდა, ლორუპე წინ იყო, მერე კი ჩერომეი დაწინაურდა და მძაფრი კონკურენციის შედეგად გამარჯვებულიც ის დარჩა. ლორუპემ ფინიში თხუთმეტი მეასედი წამით გვიან გადალახა, სხვებმა კი სამი თუ ოთხი წამის შემდეგ გადააბიჯეს.

1500 მეტრზე მარია მუტოლა მხოლოდ მეოთხე იყო.

**დავით გულუა**



კეტი ფრიმენი



მორის გრინი

### ოქროს ლიგა. მონაკო. V ეტაპი

#### ქალები

3 000 მ. 1. ლიდია ჩერომეი (კენია) — 8:30,80; 2. ტეგლა ლორუპე (კენია) — 8:30,95; 3. ასმაე ლეგზაუი (მაროკო) — 8:33,85.

400 მ. თარჯრბენი. 1. ირინა პრივალოვა (რუსეთი) — 54,06; 2. ტატიანა ტერეშჩუკი (უკრაინა) — 54,27; 3. გუდრუნ არნადოტირი (ისლანდია) — 54,49.

1 500 მ. 1. ვიოლეტა შეკელი (რუმინეთი) — 3:58,29; 2. კუტრე დულეკა (ეთიოპია) — 3:59,02; 3. ნურიან მერაჰ-ბენიდა (ალჟირი) — 3:59,12

100 მ. თარჯრბენი. 1. გეილ დივერსი (აშშ) — 12,54; 2. მელისა მორისონი (აშშ) — 12,66; 3. დელორ ენის-ლონდონი (იამაიკა) — 12,68

400 მ. 1. კეტი ფრიმენი (ავსტრალია) — 49,48; 2. ჯიელ მაილს-კლარკი (აშშ) — 50,04; 3. ლორენ გრემი (იამაიკა) — 50,08

100 მ. 1. ინგერ მილერი (აშშ) — 10,91; 2. სავათედა ფაინსი (ბაჰამის კუნძულები) — 11,04; 3. კრისტინ არონი (საფრანგეთი) — 11,05

შუბის ტყორცნა. 1. ტატიანა შიკოლენკო (უკრაინა) — 67,20; 2. ტრინე ჰატესტადი (ნორვეგია) — 66,73; 3. ტანია დამასკე (გერმანია) — 62,72

400 მ. ესტაფეტა. 1. აშშ — 42,13; 2. ბაჰამის კუნძულები — 42,35; 3. საფრანგეთი I — 42,38

სიგრძეზე ხტომა. 1. ერიკა იოჰანსონი (შვედეთი) — 6,81; 2. ჰაიკე დრექსლერი (გერმანია) — 6,78; 3. დონ ბარელი (აშშ) — 6,76

#### კაცები

400 მ. თარჯრბენი. 1. ლეველინ ჰერბერტი (სამხ. აფრიკა) — 48,18; 2. კრის როულინსონი (დიდი ბრიტანეთი) — 48,35; 3. ერიკ ტომასი (აშშ) — 48,59

ბირთვის კვრა. 1. იური ბელონოგი (უკრაინა) — 21,02; 2. ადამ ნელსონი (აშშ) — 20,51; 3. მიროსლავ მენცი (ჩეხეთი) — 20,34

1 500 მ. ჟილიან ჩირჩირი (კენია) — 3:31,02; 2. ანდრეს მანუელ დიასი (ესპანეთი) — 3:31,48; 3. დრის მაზუზი (საფრანგეთი) — 3:32,06

110 მ. თარჯრბენი. 1. ანიერ გარსია (კუბა) — 13,18; 2. სტანისლავს ოლიარსი (ლატვია) — 13,25; 3. კოლინ ჯექსონი (დიდი ბრიტანეთი) — 13,33

3 000 მ. 1 ალისიეფ საიდი (ალჟირი) — 7:25,02; 2. მოჰამედ მურიტი (ბელგია) — 7:26,62; 3. დანიელ კომენი (კენია) — 7:28,92

100 მ. 1. მორის გრინი (აშშ) — 10,01; 2. ობადელე ტომპსონი (ბარბადოსი) — 10,06; 3. აბდულ აზიზ ზაკარი (განა) — 10,13

სიმაღლეზე ხტომა. 1. ხავიერ სოტომაიორი (კუბა) — 2,30; 2. დრაგუტინ ტოპიჩი (იუგოსლავია) — 2,27; 3. ნათან ლიპერი (აშშ) — 2,27

3 000 მ. წინაღობებით. 1. ბერნარდ ბარმასაი (კენია) — 8:02,76; ხალიდ ბულამი (მაროკო) — 8:02,90; 3. რეიმონდ იატორი (კენია) — 8:03,74

ჭოკით ხტომა. 1. მიხაელ შტოლი (გერმანია) — 5,95; 2. ჯეფ ჰარტვიგი (აშშ) — 5,90; 3. ნიკ ჰაისონგი (აშშ) — 5,75.



## მოდი, ვნახოთ ბორდელი

**ბოლო** ხანს სიდნეის პოლიციამ ქალაქის რაიონებში რეიდები გააძლიერა, რითაც ცდილობს ნარკოტიკების მოვაჭრეთაგან ქუჩების გაწმენდას. ბოროტი ენები ირწმუნებიან, რომ ხელისუფლებას ამით სურს ქალაქს ოლიმპიური თამაშების დღეებში კეთილშობილი სახე მისცესო, პოლიციელები კი ამბობენ, რომ მათი ოპერაციები დაკავშირებულია ქალაქში ჰეროინის მსხვილი პარტიის შემოტანასთან. მათ ამ დღეებში რედფერნის რაიონში, სადაც ძირითადად აბორიგენები ცხოვრობენ და დანაშაულობათა დონე მთელს ქალაქში უმაღლეს საფეხურზეა, დააპატიმრეს შვიდი მოქალაქე. მანამდე პოლიციელებმა ორი რეიდი მოაწყვეს სიდნეის ორ რაიონში, მათ შორის კინგს-კროსის ქუჩაზე, სადაც მრავალი ბორდელი, გასართობი დაწესებულება და „სექსმაღაზიაა“.

## დახლს დახედეთ...

**ოლიმპიური** თამაშებისას კარგი დახლი დაუდგებათ გადასაადგილებელი თუ სტაციონალური წასახემსებელი ადგილების მეპატრონეებს. განსაკუთრებით ხეირიანი ვაჭრობა ექნებათ მათ, ვინც ოლიმპიური პარკის მიდამოებში გააჩაღებენ აღებ-მიცემობას, მით უმეტეს, რომ იქვეა ოლიმპიური სპორტული ბაზების უმეტესობა.

ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა თქმით, საკვებისა და სასმელების ფასი ორჯერ გაძვირდება, მაგალითად, კაცს ერთი ღვეზელი 3,5 ავსტრალიური დოლარი დაუჯდება მაშინ, როცა ჩვეულებისამებრ მისი ფასი 2 დოლარია. ასევე ჩვეულებისამებრ 2 დოლარი ღირს „კოკა-კოლა“, რომელიც ოლიმპიური თამაშებისას 3,8 დოლარად გაიყიდება.

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორთა თქმით, ამგვარი ფასები გაცილებით დაბალია იმასთან შედარებით, რომელსაც თავად ნოქრები ითხოვდნენ. ცხადია, ნოქრებიც და თამაშების ორგანიზატორებიც გაყიდული პროდუქტიდან მოგების გარკვეულ წილს მიიღებენ.

ისიც საინტერესოა, რომ თამაშების ორგანიზატორებმა მაყურებლებს სთხოვეს, სპორტულ ბაზებზე რაც შეიძლება ცოტა სასმელ-საჭმელით მოდითო, მანამდე კი სულაც საკვების შემოტანის აკრძალვა სურდათ, მაგრამ ამას ისეთი პროტესტი მოჰყვა, რომ უკან დაიხიეს.

**გიგა გურასაშვილი**

## ინგლისი

II ტური

**არსენალი 2:0 ლივერპული**

1:0 ლორენი (7), 2:0 ანრი (90)
არსენალი: სიმენი, ადამსი, კიოუნი, სილვინიო, გრიმანდი, ლუჟნი, ვიეირა, პირესი, ლორენი, ანრი, ბერხკამპი (კანუ 75)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ლივერპული: ვესტერველდი, ენჩოსი, ბაბელი, კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე, მაკალისტერი, ჰამანი, ჰესკი (მეიერი 80), შმიცერი (ოუენი 70), ბარმბი (მერფი 77)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ვიეირა, ბერხკამპი, ბარმბი, ჰამანი, ენჩოსი, კარაგერი
გაძევება: მაკალისტერი (38), ვიეირა (74), ჰამანი (87)
მსაჯი: გ. პოლი
38 014 მაყურებელი

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა

II ტური

**ულმი 0:1 არმინია**

# მშვიდობით!




ხალხით გაჭეჭყილი ტრიბუნები თავიანთი კერპის სიტყვებს ყურად ისმენენ: დეივ უინფილდმა ბეისბოლის კეტის კარსუკან აყუდება გადაწყვიტა. მისი მოღვაწეობა „სან დიეგო პადრესში“ უთვალავ ჰოუმრანებს ითვლის, რვა სეზონის მანძილზე 177-ჯერ ითამაშა და კვალიც დატოვა. ტრიბუნებიც ამიტომ შევსებულან, ამაგს დაფასება სჭირდება.

# კმაყოფილება



სამხრეთ აფრიკაში ალტაცება არა, მაგრამ კმაყოფილება სუფევს. აწი ვერაფერი შეიცვლება, მოგჭამათ ჭირი აფრიკელთაგან „სამი ერის“ ჩემპიონობამ, მაგრამ „ოლ ბლექსის“ ბეჭებზე დაგდებაც არაა პატარა ამბავი; ახლა ერთიც ავსტრალიას რამე მოვუხერხოთ და... „ქურციკთა“ ქომაგს ამისა ღრმად სჯერა და აქეთას ეშმაკური ღიმილიც ამის დასტურია: „ქურციკებს“ „ვოლაბთა“ დამხობა შეუძლიათ... რას არ იზამს კაცი, ოღონდ ფანთაგან გაგლეჯას გადარჩეს!..



# სიდნეი

კიდევ ერთხელ და მომავალშიც არაერთხელ: ქალაქი სიდნეი, 2000 წელი, ოლიმპიური თამაშები... დიდებული ნაგებობანი: სიდნეის ოლიმპიური სტადიონი 100 ათას კაცზე მეტს რომ იტევს და პლაჟის ფრენბურთის მოედანი, დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ რომ აშენდა... აგერ კიდევ გიგანტური ბადრო, რომლის ფონზეც მავანი ავსტრალიელი ერთი ციცქნა ჩანს. ბადრო ოლიმპიადის ატრიბუტია...





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge